# საერთო გაზეთი

№2 (314) ● 28 იანვარი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი




## ვინ ცდილობს ბიძინა ივანიშვილის და საქართველოს მოსახლეობის დაშინებას?

## გია ვოლსკი:

ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას არ ველოდები, მას დიდი ინტელექტუალური და ორგანიზაციული რესურსი გააჩნია, რომ ეს ქვეყანა მართოს





## ოთარ ხუფენია:

ჩემი აზრით, კონსტიტუციაში პირდაპირ უნდა ჩაიწეროს – თანამედროვე საქართველოს დამფუძნებლები ქართველი და აფხაზი ერები არიან

## პაატა ხიზანაშვილი:



ჩემი, როგორც რეგიონის ხელმძღვანელის, უპირველესი ამოცანაა, მრავალეთნიკური ქვემო ქართლი ყველა იქ მცხოვრებისთვის თავის სამშობლოდ აღიქმებოდეს

## დენიზა სუმბაძე:

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №42-01

## საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

## ვახტანგ მაისაია:

„ნაცები“ არიან ქართველი ტროცკისტები, რომლებიც საქართველოში „სიკვდილის ესკადრონის“ შემოყვანას გეგმავენ



## ზაალ კასრელიშვილი:

იმ ქართველ მუსულმანებს, რომლებიც დანარჩენ ქართველებს დაჩოქებით ემუქრებიან, ჩავალთ და იქ დავაჩოქებთ, სადაც არიან...



„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი



ვახტანგ ხარჩილავა

ის სატანისტური ძალები, რომლებმაც იური ვაზაგაშვილი ააფეთქეს, საქართველოს ასაფეთქებლად ემზადებიან.

ეს პირველი, სასინჯი აფეთქება იყო, აფეთქება-ტესტი, რომლითაც ქართველი ხალხის, პირველ რიგში კი საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების სიმტკიცის და ნებისყოფის გამოცდა სურთ.

**ეს აფეთქება, რომელიც თამამად შეიძლება ტერორისტულ აქტად დაკვალიფიცირდეს, არ არის ჩვეულებრივი კრიმინალური შემთხვევა — თავისი მასშტაბებით ის უფრო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას ჰგავს.**

შეიძლება ვინმეს გაზვიადებულად მოეჩვენოს ეს მოსაზრება, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, უახლოეს ხანებში მოვლენები ისე განვითარდეს, რომ ამ ვარაუდის სისწორე დადასტურდეს.

ასეა თუ ისეა, უეჭველია ერთი რამ — დღეს უკვე ვერ ვიცხოვრებთ ისე, როგორც გუშინ ვცხოვრობდით — ამ აფეთქებამ ის ვარდისფერი ფარდა ჩამოგლიჯა, რომელიც სინამდვილის დანახვაში გვიშლიდა ხელს და უცებ აღმოვაჩინეთ, რომ გარშემო სხვა რეალობაა — კუშტი, მკაცრი, სასტიკი, დაუნდობელი.

ხელისუფლებამ ამ რეალობის შესაცვლელად დაუყოვნებლივ თუ არ დაიწყო მოქმედება, შეიძლება სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბოს.

პირველ რიგში, ალბათ, აუცილებელია, შსს-ში და სხვა ძალოვან სტრუქტურებში დიდი საკადრო წმენდა დაიწყოს.

**არა მარტო ძალოვანი სტრუქტურები, არამედ, ზოგადად, ყველა სახელმწიფო სტრუქტურა „ნაციონალების“ მიერ შეგზავნილი მეხუთე კოლონისგან უნდა გაიწმინდოს, სანამ ამ მეხუთე კოლონას ეს სახელმწიფო სტრუქტურები და მასთან ერთად ქართული სახელმწიფო არ აუფეთქებია.**

* * *

იური ვაზაგაშვილი შურის საძიებლად არც ავტომატით დახვედრია ვინმეს და არც ხელყუმბარა უსვრია ვინმესთვის.

ის ცდილობდა, სამართლებრივი გზით, კანონიერების ფარგლებში, ობიექტურად და მიუკერძოებლად გამოძიებულიყო მისი შვილის მკვლელობის საქმე და დამნაშავეები კანონის შესაბამისად დასჯილიყვნენ.

**იური ვაზაგაშვილი იქცეოდა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს მოქალაქე, რომელიც პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს, პატივს სცემს კანონებს, პატივს სცემს და უფრთხილდება საკუთარ სახელმწიფოს.**

**იური ვაზაგაშვილი თავისი საქციელით მაგალითს აძლევდა მთელ საზოგადოებას.**

ის იბრძოდა ყველასთვის და ყველას მაგიერ, რომ მის ქვეყანაში კანიბალების თარეში ერთხელ და სამუდამოდ დამთავრებულიყო და სიკეთეს, სიმართლეს, სიყვარულს გაემარჯვა ბოროტებაზე, უსამართლობაზე, სიძულვილზე.

— იური ვაზაგაშვილი ქართველი მარტინ ლუთერ კინგია, რომელიც სამოქალაქო თავისუფლებისთვის იბრძოდა — ამბობს ბატონი ვახტანგ მაისაია ,,საერთო გაზეთის“ დღევანდელ ნომერში და მე სავსებით ვეთანხმები ამ შეფასებას.

იური ვაზაგაშვილი იბრძოდა იმისთვის, რისთვისაც უნდა იბრძოდეს დემოკრატიული სახელმწიფო, თუ ის მართლაც დემოკრატიულია.

იური ვაზაგაშვილი და სახელმწიფო, წესით და რიგით, თანამებრძოლები და მოკავშირეები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, სახელმწიფომ ღირსეული პარტნიორობა ვერ გაუწია თავის ღირსეულ მოქალაქეს.

ახლა მაინც უნდა აღსრულდეს ის, რისთვისაც იური ვაზაგაშვილმა სიცოცხლე გასწირა...










**მოვა დრო, როცა საქართველოს მოქალაქეები აუცილებლად მოითხოვენ, ქალაქის ცენტრში აღიმართოს „ნაცმოძრაობის“ ფაშისტური რეჟიმის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი, სადაც იმ ადამიანთა გვარ-სახელები ამოიტვიფრება, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ ანტიადამიანური რეჟიმის სისასტიკეს შეეწირნენ.**

**მე არ ვიცი, როდის იქნება ეს, ხვალ, ზეგ, ერთი თუ ათი წლის შემდეგ, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, რომ ეს მოხდება...**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.



# გია ვოლსკი: ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას არ ველოდები, მას დიდი ინტელექტუალური და ორგანიზაციული რესურსი გააჩნია, რომ ეს ქვეყანა მართოს

**„საერთო გაზეთი“ საპარლამენტო ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავჯდომარეს გია ვოლსკის ესაუბრა.**

**— ბატონო გია, მოდით, ორიოდე სიტყვით შეგვიფასეთ იური ვაზაგაშვილის საზარელი მკვლელობა, რა იყო ის, კარგად გააზრებული პროვოკაცია, შურისძიება, არასასურველი ადამიანის, მოწმის თავიდან მოშორება თუ მართლაც დიდი არეულობის დასაწყისი მთავრობაში?**

— იცით, მე საერთოდ არ მჩვევია გამოძიების კომპეტენციაში შეჭრა და რაღაც დასკვნების კეთება. თქვენ, რაც დაასახელეთ, ამ მკვლელობის მოტივაციას გამოძიების თვალსაზრისითაც და საზოგადოების დამოკიდებულების თვალსაზრისითაც სერიოზული განსხვავებები ახლავს. ნაჩქარევი პოლიტიკური პლატფორმიდან განცხადებების გაკეთება ყოველთვის რაღაც გავლენას ახდენს საზოგადოების ცნობიერებაზე, ამიტომ ძალიან საფრთხილო საქმეა. მე მაინც ვფიქრობ, რომ ბატონ იურის რა პრეტენზიებიც ჰქონდა კონკრეტული პირებისა და სტრუქტურების მიმართ და საერთოდ თავად რაც იცოდა, აბსოლუტურად, ყველა დეტალი ცნობილი იყო გამოძიებისთვისაც, ამიტომ მე, როგორც ერთ-ერთ რიგით მოქალაქეს, გარკვეული ეჭვი გამიჩნდა, რომ საუბრები ახალ მოწმესა და ახალ გარემოებებზე რაღაც სცენარის ნაწილია. შეხედეთ, შეიქმნა აჟიოტაჟი, რომ ვითომ ახალი გარემოებები იკვეთებოდა და სწორედ მაშინ მოხდა მკვლელობაც. და მაინც, რთულია ილაპარაკო კონკრეტიკაზე, უამრავი ადამიანი შეიძლება ყოფილიყო ამ მკვლელობის შემკვეთი, მაგრამ მთავარი მაინც ის არის (მე ასე მგონია), რომ აქ ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოსურნის პორტრეტი იკვეთება.




**— ფაქტია, ვიღაცამ ერთი გასროლით ოთხი კურდღელი მოკლა - არასასურველი პიროვნება მოიშორა, ხელისუფლება და საზოგადოება გამოიწვია, ასევე დააშინა ეს უკანასკნელი და მმართველი ძალის უნიათობას გაუსვა ხაზი. სხვათა შორის, ვიღაცებმა რუსეთისკენაც კი გაიშვირეს ხელი, „გრუ“-ს ხელწერააო...**

— დიახ, რატომაც არა, ყველაფერი შეიძლება. ახლა რუსეთი შეიძლება კრემლის დონეზე არ გეგმავს ასეთ ოპერაციას, მაგრამ რეალურად დაინტერესებული რომ არის საქართველოში დესტაბილიზაციითა და დაპირისპირებით, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ეს სიტყვა - უნიათო, ჩვენი ოპონენტების, ნაცმოძრაობის ტერმინოლოგიაშია, ერთის მხრივ, „ნაცმოძრაობას“ რაღაც პოლიტიკურ დივიდენდს აძლევს, რომ, აი, ამ თემაზე ისაუბროს და მეორეს მხრივ, გარკვეული ადამიანების ჯგუფი არსებობს, რომელიც, არც ნაცმოძრაობას და არც ქართულ ოცნებას უჭერს მხარს და სწორედაც, რომ დესტაბილიზაციის მომხრეა და ამ ტერმინით ტერმინის ავტორებზე მიანიშნებს და რაღაც პარალელს ავლებს შემკვეთზეც და შემსრულებლებზეც. მე მგონი გასაგებად ვთქვი. ასე რომ, ყველა ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, როდესაც უნიათობაზე ლაპარაკობს. მე, არ ვიცი, რას ნიშნავს ადეკვატური მთავრობა, იმას, რომელიც ქუჩაში ხოცავს ხალხს, თუნდაც ვაზაგაშვილს, ან თუნდაც იმ 120 ახალგაზრდას, რომელიც ქუჩაში იქნა დახვრეტილი, თუნდაც მათი გარკვეული ნაწილი კრიმინალისკენ ყოფილიყო მიდრეკილი?! საზოგადოების დაშინებისთვის ასეთი სისხლიანი ნაბიჯების გადადგმა არის ხელისუფლების არაუნიათობა? ან ის არის უნიათობის საპირისპირო ქმედება, როდესაც ხელჯოხებით აუპატიურებდნენ ხალხს? ეს ხომ რეალობაა, ეს ხომ გუშინ იყო, ასე ადვილად ხომ არ შეიძლება, დაივიწყო?! სიტუაცია რეალურად შეიცვალა. ჯერ ერთი, კრიმინალის სტატისტიკა მხოლოდ ახლა შეიქმნა, არ არსებობდა, რაღაც ზედაპირული, ხელით შევსებული ფურცლები და ბლანკები იყო. დღეს კრიმინალის სტატისტიკა შეიქმნა და გაშუქების დონემ აიწია. მედიასაშუალებები არავინ ჩაიდო ჯიბეში, არც ეცადა. და ეს არის არაუნიათობა მათი გაგებით? ახლა მეორეა კიდევ შეშფოთებული საზოგადოება, რომელიც თავს დაუცველად გრძნობს.

**— არ უნდა გრძნობდეს თავს დაუცველად და არ უნდა ეშინოდეს?**

— იცით, პარალელების გავლება არ მსიამოვნებს, მით უმეტეს, ჩემთვის კარგად ნაცნობი პიროვნება ესოდენ ტრაგიკულად დაიღუპა, ოჯახი, ფაქტობრივად, განადგურდა... პირდაპირ გეუბნებით, დაცულობის ხარისხი ქვეყანაში საკმაოდ მაღალია, არ ვიცი, კიდევ სტატისტიკა როგორ მოვიშველიო, ვიმეორებ, დანაშაულებათა გახსნის მაჩვენებლი საკმაოდ მაღალია, ოპერატიულობა განსაკუთრებით. უამრავი კრიმინალური ავტორიტეტია დაჭერილი, უბრალოდ ამ დაკავებებზე სპექტაკლები არ დადგმულა, დიახ, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე მთელმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააგზავნა საზღვარგარეთ „გასტროლებზე“. სწორედ ასეა, უბრალოდ, ყველაფერი გადის გაშუქებაზე, პიარზე, პროპაგანდაზე და ამ პროპაგანდისტული ბერკეტების გამოყენების პროფესიონალიზმზე.

**— არაერთი პოლიტიკოსი იმასაც, აცხადებს, რომ ეს მკვლელობა ნაციონალების ჩადენილია და სამართლიანობის აღუდგენლობის და კოაბიტაციის შედეგია. ისე, მაინც და მაინც ვაზაგაშვილი უნდა აეფეთქებინათ, რომ შს სამინისტრო კორტებთან ჩატარებული სისხლიან სპეცოპერაციაში მონაწილე ნაცზონდერებისგან გაწმენდილიყო და რამდენი მკვლელობა უნდა მოხდეს, რომ სამართლიანობა აღადგინოთ? აქვე ჭიკაიძის პოსტიდან გადადგომაც შეგვიფასეთ...**

— რაც შეეხება ჭიკაიძის გადადგომას, ამბობენ, მორალურად გამართლებულია მისი ნაბიჯი, სწორად მოიქცაო, კი ბატონო, მორალურ მხარეს, რაც შეეხება ნამდვილად სწორად გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ეს არ უკავშირდება მარტო პიროვნულ მორალს, ეს არის პროფესიონალური თვალსაზრისითაც სწორად გადადგმული, მეტიც აუცილებელი ნაბიჯი. ისევე, როგორც შს სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნების მხრიდან. და საერთოდაც, ძალიან დიდი შეცდომაა დაშვებული თვითონ უწყებაში, შიგნით, რომ იმ ადამიანებს, ვის მიმართაც კითხვები არსებობდა ეს კითხვები თავის დროზე არ დაუსვეს და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ გახადეს ადამიანთა მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე. სპეცოპერაციაში მონაწილეობას შეიძლება ღებულობდა ადამიანი, რომელიც საერთოდ არ იყო ჩართული ამ ოპერაციის მომზადებაში, ან, მით უმეტეს, არ ჰქონდა წარმოდგენა, რომ რაიმე უკანონოს სჩადიოდა, უბრალოდ ასრულებდა იმ სამსახურეობრივ მოვალეობას, რაც ეკისრება პოლიციელს. თუმცა ადამიანთა ჯგუფი, ვინც ამზადებდა ოპერაციას და რეალურად იცოდა, რომ უკანონობას ჩადიოდა საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელია. დიახ, საზოგადოების და არა სახელმწიფოს წინაშე. ასე რომ, კითხვები ყველას მიმართ უნდა ყოფილიყო დასმული. ვფიქრობ, ეს არის ის სერიოზული უარყოფითი ნაწილი, რომელიც იმ განვლილ პერიოდს, ხელისუფლებაში ჩვენი ყოფნის პირველი წელს და თვეებს თან ახლავს, ახასიათებს. ეს ნამდვილად არის შეცდომა და ასაღიარებელია. და მთავარი იცით რა არის? აქამდე გამოძიება დასრულებული უნდა ყოფილიყო, უნდა გვცოდნოდა რა მოხდა კორტებზე. ყველაფერს თავის სახელი უნდა დარქმეოდა. მით უმეტეს, იუსტიციის სამინისტროსთან როცა მემორიალი გაიხსნა. აქ არ არის ლაპარაკი კონკრეტულ პიროვნებებზე, მათთვის გახსნილ მემორიალზე, თქვენ გახსოვთ, სააკაშვილის გამონათქვამები ამასთან დაკავშირებით, რომ ბანდიტები დახოცეს და ახალი ხელისუფლება ამ ბანდიტებს ძეგლს უდგამსო. ეს არ არის იმის მონუმენტი, ეს უკანონობის მსხვერპლთა ხსოვნის მონუმენტია, რომ საზოგადოებას ყოველთვის ახსოვდეს ეს, ვინ ვინ იყო და ვინ რა როლს ასრულებდა, ეს საზოგადოებამ, აუცილებლად, უნდა იცოდეს. როგორც კი ეს თემა დაიხურება და საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩება, გამორიცხულია, რომ ამას რაიმე ცუდი შედეგი არ მოჰყვეს. ასე რომ, ეს ადამიანები არათუ უნდა გადამდგარიყვნენ, არამედ უნდა გარკვეულიყო მათი როლი ამ სპეცოპერაციაში. ვიმეორებ, შეიძლება არც არიან ის ადამიანები დამნაშავეები, გამოძიებამ უნდა გასცეს ამაზე პასუხი.

**— იური ვაზაგაშვილი ამტკიცებდა, რომ დალაქიშვილი, მირზოევი და მაჩაიძე მისი შვილის მკვლელობის თანამონაწილენი იყვნენ...**

— მით უმეტეს, ეს გამოძიებას აქამდე უნდა დაედგინა. აქ ბევრი საკითხია, რომელსაც იმედია, მომავალში მაინც გაეცემა პასუხი, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო არ შედგება. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას, როდესაც ხელისუფლებაში ხარ პასუხიმგებლობის ხარისხი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ოპოზიციაში ყოფნისას. ჩვენი ამოცანა იყო სასამართლოს სასამართლოდ ჩამოყალიბება. თუ სასამართლო მხარს არ გიჭერს რომელიმე ადამიანის დაკავებაში, ან არ გაქვს ამისთვის მტკიცებულებების მთელი დასტა, სასამართლო შენს მიერ შეტანილ სარჩელს აუცილებლად უარყოფს. ნაციონალური მოძრაობის დროს ასეთი სასამართლო არ არსებობდა. კუბლაშვილი დამნაშავეა საზოგადოების წინაშე. სასამართლო ხელისუფლების სანოტარო კანტორად იყო ქცეული (არ მინდა ნოტარიუსებს შეურაცხყოფა მივაყენო). დღეს სასამართლო ასეთი აღარ არის. ჩვენ ეს რომ არ გაგვეკეთებინა, ფაქტობრივად, ქვეყანაში დემოკრატია არ იქნებოდა. ჩვენ ან ყველა მოსამართლე უნდა გაგვეყარა და მოგვეყვანა ახალი მოსამართლეები (როგორც გააკეთეს მათ, ნაციონალებმა) და დაგვეწყო საქმეების კერვა ნებისმიერი მტკიცებულებების გარეშე, რადგან, მართალია, დანაშაული ძალიან ბევრი აქვთ ჩადენილი, მაგრამ უამრავი მტკიცებულებაა განადგურებული, ან ისე უნდა მოვქცეულიყავით, როგორც მოვიქეცით. დამოუკიდებელი სასამართლო იყო ჩვენი ამოცანა. მკაცრ ხელსა და სტრატეგიულ ლოიალობას შორის ბალანსის დაკავება მართალია ძალიან ძნელია, მაგრამ საზოგადოების უსაფრთხოებისთვისა და სტაბილურობისთვის აუცილებელია. არ გეუბნებით, რომ ეს საუკეთესო გამოსავალია, მეტიც, მრავალმხრივ არ არის საუკეთესო გამოსავალი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ოპონენტს აძლევს საშუალებას ისაუბროს, ისეთ რამეზე, რაც მართლაც ვერ განახორციელე, ანუ ყველა ვერ შეყარე ციხეში, ეს ერთი, მეორე მხარის ოპონენტს აძლევს საშუალებას მობილიზაცია გააკეთოს თავისი რესურსების, ნაციონალური მოძრაობას და შენ კიდევ შუაში უნდა იფიქრო საზოგადოების სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე და როცა მთავრობაში ხარ, ვალდებული ხარ, რომ ასე გააკეთო. ყველა მხრიდან დარტყმები მიიღო, მაგრამ შენ თავზე აიღო ქვეყნის უსაფრთხოება, მით



5 gv.



ვახტანგ მაისაია:

# „ნაცები“ არიან ქართველი ტროცკისტები, რომლებიც საქართველოში „სიკვდილის ესკადრონის“ შემოყვანას გეგმავენ

გვესაუბრება სამხედრო ექსპერტი, ბატონი **ვახტანგ მაისაია**

**— ბატონო ვახტანგ, ჩვენს ირგვლივ არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციაა. რა საფრთხეებს შეიძლება მოველოდეთ გარედან?**

— რისკები მართლაც არსებობს. თუნდაც უკრაინიდან. კერძოდ, ყველა მებრძოლი, ვინც იქ მიდის, როგორც მოხალისეები, ასევე სხვა კონტინგენტი, არ მგონია, იქ მიდიოდნენ იმისთვის, რომ ნოვოროსიელ სეპარატისტებს ებრძოლონ, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური ელიტა და მათთან ასოცირებული ყოფილი გასამხედროებული ფორმირებების წევრები — ზონდერები, ყოფილი „სიკვდილის ესკადრონის“ მებრძოლები, რა თქმა უნდა, უკრაინაში არსებულ არეულ სიტუაციას გამოიყენებენ.

**ნაცები არიან ქართველი ტროცკისტები, აი, ახალი დეფინიცია თქვენი გაზეთის საშუალებით.**

როგორც ტროცკიმ იპოვა თავშესაფარი თავის დროზე მექსიკაში და ლათინური ამერიკის სახელმწიფოებში, ასევე ესენი დაბანაკდნენ უკრაინაში. როგორც კი თავშესაფარი იპოვეს, მაშინვე ვიხილეთ



ოთარ მირზოევი

კონკრეტული ტერორისტული აქტი — **იური ვაზაგაშვილი** მოკლეს. თუმცა ამ ტერაქტს პირველი ნაწილიც ჰქონდა. იანვრის დასაწყისში ჩართულობის საინფორმაციო სააგენტოს მიმართ განხორციელდა ტერაქტი — კიბერშეტევა. ჰაკერებმა გატეხეს ამ სააგენტოს საიტი. სამოქალაქო ჩართულობის სინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები პოლიტპატიმრები ვართ. ბატონები: **ლევან გოგიჩაიშვილი, ლევან ჩიტაძე, გიორგი ზერეკიძე,** მე და სხვები.

ჩვენ მივიჩნევთ, რომ ეს იყო მიზანმიმართული შეტევა, რომელიც შეარჩიეს პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე.

რაც შეეხება ბატონი იურის ცინიკური მკვლელობის საკითხს. ამ საშინელი საქმის ჩამდენებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ საზოგადოებას ჩამოაცილებდნენ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ შეუპოვარ მებრძოლს, რომელსაც ასევე მშვენივრად შეეძლო მასების მობილიზება და მართვა. თამამად შემიძლია ვთქვა: **იური ვაზაგაშვილი იყო ქართველი მარტინ ლუთერ კინგი, რომელიც იბრძოდა სამოქალაქო თავისუფლებისთვის**. ამ ადამიანზე აღმართეს ხელი. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მკვლელობა მოხდა სასაფლაოზე. როგორც სანდრო გირგვლიანის მკვლელობა განხორციელდა სასაფლაოზე, ესეც სასაფლაოზე მოხდა.

ეს ტროცკისტების ხელწერაა, ბატონებო.

გაიხსენეთ, როგორ ჰქონდა ტროცკის რიტუალების მანია. 1919 წელს მისი ინიციატივით შემუშავდა გეგმა. მან ბრძანა, ბოლშევიკების კონტროლირებად ქარხნებში ჩამოესხათ იუდას ქანდაკებები და ეს ქანდაკებები დაედგათ იმ ადგილას, სადაც ქრისტიანულ ეკლესიას ააფეთქებდნენ.

ტროცკი ამბობდა: ტრადიციებს უნდა ვებრძოლოთ ახალი ტრადიციების შემოღებით, ახალი ადამიანი უნდა შევქმნათო. მსგავსებებს ხედავთ, ალბათ.

**— ბატონო ვახტანგ, მოდით, კვლავ ჩვენს რეალობას დავუბრუნდეთ — შს მინისტრი გადადგა, კრიმინალური პოლიციის უფროსის მოადგილე მირზოევიც გათავისუფლებულია...**

— კი, ბატონო, ჭიკაიძე გადადგა, მირზოევიც, მაგრამ ძალიან ბევრი „ნაცმოძრაობის“ ყოფილი მხარდამჭერი და მათ ხელისუფლებაში მყოფი ჯერ კიდევ დარჩნენ თანამდებობებზე. მაგალითად, იგივე **სიმონიკა მაჩაიძე,** რომელიც, როგორც ამბობენ, მონაწილეობდა **ზურაბ ვაზაგაშვილის** მკვლელობის საქმეში. ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, არ შეიძლება დაუსჯელი დადიოდნენ **ლადო დათაშვილი, ვალერი ზუმბაძე** და **ოთარ ორჯონიკიძე**. ეს ადამიანები უშუალოდ მონაწილეობდნენ პოლიტპატიმრების წამებაში და ისინი დღეს მაღალ თანამდებობებზე არიან. მეტსაც ვიტყვი: ვალერი ზუმბაძე შემჩნეულია საერთაშორისო ტერორისტებთან უშუალო ურთიერთობებში. ეს უკვე დამტკიცებული ფაქტია. სამი ისეთი მტკიცებულება მაქვს, წყალი რომ არ გაუვა. პირველ რიგში, ამაზე ამერიკულმა პრესამ დაიწყო დაუბარი — რომ მისი მეშვეობით მოხდა ლაფანყურის სპეცოპერაციის მონაწილე ისლამისტი მეამბოხეების გადაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან თურქეთის ტერიტორიაზე ვალეს სასაზღვრო პუნქტიდან. ეს ადამიანები აღმოჩნდნენ ისლამური ხალიფატის რიგებში და დღეს სირიაში იბრძვიან. მათ შორის ლაფანყურის სპეცოპერაციის მონაწილეთა რაზმის მეთაური, ისლამისტური ხალიფატის ერთ-ერთი ლიდერი **აბუ ჰამზა. ვალერი ზუმბაძე** დღეს იძიებს ლაფანყურის სპეცოპერაციის საქმეს. ხელმძღვანელია ამ კომისიის. როგორ გამოიძიებს, თავად მიხვდებით.

სხვათა შორის, ჟურნალისტი ლია ტოკლიკიშვილი, რომელიც **ზურა ვაზაგაშვილის** მკვლელობის საქმეს იკვლევს, **იური ვაზაგაშვილს** სიკვდილამდე შვილის მკვლელობის მთავარ მოწმესთან უნდა დაეკავშირებინა. სწორედ ამ ქალბატონმა დადო ინფორმაციები დათაშვილსა და ზუმბაძეზე, როგორც ვთქვი, ეს ადამიანები დღეს დაწინაურებული არიან და საქართველოს ეროვნული უშიშროების პრობლემებზე მუშაობენ. ამიტომ მხოლოდ ჭიკაიძის გადადგომა საქმეს ვერ უშველის.

ქვეყანა მეხუთე კოლონისგან უნდა გაიწმინდოს, რომელნიც ჩაგუბებულნი არიან ყველგან, ხელს უშლიან განვითარებას და ტრაგიკულ სცენარებს წერენ დროდადრო.



თამაზ ჭალალიძე

**— რა არის იმის მიზეზი, რომ ვერ გაიწმინდა ქვეყანა სახელისუფლებო კრიმინალებისგან?**

— ეს არის სრული არაპროფესიონალიზმი. აი, ახლა, იური ვაზაგაშვილის საქმეზე პროკურატურამ სრული სიბეცე აჩვენა. როცა ტერაქტის ყველა ნიშანი დაფიქსირდა, იმის მაგივრად, რომ საქმე აღეძრათ სს 323-ე და 326-ე მუხლის თანახმად, აღძრეს 109-ე მუხლით. ან სრული უვიცები არიან, ან საქმე გვაქვს საბოტაჟთან.

ყველა კვალიფიკაციით, იური ვაზაგაშვილის მკვლელობა იყო ტერაქტი და ამ დანაშაულისთვის სს კოდექსი ცალკე სასჯელს ითვალისწინებს.

**— ტერაქტის კვალიფიკაციას თავი რატომ აარიდეს?**

— იმიტომ, რომ ტერაქტის დროს სულ სხვა ტიპის გამოძიება და სხვა სახის მიდგომებია საჭირო და ძიების პროცესში უფრო ადვილი და მოსალოდნელი იყო ნამდვილი დამნაშავის კვალზე დადგომა.

**— თქვენი აზრით, იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმე გაიხსნება?**

— ძიება თავიდანვე არასწორი მიმართულებით მიდის, ამიტომ მე არ შემიძლია ვთქვა, რომ ეს საქმე ნამდვილად გაიხსნება.

ამაზე გესაუბრეთ ზემოთ და ახლა თავად გამოიტანეთ დასკვნა — გაიხსნება თუ არა ეს მკვლელობა.

ამბობდნენ, ლაფანყურის ოპერაცია გაიხსნებაო, მაგრამ ყველამ დავინახეთ, ისლამისტმა ჭაღალიძემ რომ წამოგვაძახა ამ სპეცოპერაციის გაუხსნელობა და დაიმუქრა: საქართველო მოექცევა ტერორიზმის რკალშიო.

იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეს გამოიძიებენ თუ არა, ამაზე ერთი პასუხი მაქვს — ნო ცომმენტ!

**— მოსალოდნელია თუ არა ნაციონალების კვლავ დაბრუნება? სააკაშვილი და მისი მომხრეები ხან გაზაფხულზე აქციების გამართვით იმუქრებიან, ხან შემოდგომაზე საქართველოში „შემოსვლით“. ადეიშვილი გვითვლის — დედას გიტირებთო.**

— ძალიან კარგი, თუ საზოგადოება ასეთ მოლოდინში იქნება და ცოტა გამოფხიზლდება, რადგან ძალიან მოვდუნდით. ჩვენ მიცემული ვართ თვითდინებას. მივენდეთ იმ ძა-

ლებს, რომლებიც განცხრომაში არიან ჩაყურყუმალავებულნი და სირაქლემას მდგომარეობაში იმყოფებიან. „სტრაუსიზმი“ სჭირთ, „სტრაუსიზმი“. აი, კიდევ ერთი ტერმინი თქვენი გაზეთისთვის ექსკლუზიურად. ერთი სიტყვით, წვრილფეხა პოლიტიკურ საქონლებს — სააკაშვილს, ადეიშვილს და მისნაირებს მადლობა უნდა ვუთხ-



რათ იმისთვის, რომ აფხიზლებენ საზოგადოებას.

ჩამოსვლა უნდათ? ჩამოვიდნენ, დიდი სიამოვნებით დავხვდებით და ვინ როგორი გატყავებული იქნება, მერე ნახავენ.

ჩამოვიდნენ. ეს გვინდა ჩვენც. რადგან ესენი გაიქცნენ ლაჩრულად, ტურებივით.

**— „ქართული ოცნება“ როგორ მოიქცევა?**

— მე მგონი, მათში ამოქმედება თვითგადარჩენის ინსტინქტი და სამართლიანობის საბოლოოდ აღდგენის სურვილი გაუჩნდებათ. საზოგადოებასაც იგივე სურვილი აქვს და ეს ორი ძალა საბოლოოდ შეძლებს შედეგის მიღწევას.

ვიღაც ჯუჯა ადეიშვილი და პოლიტიკური პინოქიო — მიხეილ სააკაშვილი აწი ვეღარაფერს შეძლებენ.

პოლიტპატიმრები საშიმშილოდ რომ ჩავდიოდით, 2012 წლის არჩევნების წინა დღეები იყო, ციხის უფროსმა გვითხრა: არჩევნების დამთავრებისთანავე, 2 ოქტომბრის პირველი საათი რომ დაიწყება და დაფიქსირდება „ნაცმოძრაობის“ გამარჯვება, ცოცხალი ვერც ერთი ვერ გადარჩებითო. ბრძანება იყო გაცემული უსაფრთხოების სამსახურის მიერ — ჩამოსულიყვნენ და ჩვენი დასჯა განეხორციელებინათ, იმ მოტივით, თითქოს პატიმრებმა ბუნტი მოაწყვეს და სროლის ფონზე დაიხოცნენო.

ასეთ დროს არ შევშინდით 30-40 პოლიტპატიმარი, როცა სიკვდილს თვალებში ვუყურებდით და ნაცების ახლანდელი წკავწკავი რა მოსატანია?

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# ახალგაზრდობა ღამის ბარებსა და გართობაზე არ უნდა ფიქრობდეს - ილია მეორე



**კუკიაზე, წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში სადღესასწაული ლიტურგიის დასრულების შემდეგ უწმინდესმა მრევლს ქადაგებით მიმართა და წმინდა ნინოს დღესასწაული მიულოცა.**

„დიდება და მადლობა უფალს, რომ საქართველოს მოუვლინა წმინდა ნინო, რომელმაც მოაქცია საქართველო. დღევანდელი დღე განსაკუთრებულია ამ ტაძრისათვის. ტაძარი 120 წლისთავს დღესასწაულობს. ამ წმინდა ადგილზე იგი 120 წლის წინ აშენდა. შევთხოვ უფალს, ნათელში ამყოფოს ტაძრის დამაარსებელთა და აღმშენებელთა უკვდავი სულები.

წმინდა ნინო ეს არის სასწაულებრივი და უდიდესი პიროვნება საქართველოს ისტორიაში. წმინდა ნინომ უდიდესი სასწაულით მოაქცია საქართველო და აი, დღეს, მე ვფიქრობ იმ ღვაწლზე, რომელიც უნდა იკისროს ჩვენმა ახალგაზრდობამ. წარმოიდგინეთ, როგორი პასუხისმგებლობით ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები. დავით აღმაშენებელი 16 წლის იყო, როდესაც მას სამეფო გვირგვინი დაადგეს. ეს იყო უდიდესი პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე. თამარ მეფე მცირეწლოვანი იყო, როდესაც მისი მამის თანამოსაყდრე გახდა. ყოველი ადამიანი კი უნდა ფიქრობდეს არა იმაზე, რა ჭამოს და რა ჩაიცვას, ამას მას ღმერთი მისცემს, არამედ რისთვის მოვიდა ამ ქვეყანაზე, რა გააკეთოს სამშობლოსათვის“, - ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის თქმით, თანამედროვე ახალგაზრდობა გართობაზე ფიქრობს. არის ახალგაზრდების ნაწილი, რომელიც ფიქრობს ქვეყანაზე, მაგრამ ვერ გაუკვლევია გზა. უწმინდესმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდობა ღამის ბარებსა და გართობაზე არ უნდა ფიქრობდეს, რადგან ღამის ბარები მათ სულს კლავს და ახალგაზრდობა ამას უნდა ერიდოს.

# ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომას არ ველოდები, მას დიდი ინტელექტუალური და ორგანიზაციული რესურსი გააჩნია, რომ ეს ქვეყანა მართოს

3 gv.

უფრო, რომ ბევრია გარე გამოწვევაც.

**— ნაცმოძრაობა ღიად აანონსებს თებერვალში არეულობის დაწყებას, რას ელით?**

— არაფერს, არ მგონია რამე გამოუვიდეს. „ნაციონალურ მოძრაობას“ ძალიან სუსტი პლატფორმა აქვს ქართულ საზოგადოებაში, აქედან გამომდინარე ყველაფერი, მთელი თავის რესურსი გადატანილი აქვს გარედან შეტევის განხორციელებაზე მთავრობის მიმართულებით. სხვა პარტიებს კი, მაგ: თავისუფალი დემოკრატებს ასე თუ ისე რაღაც რესურსი გააჩნიათ, მაგრამ ბოლო პერიოდში თავის გამონათქვამებში ძალიან დაემსგავსნენ „ნაციონალურ მოძრაობას“. რაც შეეხება სხვა პარტიებს, ყველა ცდილობს რომ ამ ტალღას არ ჩამორჩეს და ზედაპირზე დარჩეს, თუნდაც საარჩევნო კოდექსზე საუბრისას, უკვე გაუთვლელად ისვრიან მხოლოდ იმ სამიზნეში, რომელსაც საერთაშორისო ექსპერტები, ან არასამთავრობო ორგანიზაციები უმიზნებენ. გამუდმებით გვსაყვედურობენ, აპელირებენ თანხებზე, არადა, მინდა გითხრათ, რომ მინისტრებსაც სამჯერ შეუმცირდათ ხელფასი. აი, ამ თემაზე არავინ ლაპარაკობს. დიახ, დანამატი და ხელფასი ერთად აღებული 5 ათას ლარს შეადგენს, 5 შედარებით 15 - დან, სამჯერ შემცირებულია მინისტრების ხელფასი. ვიმეორებ, ამაზე არავინ ლაპარაკობს, მაგრამ საკმარისია რომელიმე მაღალჩინოსანმა რაღაც ტელეფონი შეისყიდოს, რომ ატყდება ერთი ამბავი.

**— ვრცელდება ხმა, ბურჯანაძე, კუკავა და ინაშვილი ალიანსს ქმნიან და „ქართულ ოცნებას“ ვადაზე ადრე ჩაანაცვლებენო, თანაც ივანიშვილთან ყველაფერი შეთანხმებულიაო, ამაზე რას გვეტყვით?**

— ეგ არის ზღაპარი. აბა რა, რასაკვირველია. ინაშვილი პოლიტიკურ ასპარეზზე სამართლიანობის დროშით ახლა გამოჩნდა, თანაც საკმაოდ რადიკალური განცხადებებით. ეს პოლიტიკური ჯგუფი ნაციონალური მოძრაობისადმი რადიკალური მოთხოვნების ტალღაზე აღზევდა. რაც შეეხება ბურჯანაძეს დიდი ხანია პოლიტიკურ ასპარეზზეა და მისი პოზიცია, საგარეო და საშინაოც არის რადიკალურად განსხვავებული იმისგან, რასაც „ქართული ოცნება“ მისდევს. ამ ხმებს ნაციონალები ყრიან. ბურჯანაძის დაკავშირება „ქართულ ოცნებასთან“ მათი გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა. ცდილობენ დასავლეთი დაარწმუნონ, რომ მხოლოდ ესენი არიან მათი ერთგული ბიჭები, ქართული ოცნება კი პუტინის გზას მისდევს, მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო პუტინის პოლიტიკისადმი დაპირისპირებაშია. აი, პრიმიტიულად, რომ ვთქვათ, ეს ფორმულაა. ყველა თემა, რასაც ოდნავი საფუძველი აქვს, ან არ აქვს, ზოგი ნებსით და ზოგიც უნებლიედ, ითქმება, ყოველთვის მოხდება ამ თემების ტირაჟირება და ეს იცოდეთ, მაგრამ ერთი რამეც მინდა იცოდეთ, ყველა ეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ დადო, არის გაცილებით გაუმჯობესებული, ვიდრე იყო, ეს არის ბიზნესის კეთების საშუალება, ეს არის სტაბილურობა, ეს არის სოციალური თემების მაღალ დონეზე მენეჯმენტი და უამრავი სხვა საკითხი. დიახ, ყველაფერი არის ცნობილი, ყველაფერი დადებულია და აქედან გამომდინარე ნებისმიერი საკითხი, მინდა დავუბრუნდე პირველ, ბატონი იური ვაზაგაშვილის თემას, აი, მისი განადგურება სწორედ ყველაფერი ამის საწინააღმდეგოდ არის მიმართული. ასე რომ, საზოგადოებას თქვენი გაზეთის საშუალებით ვურჩევდი, რომ წყნარად იყოს, გადაწყვეტილებები მიიღოს ლოგიკური ანალიზის საფუძველზე და ნუ აყვება „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ინიცირებულ ჭორებს.

**— თქვენი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები, ჯერჯერობით არც ერთი გახმაურებული მკვლელობა არ გამოუძიებია პროკურატურას?!**

— ყველა საქმე პრაქტიკულად ბოლომდეა მიყვანილი, ეს საქმეები უკვე სასამართლოშია, იგივე ზურაბ ჟვანიასა და ბუტა რობაქიძის. ყველა გახმაურებული მკვლელობები, ფაქტობრივად, გამოძიებულია. თუკი ეს გახმაურებული მკვლელობები ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების პირობებში და ამაზე საზოგადოება და მათი ოპონენტები საუბრობდნენ, ქვეყნის შიგნით და გარეთ დღეს ვაზაგაშვილის მკვლელობამ კიდევ ერთი თემა წამოწია, რომ არა ხელისუფლების ბრძანებით მოკლულნი, არა, ასეთი, მაგრამ სასტიკი მკვლელობები თურმე „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროსაც ხდება. აქედან გამომდინარე, ეს კიდევ ერთი დამატებითი ეჭვია იმისა, თუ ვის აწყობდა ბატონი იური ვაზაგაშვილის სიკვდილი. აწყობდათ იმათ, ვისაც ქვეყანაში დესტაბილიზაცია უნდათ, ვისაც უნდა დაანახოს საზოგადოებას — ახლაც ხდება მკვლელობებიო. მაგრამ ვინ ჩაიდინა ეს მკვლელობა, ეს სხვა საკითხია, ჩაიდინა სხვა არის, ვის აწყობდა კი სხვა. და ჩაიდინა შეიძლება იმან, ვისაც აწყობდა დესტაბილიზაცია და უნდათ, რომ ვიფიქროთ, რომ ვისაც აწყობდა იურას სიკვდილი, იმის ჩადენილია და აწყობდა, ნამდვილად, „ნაციონალურ მოძრაობას“, ეს ცალსახად. მაგრამ ვინც ჩაიდინა, არ ნიშნავს, რომ, ვისაც აწყობდა, იმან ჩაიდინა, ვინც ჩაიდინა, აწყობს სწორედ, რომ მიუთითოს



იმაზე, რომ იმათი ჩადენილი შეიძლება იყოს. მეორე მხრივ, მიუთითოს იმაზე, რომ ხელისუფლება არ არის ძლიერი იმდენად, რომ ასეთი დანაშაულობები აღკვეთოს და ეს მთლიანობაში მიმართულია იმისკენ, რომ დესტაბილიზაცია მოხდეს. ე.ი. ხელისუფლებასაც მნიშვნელოვნად ურტყამს ეს მკვლელობა და მეტსაც გეტყვით, იმასაც ურტყამს, ვისაც ეს მკვლელობა აწყობდა, ანუ ჩვენს ოპონენტებს. მათზე ეჭვს გიჩენს და ხელისუფლების მიმართ კიდევ ცუდ დამოკიდებულებას გიჩენს, ასე რომ, გამოძიება ძალიან რთული ამოცანის წინაშე დგას.

**— მოსალოდნელია თუ არა სხვა სერიოზული სამთავრობო ცვლილებებიც, ღარიბაშვილი ამ ამბავს გადაყვებაო...**

— აბსოლუტურად მოსალოდნელი იყო, რომ გაგრძელდებოდა ასეთი პროპაგანდისტული შემოტევები. მე არ ველოდები ცვლილებებს, ღარიბაშვილს, როგორც ინტელექტუალური, ასევე ორგანიზაციული რესურსი გააჩნია, რომ წარმატებულად მართოს ეს ქვეყანა. საზოგადოებასაც სიფრთხილე მართებს გადაწყვეტილებების მიღებისას, მაგრამ, როდესაც სოციალური პრობლემები დგას ქვეყანაში, მაშინ გაბრაზებული ადამიანის პროპაგანდაზე აყოლიება არის ძალიან ადვილი. ამიტომ პირველი ამოცანა და გამოწვევა ქვეყნისთვის სამუშაო ადგილების შექმნა და ინვესტიციების განხორციელებაა. არც ერთი ინვესტორი არ შემოვა ქვეყანაში, სადაც დენთის სუნი ტრიალებს. სწორედ აქედან არის განპირობებული რუსეთთან მოლაპარაკებების პროცესის არ შეჩერება, აქედან არის განპირობებული აუცილებლობა იმისა, რომ არ გადაუხვიო კანონს და არ დაიწყო ტერორი ოპონენტის მიმართ და ბევრი სხვა საკითხები, რომლებიც უკავშირდება მომავალი თაობის კეთილდღეობას.



**ქეთი ხომერიკი**
**592 53 53 03**

# ჩემი, როგორც რეგიონის ხელმძღვანელის, უპირველესი ამოცანაა, მრავალეთნიკური ქვემო ქართლი ყველა იქ მცხოვრებისთვის თავის სამშობლოდ აღიქმებოდეს

**ინტერვიუ სახელმწიფო რწმუნებულთან ქვემო ქართლის რეგიონში, ბატონ პაატა ხიზანაშვილთან.**



**— ბატონო პაატა, მას შემდეგ, რაც თქვენ სახელმწიფო რწმუნებული გახდით, ერთი თვე გავიდა. საკმაოდ რთულ რეგიონში მოგიწევთ მოღვაწეობა, თუმცა „საერთო გაზეთს“ თქვენთან რამდენიმეჯერ ჰქონდა ინტერვიუ, გიცნობთ და ვიცით თქვენი შესაძლებლობების შესახებ, განვლილ გზაზეც გვაქვს წარმოდგენა, მაგრამ მაინც გკითხავთ — როგორ გადაწყდა ამ თანამდებობაზე თქვენი დანიშვნა, რა უძღოდა წინ ყოველივე ამას?**

— საქართველო ჩვენი სამშობლოა, ქვემო ქართლი კი — ჩემი პატარა სამშობლო. ეს მართლაც ასეა — მე ხომ დმანისელი ვარ, სოფელ გომარეთიდან. ჩემი წინაპრების რამდენიმე თაობაც ამ მიწაზე ცხოვრობდა.

მოგეხსენებათ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დმანისის რაიონის მაჟორიტარად ვიყრიდი კენჭს და საარჩევნო კამპანიის დროსაც, რასაკვირველია, აქტიურად ვთანამშრომლობდი ქვემო ქართლის სხვა რაიონებთანაც. აქ ბევრი ნათესავი, ნაცნობი და ახლობელი მყავს, ბევრ პატიოსან ადამიანს ვიცნობ ამ მხარეში.

ეს არის ადგილი, სადაც დავიბადე და გავიზარდე. ჩემს მშობლიურ გომარეთში შვიდი ეკლესია, მათგან ერთ-ერთი ხიზანაანთ სალოცავია. იქვეა ხიზანაანთ გორა. გომარეთს თავზე გადმოჰყურებს XI საუკუნის ბაზილიკის ტიპის ულამაზესი ეკლესია, რომლის სიახლოვესაც არის ხიზანაანთ წყარო. ეს ტოპონიმები იმაზე მეტყველებს, რომ აქ ხიზანაშვილი ერთ-ერთი ძირძველი გვარია. სახელი ხიზანა ძველსპარსულად მეამბოხეს ნიშნავს და იმ წყაროს სახელწოდებაც უშუალოდ ჩემი მეამბოხე წინაპრის სახელს უკავშირდება.

პედაგოგების ოჯახში გავიზარდე. მამაჩემი ისტორიკოსი იყო, ძველი რომის ისტორიის სპეციალისტი, თუმცა შესანიშნავად იცოდა მსოფლიოს ყველა დროის ისტორია. ხშირად ამბობდა ხოლმე, დმანისი ევროპის სამშობლოაო. გული მწყდება, რომ მამა ვერ მოესწრო დმანისის ნაქალაქარის არქეოლოგიურ გათხრებს, ზეზვასა და მზიას აღმოჩენას და იმის დადასტურებას, რისიც ასე სჯეროდა — რომ სწორედ აქედან იწყებოდა არა მხოლოდ საქართველოს ისტორია.

ეს ყველაფერი იმიტომაც გიამბეთ, რომ გითხრათ — ჩემი ფესვებით, ჩემი წინაპრებით მჭიდროდ ვარ დაკავშირებული ქვემო ქართლთან. ამით თქვენს შეკითხვას ნაწილობრივ ვუპასუხე.

გარდა ამისა, ორმოცწლიანი შრომითი გამოცდილება მაქვს, მიმუშავია სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობზე, ბოლო 9 წლის განმავლობაში კი „ბანკ ქართუში“ ბანკის აქტივების სამსახურს ვხელმძღვანელობდი. არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ რამდენიმეჯერ შემომთავაზეს სამთავრობო სტრუქტურაში მუშაობა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ იმ ეტაპზე იქ უფრო საჭირო ვიყავი, სადაც ვმუშაობდი, ანუ ბანკისთვის. ამიტომაც გადაწყვეტილების მიღებას არ ვჩქარობდი. ჩემი მშობლების ოჯახშიც და სანათესაოშიც საზოგადოებრივი, საქვეყნო საქმე ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნდათ, ხოლო პირადული ყოველთვის უკანა პლანზე ინაცვლებდა. ამ ტრადიციებით აღმზარდეს მეც.

რომ გითხრათ, ამ თანამდებობაზე მოსახვედრად რამე ინიციატივა გამოვიჩინე-მეთქი, არ იქნება მართალი. გადაწყვეტილება უმაღლეს დონეზე მიიღეს. ძალიან კარგად მიცნობს პრემიერ-მინისტრი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჩემი სტუდენტობის მეგობარია, პრეზიდენტთანაც და ქალაქის მერთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს და ეს ყველაფერი დღეს არ დაწყებულა. დიდი ხანია ვიცნობ ბევრ თანამდებობის პირს, მათ, ვინც ახლა საქართველოს ბედს წარმართავს.

მათ მშვენივრად იცოდნენ, რომ ჩემი ფესვებით ქვემო ქართლთან ვარ დაკავშირებული, ვიცი, თუ რა პრობლემების წინაშე დგას მთლიანად ეს რეგიონი, რაც მთავარია, მენდობა აქაური მოსახლეობა, მათ შორის მენდობიან აზერბაიჯანელებიც, რომლებიც პროცენტულად ქვემო ქართლის რეგიონის უმრავლესობას შეადგენენ. აქვე ვიტყვი, რომ ვსაუბრობ აზერბაიჯანულადაც და სომხურადაც. და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი, რის გამოც ამ მხარეში რწმუნებულად ჩემი დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღეს — ეს არის წლების განმავლობაში რეგიონში დაგროვილი პრობლემების მოგვარების ჩემეული გეგმა.



**— თქვენი დანიშვნის პერიოდშივე ანზორ ჩუბინიძესა და მირიან მჭედლიშვილს საპასუხისმგებლო თანამდებობები ანდეს. მათზე ამბობენ, რომ ისინი წესიერი ადამიანები არიან. ამ ხელისუფლებას საკადრო პოლიტიკას უწუნებდენ და ბოლოდროინდელი დანიშვნებით, როგორც ჩანს, სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად...**

— უნდა დაგეთანხმოთ. მართლაც საინტერესო გადაწყვეტილებები მიიღეს. კადრების საკითხი მხოლოდ ამ ხელისუფლების პრობლემა როდია. იგი თითქმის ყველა დროის ყველა ხელისუფლებისთვის გარკვეულწილად პრობლემურიც იყო და მნიშვნელოვანიც.

თანამდებობებზე, რა თქმა უნდა, შემთხვევითი ადამიანები არ უნდა ინიშნებოდნენ. პიროვნებას უნდა ჰქონდეს პროგრესული მსოფლმხედველობა, რწმენა, ფასეულობათა სწორი სისტემა და კარგია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ აქცენტი გადაიტანა ასეთ მთლიან, გაწონასწორებულ პროფესიონალებზე. ეს კარგი ტენდენციაა.



ანზორ ჩუბინიძე და მირიან მჭედლიშვილი სწორედ ამ თვისებებით არიან დაჯილდოებული, ისინი შესანიშნავი პიროვნებები არიან.

მახსოვს, სტუდენტობისას, მირიან მჭედლიშვილზე ჩვენი ლექტორი ამბობდა, ქართული და რუსული კლასიკური ლიტერატურა შესანიშნავად იცისო. ჩვენი ძირითადი სასწავლო დისციპლინები — მასალათა გამძლეობა, მხაზველობითი გეომეტრია, ლითონმჭრელი ჩარხები და იარაღები და ა.შ. თითქოს შეუთავსებელი უნდა ყოფილიყო ლიტერატურასა და ხელოვნების ისტორიასთან; მიუხედავად ამისა, მხარეთმცოდნეობის ფაკულტეტზეც ვსწავლობდით და ტექნიკური საგნები, მრეწველობის ეკონომიკა ან ორგანიზაცია-დაგეგმვის სპეციალობა სულაც არ გვიშლიდა ხელს, მაგალითად იმაში, რომ ძველი ქართული დამწერლობა, ძველი ქართული მწერლობა, ისტორია და კულტურა შეგვესწავლა.

**— რა პრობლემებს ხედავდით ქვემო ქართლში, ასე ვთქვათ, შორიდან და რა დაგხვდათ, როცა უკვე იქ ჩახვედით, როგორც რეგიონის ხელმძღვანელი?**

— იქ არსებული პრობლემების შესახებ, როგორც უკვე აღვნიშნე, ჩემთვის იმთავითვე იყო ცნობილი. ახლა, რა თქმა უნდა, უფრო დეტალურად და სიღრმისეულად გავეცანი ყველაფერს.

ერთ თვეზე ოდნავ მეტია, რაც რეგიონის რწმუნებულ-გუბერნატორად დავინიშნე, მაგრამ მიუხედავად ასე მცირე დროისა, შეიძლება ითქვას, თითქმის ყველა კუთხე-კუნჭული მოვიარე, სისტემატურად დავდივარ რაიონებში, სოფლებში, პირადად ვხვდები აქაურ მკვიდრ მოსახლეობას. ინტენსიური ჯგუფური შეხვედრებიც ჩვენი ყოველდღიურობაა. სხვანაირად წარმოუდგენელია.

გამოცხადებული მაქვს, ასე ვთქვათ, „ღია კარის ურთიერთო-

## ქვემო ქართლის რეგიონი

ქვემო ქართლის ფართობია 6,5 ათასი კვ.კმ., ქვეყნის ტერიტორიის 9,3%.

რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა 511,2 ათასია, რაც საქართველოს მოსახლეობის 11,4%-ს შეადგენს.

რეგიონში შედის 347 დასახლებული პუნქტი — 7 ქალაქი, 6 დაბა და 334 სოფელი.

რეგიონის მოსახლეობის 39% ცხოვრობს ქალაქებსა და დაბებში, ხოლო 61% — სოფლებში.

მაღალმთიან დასახლებებს მიეკუთვნება დმანისის მუნიციპალიტეტის 19, წალკის მუნიციპალიტეტის 46 და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის 35 სოფელი.

მოსახლეობის 44,7% ეთნიკურად ქართველია, 45,1% — აზერბაიჯანელი, 6,4% — სომეხი, ხოლო 3,8% — აფხაზი, ოსი, რუსი, ბერძენი, უკრაინელი და ქურთი.

ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედებს 7 თვითმმართველი ერთეული: თვითმმართველი ქალაქი რუსთავი და ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და წალკის მუნიციპალიტეტები.

რეგიონალურ დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, რომლის ადმინისტრაცია ქ. რუსთავშია განთავსებული.

ბა“. არ არის დღე, რომელიც მოქალაქეთა მიღებას არ ითვალისწინებს. მოსახლეობა მოწყურებულია ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრას, რადგან მათ ამის შესაძლებლობა წინა წლებში არ გააჩნდათ.

მათთან შეხვედრებზე ახალი თითქმის არაფერი გამიგია — აქაურთა ყველა ძირითადი პრობლემის შესახებ ისედაც ვუწყოდი.

ჩვენ მსოფლმხედველობა და რწმენა ვახსენეთ და სწორედ რწმენა, ხვალინდელი დღის რწმენა და იმედი არის ის, რაც ამ ადამიანებს სჭირდებათ, რაც ასე აკლიათ. რწმენა დაიმედი კი მოსახლეობისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის ერთობლივად უნდა დაიბადოს.

**— მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ერთი თვეა, რაც რეგიონში ჩახვედით, მოსახლეობისგან მხოლოდ კარგი გვესმის თქვენზე.**

— უამრავ ადამიანს შევხვდი და ერთი ძალზე საინტერესო რამ შევამჩნიე — მოსახლეობის 80 პროცენტი არ ითხოვს მატერიალურ დახმარებას, თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ნამდვილად არ ულხინთ. მათი ძირითადი საჭიროება სულიერი თანადგომაა. ისინი ე.წ. მხარდამჭერს ეძებენ. თუ დაინახეს, რომ მათნაირად და მათს სატკივარზე ფიქრობ და გულწრფელი ხარ, იცოდე, რომ ისინი შენს მხარეს არიან და ერთად საქმის კეთებაც სულაც აღარ იქნება საძნელო. ხალხი, უბრალო ადამიანები იმწამსვე ხვდებიან, „მათიანი“ ხარ, გიყვარს ისინი თუ არა. არ უნდა ითამაშო, გულწრფელი უნდა იყო. როგორც კი თვალთმაქცობას დაიწყებ, ისევ გაცივდება ურთიერთობები, დაშორდები ხალხს და ისევე დაგიწყებენ ყურებას, როგორც წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს უყურებდნენ.

ბატონი ბიძინა ჯერ კიდევ არჩევნებამდე ამბობდა, ჩვენ ხალხს უნდა ვემსახუროთ, აქტიურად უნდა შევუწყოთ ხელი იდეების განხორციელებაში, მაგრამ ეს არ უნდა გულისხმობდეს ცალმხრივ დამოკიდებულებას, ერთმანეთს უნდა ავსებდეს, ერთობლივ მიზანს უნდა ემსახურებოდესო.

**— რა იდეები აქვს, რა აინტერესებს ქვემო ქართლის მოსახლეობას?**

— ქვემო ქართლი მდიდარი რეგიონია. წამყვანი დარგი არის სოფლის მეურნეობა, მაგრამ მძლავრი სამრეწველო კომპლექსებიც არსებობს. უკვე დაიწყო ინვესტიციების შემოდინებაც. ხალხმა დაინახა, რომ ახალმა ხელისუფლებამ ხალხზე ზრუნვა დაიწყო და ისინიც ყოველდღე მოდიან ახალი იდეებით; გააქტიურდნენ ინვესტორები, პატარა კოოპერატივებით დაწყებული, მსხვილი კომპანიებით გაგრძელებული და ვფიქრობ, მათი აქტიურობა რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობას წაადგება.

თავის დროზე ნაციონალებმა შექმნეს ქვემო ქართლის განვითარების საინვესტიციო სააგენტო, რომელიც დარეგისტრირებული იყო როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირი. ეს ორგანიზაცია მათ რეგიონის განსავითარებლად არ შეუქმნიათ, სხვა მიზნები ამოძრავებდათ — „ფულის გასათეთრებლად“ იყენებდნენ. ჩვენი ამოცანაა, ეს სტრუქტურა მართლაც რომ ქვემო ქართლის განვითარების სააგენტოდ ვაქციოთ. ყველა, ვინც ჩვენს რეგიონში ინვესტიციების განხორციელებას გადაწყვეტს, მათ დავახვედრებთ მზა კვლევებს, მზა გარემოს, რათა ძალიან მოკლე დროში განახორციელონ პროექტები.



**— ქვემო ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი არაქართველია, უფრო მეტი აზერბაიჯანული მოსახლეობაა. როგორ წარმოგიდგენიათ მათი შემდგომი უფრო მჭიდრო ინტეგრაცია ქართულ სინამდვილესთან? მით უფრო, რომ ქვემო ქართლის მოსახლეობას უყურებდნენ როგორც საარჩევნო ხმების „ბეღელს“, მათი მოქალაქეობრივი პოზიციები კი უგულებელყოფილი იყო.**

— აზერბაიჯანელები ისევე არიან ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, როგორც სომხები, ბერძნები, აფხაზები, ოსები და სხვები. ჩვენ თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება დაგვიგროვდა და მნიშვნელოვანია, ეს გამოცდილება ჩვენი სამშობლოს სამსახურში ჩავაყენოთ — ჩვენ ხომ ერთი დიდი მუხის — საქართველოს ფესვები ვართ. ჩემი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაც სწორედ ეს იქნება — გავიხსენოთ და დავუბრუნდეთ ჩვენს ფესვებს.

რაც ხმათა „ბეღელზე“ ბრძანეთ, აბსოლუტური სიმართლეა და ეს იყო ნამდვილი ძალადობა ამ პატიოსან და წესიერ ადამიანებზე.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა რუსთავში წინასაარჩევნო აქციაზე საგანგებოდ აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლების დროს თალლითურად ართმევდნენ ხმებს ტომარა ფქვილის, შაქრის ან ფულის სანაცვლოდ და ამით თავისუფლებას, თავისუფალი არჩევნის უფლებას ართმევდნენ ხალხს.



ქვემო ქართლში ათჯერ მეტი ხმა მივიღეთ, ვიდრე ოდესმე მიუღია ოპოზიციურ პარტიას, ხმების უმრავლესობით ნაციონალებმა „გამარჯვება“ მიითვისეს.

დმანისის რაიონში ირგანჩაი, ყამარლო, ყარაბულახი და სხვ. აზერბაიჯანელებით დასახლებული ყველაზე დიდი სოფლებია. როგორც ამბობენ, ნაციონალებმა თითოეული ხმის საფასურად საკმაოდ დიდი თანხა გადაუხადეს იქაურ ამომრჩეველს. როცა დღეს მათ ვხვდები, აშკარად ვგრძნობ, როგორ ეუხერხულებათ ჩადენილი საქციელის გამო. კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებით ამ მავნე პრაქტიკას ბოლო მოეღო და იმედი ვიქონიოთ, რომ იგი აღარასოდეს განმეორდება.

**— რეგიონში, მისი მრავალეთნიკურობის გათვალისწინებით, ყოველთვის არსებობდა სახელმწიფო ენის შესწავლისა და მისი გამოყენების პრობლემა...**

— ეს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა და მის მოსაგვარებლად ასევე სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი. უკვე შემუშავებული პროექტების განხორციელებით პრობლემას ნელ-ნელა დავძლევთ. ამ მხრივ ინტენსიური მუშაობაა საჭირო სკოლებში.

ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვნად მიმაჩნია ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა. ამ პროცესში უნდა მონაწილეობდნენ აზერბაიჯანელები, სომხები, ბერძნები, ყველანაირი წარმომავლობის მოსახლეობა. უნდა გავაჩინოთ სახელმწიფო ენის ცოდნის მოთხოვნილება და იმავდროულად, ჩვენც უნდა ვეცადოთ და შევისწავლოთ იმ ეთნოსების ენა, რომლებსაც საცხოვრისად ჩვენი ქვეყანა ერგოთ.

განათლების სამინისტრო ამ მიმართულებით ბევრ საინტერესო პროექტს ახორციელებს და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი მონაწილეობით ეს პროცესი უფრო სწრაფი ტემპით წარიმართოს.

პირადად მე აზერბაიჯანულის ერთ-ერთ დიალექტზე, ურუმების თურქულ დიალექტზე ვსაუბრობ ბავშვობიდან, რადგან მათ შორის ბევრი მეგობარი მყავდა.

**— გზები, ელექტროენერგია, წყალი ამ რეგიონისთვისაც მნიშვნელოვანი პრობლემაა...**

— გეთანხმებით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ქვემო ქართლში ბევრი პროექტი დაიწყო და უკვე დასრულდა კიდეც. ეს არ იყო ფასადური პროექტები, რომლებსაც ასე შეაჩვია მოსახლეობა სააკაშვილმა. ეს მართლაც რეალური პროექტებია, რომლებითაც წყლით მომარაგების, გზების, საირიგაციო და სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემები გადაიჭრა. ამ მხრივ სამინისტროები და ადგილობრივი მუნიციპალიტეტები შეთანხმებულად მუშაობენ. 2015-2017 წლებში რეგიონისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ღონისძიებებია დაგეგმილი.

რამდენიმე დღის წინ 4-მილიონიან პროექტს მოვაწერე ხელი. ხუთი დიდი სოფელი — მარტყოფი, ნორიო, ახალი სოფელი, ახალი სამგორი და ვაზიანი, რომლებშიც 70 ათასი კაცი ცხოვრობს, უწყვეტად მიიღებს სასმელ წყალს. მარნეულსა და ბოლნისში ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის დახმარებით რამდენიმე პროექტი განხორციელდება...

არსებობს საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული ქვემო ქართლის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2014-2021 წლებისთვის და მისი შესრულება ეტაპობრივად მიმდინარეობს.

**— თქვენი ადმინისტრაცია ქალაქ რუსთავშია. ეს იყო ქალაქი, რომელიც ინდუსტრიული პერსპექტივებისთვის შეიქმნა. სამწუხაროდ, დღეს აქაც ბევრი პრობლემაა...**

— მოგეხსენებათ, რუსთავი დიდი ისტორიის მქონე ინტერნაციონალური ქალაქია, რომელშიც მშრომელი და გამრჯე ხალხი ცხოვრობს. სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში მართლაც რომ ქართული ინდუსტრიის ბურჯი, უფუნქციოდ დატოვეს. ახლა, ახალი ხელისუფლების პირობებში, ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ რუსთავმა ოდინდელი ფუნქცია დაიბრუნოს და რუსთაველები წელში გაიმართონ.

ამუშავდა მეტალურგიული ქარხანა, მუშაობს აგრეთვე საწარმოო გაერთიანება „აზოტი“ და მათი პროდუქცია უცხოეთში იგზავნება. იგეგმება თანამედროვე მაღალტექნოლოგიური საწარმოს ამუშავება, სადაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმდება.

როცა მეწარმეს აქვს იმედი, რომ მის მიერ შექმნილ საწარმოს არ წაართმევენ, მას უჩნდება დამატებითი მოტივაცია, კიდევ უფრო განავითაროს იგი და მეტი ინვესტიცია ჩადოს მასში. ჩვენ უკვე ვამკვიდრებთ ასეთ სამეწარმეო კლიმატს და მუშახელზე მოთხოვნილებაც თანდათან იზრდება.

ასევე ვგეგმავთ, ქვემო ქართლის განვითარების საინვესტიციო სააგენტოს ბაზაზე დავიწყოთ სხვადასხვა სპეციალისტის მომზადება-გადამზადება მოთხოვნად პროფესიებზე. ეს შეეხება მათ, ვინც მუშაობდა, მაგალითად მეტალურგიაში ან დათხოვნილია სამხედრო სამსახურიდან, ან გასულია პენსიაზე, დაეხურა წარმოება და უსამსახუროდ დარჩა.

**— ქვემო ქართლი თითქოს ერთი მთლიანი მუზეუმია. აქვეა საყდრისის ისტორიული ძეგლიც. ამ კუთხითაც ძალიან მნიშვნელოვან ადგილას აღმოჩნდით. ბოლოს და ბოლოს, ქვემო ქართლი ზეზვას და მზიას სამშობლოა...**

— შემიძლია ვთქვა, ფეხით მაქვს შემოვლილი მთელი ქვემო ქართლი მამასთან ერთად. ყოფილა შემთხვევა, მივდიოდით ტყეში, სრულიად უკაცრიელ ადგილას და უცებ ხის ფესვებში თვალი მოგვიკრავს სურისთვის, ქოთნისთვის, მიპოვია ძველი ისრები... აქაურობა ჩვენი ისტორიაა... მისი გაფრთხილება ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

რეგიონში არსებული კულტურულ-ისტორიული ძეგლების კონსერვაცია, მათი დაცვა და მოვლა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. უნდა ავაშენოთ თანამედროვე მუზეუმები რაიონებში, რომლებიც რეგიონის კულტურის ცენტრად გადაიქცევიან. მათში თავს მოვუყრით იმ ისტორიულ არტეფაქტებს, რომლებიც ამ ტერიტორიებზეა აღმოჩენილი.

ქვემო ქართლში — ბოლნისის, თეთრი წყაროსა და წალკის რაიონებში არსებობდა გერმანელთა კომპაქტური დასახლებები. გასული საუკუნის 40-იან წლებში ისინი შუა აზიაში გაასახლეს. მაგალითად, სოფელ ასურეთში შემორჩენილია 250-მდე გერმანული საცხოვრებელი სახლი, თითქმის ხელუხლებლად არის შემონახული საყოფაცხოვრებო იარაღები, მარნები, ყურძნის საწურები. 7 თებერვალს გერმანიიდან გვესტუმრება არქიტექტორთა ჯგუფი, რომელიც ქართველ სპეციალისტებთან ერთად შეიმუშავებს ამ სოფლის რეაბილიტაციის გეგმას. შეიქმნება რეგიონის ტურისტული ცენტრი — გერმანული სოფელი-ეთნოგრაფიული მუზეუმი. ეს, ფაქტობრივად, არაპირდაპირდაპირი ინვესტიციაა.

ქვემო ქართლი, თითქმის მთლიანად, ღია ცის ქვეშ მუზეუმია და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება ჩვენი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ჩემი, როგორც რეგიონის ხელმძღვანელის უპირველესი ამოცანაა მრავალეთნიკური ქვემო ქართლი ყველა იქ მცხოვრებისთვის აღიქმებოდეს როგორც თავისი სამშობლო და თითოეულს თავისი წვლილი შეჰქონდეს ჩვენი ქვეყნის გამთლიანებისა და აღორძინების საქმეში. საქართველო სამშობლო უნდა იყოს თითოეული მათგანისთვის.

**ირანდა კალანდაძე**
**593 56 11 18**

# ვინ ცდილობს ბიძინა ივანიშვილის და საქართველოს მოსახლეობის დაშინებას?



იური ვაზაგაშვილზე განხორციელებული ტერაქტის შემდეგ სოციალურ ქსელებში მომენტალურად იფეთქა საგანგაშო ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ ტექრაქტი მზადდება ივანიშვილის წინაალმდეგაც.

ამ „პოსტების“ მიხედვით ძნელია გაარკვიო, რას ეყრდნობა გავრცელებული ინფორმაცია მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ, საიდან იღებს სათავეს ეს ინფორმაცია, ვინ არის პირველწყარო და, საერთოდ, რას წარმოადგენს ეს ინფორმაცია — ვიღაცების მიერ მოსახლეობაში პანიკის და შიშის დასანერგად მიზანმიმართულად გავრცელებულ ჭორს თუ რეალურად არსებული რაღაც გეგმის ამსახველ ძალზე მნიშვნელოვან გზავნილს?

ცხადია, იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ავტორები ერთდროულად რამდენიმე სერიოზული მიზნის განხორციელებას ცდილობდნენ, მათ შორის უმთავრესი და უპირველესი მიზანი მაინც საზოგადოებაში არასტაბილურობის და დაუცველობის ატმოსფეროს შექმნაა, რასაც ამ ვანდალური აქტის დამგეგმავებმა ნაწილობრივ მიაღწიეს კიდეც.

როგორც ირკვევა, ბატონი იური ამ ტრაგიკულ შემთხვევამდე რამდენიმე დღით ადრე ბიძინა ივანიშვილს შეხვედრია და ვრცელი საუბარი ჰქონია მისი შვილის, ზურა ვაზაგაშვილის, მკვლელობის ახალ გარემოებებთან დაკავშირებით.

**ცხადია, ტერაქტის დამგეგმავებმა იცოდნენ ეს და თითქოს სპეციალურად მოიყვანეს სისრულეში თავიანთი ბოროტი განზრახვა ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღეში, რითაც ყველა გააფრთხილეს: — ჩვენ ვერავინ გადაგვეღობება წინ, ვერავინ ვერ შეგვიშლის ხელს და ვერავინ შეგვაჩერებს. თქვენ ვერავინ ვერ გიშველით და ვერავინ ვერ დაგიცავთ, მათ შორის ვერ დაგიცავთ ბიძინა ივანიშვილიც კი** — ასეთია იმ მესიჯის შინაარსი, რომელიც იური ვაზაგაშვილის მკვლელებმა მთელ საქართველოს გაუგზავნეს.



ამ მესიჯის პირდაპირი გაგრძელება უნდა იყოს ბიძინა ივანიშვილზე შესაძლო თავდასხმის შესახებ გავრცელებული ხმები — დაუცველია არა მხოლოდ რიგითი მოქალაქე, არამედ დაუცველია თვით ბიძინა ივანიშვილი და, საერთოდ, მთელი ქვეყანა — ასე იშიფრება ამ საგანგაშო ინფორმაციის ქვეტექსტი.

ბიძინა ივანიშვილის დაშინების და მასზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მცდელობები ახლა არ დაწყებულა. ამას დიდი ხნის ისტორია აქვს და ეს ისტორია ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამდე ორი წლით ადრე დაიწყო.

გახსოვთ, ალბათ, როგორი ინტენსიურობით ვრცელდებოდა ქართულ მედიაში ინფორმაციები, რომ ბიძინა ივანიშვილი ყველაფერს ყიდის და საქართველოდან მიდის. საბედნიეროდ, ეს „წინასწარმეტყველებები“ უკუღმა ახდა და ბიძინა ივანიშვილი წასვლის ნაცვლად პოლიტიკაში მოვიდა.

პოლიტიკაში მოსვლის შემდეგაც ახალი ენთუზიაზმით გაგრძელდა ივანიშვილის „დატერორება“ მისი „კეთილისმყოფელების“ მხრიდან ახალ-ახალი ჭორებით და სკანდალური „ინფორმაციებით“...

ერთი-ორჯერ ერთმა ჟურნალისტმა ქალბატონმა „იხსნა“ ივანიშვილი მოსალოდნელი „ტერაქტისგან“, რომელიც, სავარაუდოდ, ამ ქალბატონის საწერ მაგიდაზე, მის მიერვე იყო „დაგეგმილი“, რომლის ხელმძღვანელადაც მისთვის და „ნაცმოძრაობისთვის“ არასასურველი პირი იყო დასახელებული.

ქალბატონი ხშირ-ხშირად შეახსენებდა ხოლმე ივანიშვილს, რომ სწორედ მან იხსნა იგი დიდი ფათერაკისგან, ივანიშვილმა კი „მხსნელს“ დამსახურება არ დაუფასა.

ამასობაში მეორე „მხსნელიც“ გამოჩნდა ერთ-ერთი გაზეთის სახით, რომელმაც რამდენიმე სენსაციური სტატია გამოაქვეყნა თავის ფურცლებზე, სადაც ივანიშვილს დაბეჯითებით არწმუნებდნენ, რომ მისი ბიზნესცენტრი სოლოლაკში რადიუმზე დგას და გარდაუვალი კატასტროფის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია მისი სასწრაფოდ დაცლა და ამ მომაკვდინებელი ზონიდან გარიდება.

ივანიშვილმა არც ეს „უტყუარი“ ინფორმაცია დაიჯერა და დღემდე აგრძელებს მუშაობას „რადიაქტიურ“ ზონაში.

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი რამ: ხელისუფლების სათანადო ორგანოებმა, როგორც ჩანს, არ იციან პრესის სწორად წაკითხვა, თორემ ჩვენს ყვითელ მედიაში აბსოლუტურად ზუსტად ჩანს, ვინ რითი სუნთქავს, ვინ ვისგან ფინანსდება, ვინ ვის დავალებებს ასრულებს, რა პროცესები მიდის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვინ რას აპირებს და ვინ რას გეგმავს.

**ელექტრონული თუ ბეჭდური მედიის ასინეთებად ქცეულ იმ წარმომადგენლებს, რომლებიც პოლიტიკურ შეკვეთებს ასრულებენ და ბიძინა ივანიშვილის დაშანტაჟებას და დაშინებას ცდილობენ, ერთი რამ ავიწყდებათ: — ბიძინა ივანიშვილი მშიშარა კაცი რომ ყოფილიყო, არც „ნაციონალურ“ ბანდასთან ომში ჩაებმებოდა და არც პოლიტიკაში გაერეოდა.**



ასე რომ, ტყუილად ირჯებით თქვენ, პატივცემულო ასინეთებო და ტყუილად თხზავთ ამ კოშმარულ ჭორებს.

იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ორგანიზატორებმა ამ აქტით კიდევ ერთი სერიოზული ამოცანა შეასრულეს — მათ უმძიმესი დარტყმა მიაყენეს ირაკლი ღარიბაშვილს და მის სამთავრობო გუნდს.

პირველი შედეგი უკვე სახეზეა — შსს მინისტრი, რომელიც ღარიბაშვილის კაცად მოიაზრებოდა, გადადგა.

ვინ იქნება შემდეგი?

დარწმუნებული ვარ, მალე გამოჩნდებიან ძალები, რომლებიც მომდევნო მსხვერპლად ირაკლი ღარიბაშვილის თავს მოითხოვენ და ბოლომდე იბრძოლებენ იმისთვის, რომ ეს საწადელიც შეისრულონ, აქედან კი ერთი ნაბიჯია რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნამდეც.

ასე რომ, იური ვაზაგაშვილის ამფეთქებლებმა ძალიან ბევრი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ჩადეს ამ ერთ აფეთქებაში.

**თუ ფართოდ განვიხილავთ იური ვაზაგაშვილის მკვლელობის ფაქტს, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ეს პოლიტიკური ხასიათის მკვლელობაა, ლამის სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი ქმედებაა და არა მხოლოდ პირადი ანგარიშსწორება არასასურველი ოპონენტის წინააღმდეგ.**

გამოძიება თუ ამ გზით წავიდა და ვაზაგაშვილზე განხორციელებულ ტერაქტებში მხოლოდ პირადი ანგარიშსწორტების მოტივების ძებნა დაიწყო, მას აუცილებლად განზე დარჩება ამ მკვლელობის მთავარი მოტივი და მთავარი მიზანი.

ვიღაცები თვლიან, რომ არ არის გამორიცხული, 20 იანვრის ტერაქტს ახლო ხანებში სხვა ტერაქტებიც მოჰყვეს და ეს ყველაფერი მანამდე გაგრძელდეს, სანამ საქმე სამოქალაქო დაპირისპირებამდე არ მივა.

ეს ცუდი პროგნოზი რომ არ ახდეს, სწორედ ამიტომ არის საჭირო და აუცილებელი იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის რაც შეიძლება მალე გამოძიება, რაც ერთგვარი პრევენცია იქნება მოსალოდნელი საფრთხეების აღსაკვეთათ.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

„მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთანა...“
ილია

# პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ დამატება

№2, იანვარი, 2015 წ.



## ოთარ ხუფენია:

# ჩემი აზრით, კონსტიტუციაში პირდაპირ უნდა ჩაიწეროს — თანამედროვე საქართველოს დამფუძნებლები ქართველი და აფხაზი ერები არიან

მეშვიდე კლასელს მამამ ანდერძი დაუტოვა: შვილო, ქვეყანა მხოლოდ და მხოლოდ ერთ შემთხვევაში დაინგრევა, როცა აფხაზებსა და ქართველებს შორის კონფლიქტი მოხდება. ამიტომ, ყველაფერი გააკეთე, რათა გიყვარდეს აფხაზი, ქართველი და მათი ძმობის გწამდესო. წლების შემდეგ, ქართულ-აფხაზურმა საომარმა კონფლიქტმა მართლაც შეიწირა სახელმწიფო. ომის პერიოდში, ერთადერთი მაღალჩინოსანი იყო, ვინც ბრძოლის ველზე უიარაღოდ დააბიჯებდა, რადგან ამ ძმობის სწამდა და იცოდა რომ ერთმანეთი სასიკვდილოდ არ უნდა გაგვემეტებინა. ოთარ ხუფენიამ „საერთო გაზეთთან“ საუბარი სწორედ 1992 წლის მოვლენების შეფასებით დაიწყო:

— ჩემი ღრმა რწმენით, 1992 წლის ომი, იმ შეცდომების კულმინაცია იყო, რომელიც ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაში დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა. დღესაც კი, ქართველთა და აფხაზთა გარკვეულ ნაწილს, ორთავეს, საუბედუროდ მიაჩნიათ, რომ ჩვენ ერთმანეთის ისტორიული მტრები ვართ. არადა, ისტორიულად, საქმე აბსოლუტურად პირიქითაა. გვავიწყდება, რომ საქართველოს ყველაზე დიდ და წარმატებულ ეპოქაში დიდი დავითის ტიტულატურა ასე იწყებოდა: მეფე აფხაზთა... ანუ ჩვენი სახელმწიფოებრიობის წარმატებული ისტორია ერთობლივად იწყება. არც აფხაზებს და არც ქართველებს არ ახსოვთ, როცა ერეკლემ რუსეთის იმპერიასთან ტრაქტატი დადო, იგი, არა სრულიად საქართველოს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ქართლ-კახეთს წარმოადგენდა. უნდა დავფიქრდეთ იმაზე, რომ აფხაზეთის სამთავრო იყო ბოლო, რომელიც ამ ტრაქტატს მრავალი წლის მერე მიუერთდა. დღეს ხომ შეგვიძლია ვთქვათ, მათ, მაშინდელი გაგებით, ავტონომიურობა ჰქონდათ. კიდევ ერთ ფაქტს შეგახსენებთ, რაც გაანალიზებას საჭიროებს: 1921-31 წლებში აფხაზეთს საბჭოთა იმპერიაში რესპუბლიკის სტატუსი ჰქონდა და მერე, ჭკვიან ქართველთა და აფხაზთა ძალისხმევით ერთი რესპუბლიკის ფარგლებში მოვექცით. აფხაზეთმა ავტონომია სწორედ მაშინ მიიღო. ამით რა მიიღწა? — მართალია საბჭოთა იმპერიის ფარგლებში, მაგრამ ერთიანი საზღვრები, ერთიანი წარმონაქმნი. რა თქმა უნდა, საბჭოთა იმპერია რუსული იმპერიის ხაზის გამგრძელებელი იყო და მის ინტერესებში შედიოდა ქართველთა და აფხაზთა შორის არსებული ისტორიული ძმობა და ერთიანობა მტრობად, დაპირისპირებად ექცია, რაც მიიღწა კიდეც. ბევრს არ ახსოვს, რომ 1992 წლის საომარ მდგომარეობამდე, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პირობებში, გარედან ინსპირირებული იყო არაერთი მცდელობა აფხაზების ე.წ. დამოუკიდებლობისა და ქართულ-აფხაზური ერთიანი სახელმწიფოს გაყოფის. ანუ, ბოროტების ამ თესლმა, რომელიც ორი ნაციის დასაპირისპირებლად გარედან იყო შემოგდებული, საბოლოოდ, ის სახე მიიღო, რაც გვაქვს. ჩემი ღრმა რწმენით, ქართველთა და აფხაზთა შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი ერთიანობის დასტურია, საბჭოთა იმპერიის პირობებში, ზვიად გამსახურდიას მიერ ჩატარებული რეფერენდუმი, როცა აფხაზებმა ერთიან სახელმწიფოში ყოფნას და მის დამოუკიდებლობას ცალსახად დაუჭირეს მხარი. ჩვენ, სამწუხაროდ, არათუ ეს არ გვახსოვს, იმასაც ვივიწყებთ, რომ კონსტიტუციაში, რომელიც დამოუკიდებელმა საქართველომ 1995 წლის 24 აგვისტოს მიიღო, ახალი საქართველოს ერთ-ერთ საფუძვლად სწორედ ეს ერთიანობაა გამოცხადებული.

ჩემი აზრით, კონსტიტუციაში პირდაპირ უნდა ჩაიწეროს — თანამედროვე საქართველოს დამფუძნებლები ქართველი და აფხაზი ერები არიან. თუ შეამჩნიეთ ე.წ. სამხრეთ-ოსეთის პრობლემას შეგნებულად ვუვლი გვერდს. ვთვლი, რომ ქართველთა და აფხაზთა შორის დაპირისპირებაში, ქართველთა და ოსთა დაპირისპირების საკითხზე მსჯელობა უადგილოა. ოსების ისტორია არ იძლევა საშუალებას, რომ მათ ქართული სახელმწიფოს დამფუძნებლობაზე პრეტენზია ჰქონდეთ. ეს თემა, თავის დროზე, ხელოვნურად შეკოწიწებულია. ამიტომ, როდესაც ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ პრობლემას ვაიგივებთ, ეს თემა ხელოვნურადაა შემოდგებული. რაც შეეხება, აფხაზებთან მიმართებაში, ანალოგიურ მიდგომას, ეს გაუმართლებლად მიმაჩნია. ქართველები არ უნდა ვიყოთ დაავადებული უფროსი ძმის კომპლექსით. ეს, ჩვენ, უფრო მრავალრიცხოვან ერთან მიმართებაში გამოვცადეთ და გვახსოვს, რაც ვიწვნიეთ. იგივე შეცდომა აღარ უნდა დავუშვათ. 21-ე საუკუნეში, წინა საუკუნეებში არსებული კლიშეებით აზროვნება და ქმედება, ტრაგიკული შეცდომაა. მაგალითად, მე-19-მე-20 საუკუნეებში სახელმწიფოებრიობის ხუთი ნიშანი იყო დეფინიცირებული. ფაქტობრივად, დღეს, გლობალიზაციის პირობებში, არცერთი მათგანი არ მუშაობს. სახელმწიფოს დანიშნულება, რისთვისაც ერები, ადამიანები მას ჰქმნიან, შეცვლილია.

ძალიან ძვირფასო ქართველებო და აფხაზებო, ამ კუთხით გვიფიქრია? — არა! ამიტომ, აფხაზებმაც და ქართველებმაც კარგად უნდა გავიაზროთ, რა გვინდა. თუ კარგად დავფიქრდებით აღმოჩნდება, რომ ორივეს ერთი რამ გვინდა — იდენტობის შენარჩუნება, კეთილდღეობა, უსაფრთხოება. სად ხედავთ აქ წინააღმდეგობას? ქართველი ჩონგურზე რომ უკრავს, ხოლო აფხაზი აფხიარცაზე, ამაშია წინააღმდეგობა? იქნებ, ჩონგურსა და აფხიარცას შორის განსხვავებაზე უფრო მნიშვნელოვანი ის კულტურა, ტრადიციები, ცხოვრების წესია, რაც აბსოლუტურად, იდენტური და ერთიანი გვაქვს. დღეს აფხაზებს ძველი წეს-ადათი ბევრად უკეთ აქვთ შენარჩუნებული, ვიდრე დანარჩენ საქართველოს. ეს ნათესაობის, მეზობლობის, მეგობრობის, ჭირის და ლხინის გაზიარების, თანადგომის ინსტიტუციაა. მავანი ამბობს, აფხაზი ერი მერეა წარმოშობილიო. მოდით, ამ სისულელეებს თავი დავანებოთ და ნუ ვეძებთ იმას, რაც ერთმანეთისგან გვთიშავს, გვყოფს, არამედ რეალობას შევხედოთ. ამ რეალობაში დაახლოების და არა დაპირისპირებისა და გაყოფის გზები ვეძებოთ. დასაწყისში ვახსენე, ათვლის წერტილად 1992 წელს ნუ მივიღებთ-მეთქი, ცოტა შორს გავიხედოთ, თუნდაც 1988 წლისკენ, როცა ქართველი, ჭეშმარიტად პატრიოტი კაცი ვოვა ვეკუა მოკლეს და დიდმა მერაბ კოსტავამ მაშინდელი მოსალოდნელი სისხლისღვრა შეაჩერა. როგორ? — ქართველსაც და აფხაზსაც სიმართლე უთხრა — ეს დაპირისპირება მტრის მოგონილია, რომელსაც ჩვენი დახოცვა, დაპირისპირება უნდაო. მაშინ, ეს, აფხაზმაც გაიგო და ქართველმაც. მოდით, ისიც გულწრფელად ვთქვათ, რაც დღემდე ვერ გაგვიგია — რამდენი ქართველი ვართ ისეთი, რომელიც საუბედუროდ ასე აზროვნებს — ოჰ, ერთი რუსი არ იყოს, აფხაზებს დედას ვუტირებდითო. საუბედუროდ, ასეთი აზრი, აფხაზებშიც გაჩნდა — რუსი მომეხმარება და ქართველებს დედას ვუტირებო. საბოლოო ჯამში, ორივემ, ერთმანეთს, დედა მართლა ვუტირეთ, ორივე მხარეს შაოსანი დედები გვყავს.

**— ბატონო ოთარ, სოხუმის დაცემის შემდეგ, თქვენ ღიად ისაუბრეთ გამომწვევ მიზეზებზე, რაც მაშინ ტელევიზიებმა არ გააშუქეს. როგორ აფასებთ ამ ყველაფერს დღევანდელი გადმოსახედიდან?**

— დიახ, 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა და 28-ში დილით ჩემს სამუშაო კაბინეტში ჟურნალისტი მობრძანდა. მან იცოდა ჩემი წარმოშობის შესახებ, სოხუმში ზუსტად ათჯერ ვიყავი ნამყოფი, აქედან, ცხრა-

10 gv.

ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში.
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97.
რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

9 gv.

# ჩემი აზრით, კონსტიტუციაში პირდაპირ უნდა ჩაიწეროს — თანამედროვე საქართველოს დამფუძნებლები ქართველი და აფხაზი ერები არიან

ჯერ ომის პირობებში, ერთიც ე.წ. საუბედურო შესვენების დროს. ბოლოს, სოხუმიდან 10 სექტემბერს გადმოვფრინდი. ტრაბახში ნუ ჩამითვლით, მაგრამ ამ პერიოდის საქართველოს ისტორიაში ერთადერთი სახელმწიფო მოხელე ვიყავი, რომელიც სოხუმში უიარაღოდ ჩადიოდა, თბილისში კი, ისე როგორც ყველა, მეც იარაღით დავდიოდი. ამას, აბსოლუტურად, შეგნებულად ვაკეთებდი, ვიცოდი, რომ



იქ, არავისთვის არ უნდა მესროლა და თუ აქეთ მესროდნენ, ეს მათი დანაშაული იქნებოდა. ინტერვიუს ხასიათზე ნამდვილად არ გახლდით, მთელი ჩემი სისხლი და ხორცი აფხაზეთში იყო, ზოგი ჭუბერის გზას ადგა, ზოგი — სამეგრელოსას. ინტერვიუში ერთი ფრაზა ვთქვი, რასაც ვერასდროს დავივიწყებ, ბაბუამ გამზარდა და მასწავლა: როცა ორი ძმა ერთმანეთს ეომება, არც ერთია მართალი და არც მეორე, მაგრამ დამნაშავეა ის მესამე, რომელიც ამ ორ ძმას შორის რომელიმეს გაამართლებს. ეს 1993 წლის 28 სექტემბერს ვთქვი. მესამე ვინც იყო, ყველამ ვიცით. ორი დღის მანძილზე საქართველოს ტელევიზიამ ეს ფრაზა არ გაუშვა. შემდეგ, როცა გაუშვეს დამირეკა აფხაზმაც, ოსმაც და მადლობა მითხრეს. დღესაც კი, 21 წლის მერე, იგივე აზრზე ვარ. ერთ ობიექტურ აუცილებლობამდე მივედით — ორივე დამნაშავე ვართ ქართველიც და აფხაზიც. გთხოვთ, ხაზგასმით აღნიშნეთ, როგორც ქართველი თავზე ნაცრის დაყრას არ ვაპირებ, მაგრამ აუცილებლად უნდა ვთქვა: დალოცვილო ქართველებო, 3 მილიონმა ქართველმა, 80 ათას აფხაზს, აქედან 40 ათას სისხლისმიერ ნათესავს რომ ვერ მოვუარეთ, გულში ჩახუტების ნაცვლად ხელი რომ ვკარით და ჩრდილოეთისკენ გავახედეთ, ვისი ბრალია ეს? სხვათა შორის, თბილისში, საუკუნეების განმავლობაში, ბევრი ჩამოსახლებული გვყავს, რომელთაც ქართული დღემდე არ იციან. აფხაზთა ამ ნაწილმა შეიძლება დედა ქართული არ იცოდა, მაგრამ მეგრულად, თითქმის, ყველა ლაპარაკობდა.

**— ის 300 ათასი ლტოლვილი, ვინც ჩვენ გვყავს, აფხაზია თუ ქართველი?**

— ძალიან დიდი მადლობა, ჩემო კარგო, ამ შეკითხვისთვის. არსებობს რეალური სტატისტიკა, რაზეც არ ვსაუბრობთ — 80 ათასი აფხაზიდან ნახევარს, 40 ათასს საომარ მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია, ისინი ჩემსავით დევნილები არიან. დავფიქრდეთ, რაშია საქმე. იმ კუთხეში აფხაზი რომ იბრძოდა, გასაგებია, მაგრამ ბაგრამიანის ბატალიონს რაღა უნდოდა, ამაზე გვიფიქრია? მოდით, შორს რომ არ წავიდეთ, ერთი რამ ღიად ვთქვათ — დედამიწის ზურგზე ქართველს ისევე როგორც აფხაზს, სხვა სისხლისმიერი ნათესავი არ ჰყავს, ჩვენ ძმები ვართ და ურთმანეთოდ მომავალი არცერთს არ გვაქვს. მაქსიმუმ, სამი თაობაა საკმარისი იმისთვის, რომ აფხაზი ასიმილირდეს და გაქრეს. მერე ის აფხიარცაც აღარ ექნება და ბალალაიკაზე დაუკრავს. ქართველობას კი არანაირი ეკონომიკური აღმავლობა არ და ვერ ექნება. ესეც ღიად უნდა ვთქვა: სერიოზული ინვესტორი, სანამ ომის საფრთხეა, საქართველოში აქ კაპიტალს არ ჩადებს.

აი ესაა ჭეშმარიტება. რა გვიშლის ხელს, 1995 წლის კონსტიტუციაში, დამოუკიდებელ საქართველოში, ხომ ღიადაა დატოვებული ტერიტორიული მოწყობის საკითხი? ახლა საკონსტიტუციო კომისიაც გვაქვს შექმნილი. მოდით, სიყვარულით სავსე თვალებით ერთმანეთს ჩავხედოთ და ვუთხრათ — მე და შენ ძმები ვართ, ეს სახელმწიფო ჩვენია — შენი და ჩემი, დავითი შენი მეფეც იყო და ჩემიც, თამარი შენი დედოფალიც იყო და ჩემიც. შევქმნათ ერთიანი სახელმწიფო — ფედერაცია, გაერთიანება თუ რაც იქნება. მოვუფიქროთ სახელი, მაგალითად, „იბერია“, „ივერია“ ან რაიმე სხვა, რომელიც ორივეს გაგვაერთიანებს. ჩვენ ხომ შეთანხმებული ვართ, რისთვისაც გვინდა ეს სახელმწიფო? — იმისთვის, რომ ჩვენი იდენტობა შენარჩუნებული, გადარჩენილი იყოს და კეთილდღეობაში ვიცხოვროთ. მოდით, ამ ინიციატივით გამოვიდეთ და არა იმით, რომ 2014 წელს აფხაზს ვუთხრათ ავტონომიას მოგცემო. არ მინდა ამის შეფასება, ვინმესთვის გულისტკენა ან ნიშნისმოგება, მაგრამ ეს მატარებელი დიდი ხანია ჩავლილია.

**— უმოქმედობით იმდენს მივაღწიეთ, რომ რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ახლა უკვე ხელშეკრულებაც გაფორმდა. ანუ მათ თავად ვუბიძგეთ რუსეთისკენ?**

— მესმის რასაც მეკითხებით. რუსეთის მოაზროვნე ნაწილი კარგად აცნობიერებს, რომ ეს თამაში მისთვის ძალიან წამგებიანია. ასევე წამგებიანია ისიც, რასაც დღეს უკრაინაში აკეთებს, მაგრამ ეს მოცემულობა, რეალობაა. იქნებ, რუსეთს ჩვენ მივცეთ შანსი, მისი გადაწყვეტილება უხეშად კი არ წავაღებინოთ უკან, არამედ სხვა ფაქტის წინაშე დავაყენოთ — ქართველები და აფხაზები შევრიგდით! ჩვენი გადარჩენა ერთიანობაშია. დავსვათ კითხვა: რატომ ვერ ხერხდება, ბოლო წლების მანძილზე, ქართველთა და აფხაზთა ერთი შეხვედრა მაინც. ჟენევის ფორმატს თავი დავანებოთ, იგი დიდი ხანია ერთ-ერთ ბიუროკრატიულ სამსახურად იქცა. სხვა აქტიურობები სად არის? გავიხსენოთ, თბილისში, „შარდენზე“ როგორ სეირნობდა არძიმბა, ღირსეულ ქართველებთან ერთად მშვიდობის სადღეგრძელოც დალია. დღეს რა ხდება? შეთანხმება უნდა შედგეს, სხვა გზა არც გვაქვს, ქვეყნის შიგნით, ჩვენს მოწყობაზე, მერე ვიფიქროთ. ინტეგრაციის პირობებში, შეუწყობს ხელს. მაგალითად, აჭარის ტურისტული ინფრასტრუქტურაა პრიორიტეტი თუ აფხაზეთის, ანაკლიის პორტი თუ ანაკლია ფიჩორ-გაგიდასთან ერთად, ენგურ-ჰესის გაყოფა თუ გაერთიანება, სოხუმ-თბილისის რკინიგზა თუ უსოხუმოდ ევრაზიაში გასვლა ა.შ. და ა.შ. თუ ქართულ-აფხაზური ერთობა შედგა, უკვე პრეზიდენტის, პრემიერის ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით არჩევა წარმოუდგენელი იქნება. იქნებ, შევქმნათ ისეთი სახელმწიფო, სადაც გადამწყვეტი პროფესიონალიზმი, ერთგულება, პატიოსნება, ქვეყნის სამსახური და არა ვინმეს დნმ-ის ანალიზის შედეგი იქნება. მოდით, მომავალს ამ ჭრილში შევხედოთ. ეს ხომ დროთა განმავლობაში გადალახავს იმ ბარიერს, რასაც ეთნიკური წარმომავლობა ჰქვია? უმთავრესს ნუ ვუღალატებთ — ამ ორი ხალხის ისტორიული ერთიანობა შექმნილია, აქვთ ერთიანი სახელმწიფოს, ერთად ყოფნის, ერთი წეს-ადათის, თანაცხოვრების გამოცდილება და, რაც მთავარია, ერთი გეო-პოლიტიკური მდგომარეობა. ქართული გეო-პოლიტიკური პლუსი აფხაზეთის გარეშე პლუსად ვერ ჩაითვლება, უფრო მინუსიცაა!





**— თქვენ ბრძანეთ, ერთი სახელმწიფო უნდა გვქონდესო, ამაზე არცერთმა ხელისუფლებამ არ იფიქრა. ხომ არ ნარჩუნდება კონფლიქტი ხელოვნურად?**

— ამაზე ძალიან ხისტად გიპასუხებთ. 20 წელზე მეტია მსოფლიოში ახალი გადანაწილება მიმდინარეობს. ეს აბსოლუტურად ახალი რეალობაა. მოთამაშე დიდი ძალები პატარებს თავიანთი ინტერესებისთვის იყენებენ. ნაციის წარმატებული პასუხი, ასეთ გადანაწილებაზე, მხოლოდ და მხოლოდ ერთია: უხეშად გამომივა, მაგრამ ისეთ ქართველებსაც ვიცნობ, რომლებიც ყანწით ხელში საქართველოს სადღეგრძელოს სვამენ, მაგრამ შინაგანად მზად არიან, რუსის რომ არ ერიდებოდეთ, გადაუარონ აფხაზს, ოსს. ასეთი ადამიანები სახელმწიფოს შემქმნელები ვერ იქნებიან. რატომ გვიკვირს, რომ ასეთივე ადამიანი შეიძლება აფხაზიც იყოს?!

**— მიდგომები უნდა დაიხვეწოს თუ რა არის შესაცვლელი?**

— არა. ჩვენ, დიდი ქართველების მაგალითს უნდა მივყვეთ. მავანს დღესაც არ ესმის, რომ დიდი კონსტანტინე გამსახურდიას ლიტერატურული გმირები, ძირითადად, აფხაზები იყვნენ. დავფიქრდეთ, რატომ აკეთებდა ამას კონსტანტინე.

**— აფხაზი გმირები ქართველთა შემოქმედებაში უხვადაა, თუნდაც, აკაკის „გამზრდელში“.**

— მადლობა ამ კითხვისთვის. აკაკიმ ერთი რამ გამახსენა: თქვენი გაზეთის რედაქტორია ის კაცი, რომელმაც 90-იან წლებში აკაკის გამონათქვამი აღმოაჩინა, რომელიც აკრძალული იყო, სადაც იგი წერდა: „მეგრული დღეს სალაროა ნამდვილი ქართული სიტყვებისა. აღმოსავლეთ-საქართველოს დაჰკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად თათრულ-სომხურ-სპარსული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხირება და გულსაც სწყენს. მეგრულ ენაში კი შემონახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები“. ბედნიერი კაცი ვარ, რომ ჩემმა დიდმა მეგობარმა ვახტანგ ხარჩილავამ ეს გამანდო და დავბეჭდეთ. მაშინდელი სახელმწიფო მოხელეების აბსოლუტურ უმრავლესობას აკაკის ეს სიტყვები, გაზეთიდან ამონაჭერი, კაბინეტებში ეკიდათ. აქედან დასკვნა: ეროვნული ხალხი იმ ხელისუფლებაშიც იყო, ეს შევარდნაძის დროს მოხდა.

**— ახლა თუ გვყავს ხელისუფლებაში ეროვნული ხალხი?**

— ღმერთმა ნუ ქნას, რომ არ გვყავდეს. რა თქმა უნდა, გვყავს, მაგრამ რამდენად ყოფნით მათ კვალიფიკაცია და ვაჟკაცობა, ეს სხვა თემაა. რომ ვთქვა, ამ კუთხით, მიღწეული შედეგებით კმაყოფილი და ბედნიერი ვარ-მეთქი, მოგატყუებთ. დღეს, ჩვენს დაულაგებელ ქვეყანაში ხელისუფლებას თავგანწირვისთვის მზაობა უნდა ჰქონდეს. თუ ვინმეს პრეტენზია აქვს ერის ისტორიაში დარჩეს, ის თავგანწირვისთვის მზად უნდა იყოს. დარწმუნებული ვარ, აფხაზთა და ქართველთა შორის ასეთი ადამიანები არსებობენ. სხვანაირად, ერთსაც და მეორესაც დაგვიმთავრებია ცხოვრება და ესაა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

## ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად ანუ ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში



## დენიზა სუმბაძე (ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი): ეკლესიის პირისპირ მარტოდ დარჩენილმა, საჭიროდ ჩავთვალე, მშველელად ვუხმო ქართველ ხალხს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №42-01

### ეკლესიური „ხელისკვრა“ და ეროვნულ-მეცნიერული თვალსაზრისების გაძევება (გაგრძელება)

**დოგმატური განგაში ქართულ ეკლესიაში ატეხილი საქართველოს პატრიარქის თანაშემწე ქალბატონის მიერ, დედაუფლის ქრისტიანულ-თეოლოგიური ცნების ჩემეული შემოტანის გამო, ანუ სულიწმიდის, როგორც დედური საწყისის ჩემეულ გაგებასთან დაკავშირებით, ჩემი დღევანდელი გადასახედიდან, ეს იყო ებრაულ- თეოლოგიური განგაში იმ ადამიანებისა, რომლებიც ფორმალურად ქრისტიანები იყვნენ, ხოლო - შინაგანად იუდეველნი. დღევანდელი გადასახედიდან უკვე საჭიროდ მიმაჩნია ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ საპატრიარქოში მოწყობილი მთელი მითქმა-მოთქმა სულიწმინდის ჩემეული გაგების მიმართ, ანუ ჩემს მიერ დედა-უფლის ცნების შემოტანის მიმართ, ხდება იმ დროს, როცა ჩვენთვის ყველასთვის შეუმჩნევლად, საქართველოს სახელმწიფოს გარკვეული სამსახურები, საქართველოს ისტორიულ დროშებში: „გორგასლიან-დავითიან-თამარიანში“ ეძებენ ებრაელთა ბიბლიური მეფის, დავით წინასწარმეტყველის დროშას, ხოლო ქართულ ეკლესიას, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კონტექსტში, ამზადებენ იუდაიზმთან და თანამედროვე „ტამპლიერებთან“ კოჰაბიტაციური თანამშრომლობისათვის.** ჩვენ შორსა ვართ იმ პოზიციისაგან, რომ პრეტენზიას ვუყენებდეთ ხსენებულ ქალბატონს, ტრინიტარული, ანუ წმინდა სამების თეოლოგიურ საკითხებში გარკვევისას; ასეთი მაღალფარდოვანი ღირებულებების კონტექსტში მისი მოხსენიება საკმაოდ დიდ პატივად მიგვაჩნია მისთვის, მაგრამ სამი ათეული წელია, მას ჩაბარებული აქვს, საქართველოს საპატრიარქოს მართვა ყველა მიმართულებით, დაწყებული თეოლოგიური პრობლემებიდან და დამთავრებული სასადილოს საკითხებით და ჩვენ ჩაყენებული ვართ ერთობ ეგზოტიკურ მდგომარეობაში, გინდა თუ არ გინდა , ქართული ეკლესიის ჭირ-ვარამზე და ჩვენდამი დამოკიდებულბაზე, ვისაუბროთ ამ ერთობ ცნობილი ქალბატონის კონტექსტში. ჩვენი დღევანდელობის გადასახედიდან, სრული საფუძველი გვაქვს ისიც ვიფიქროთ, რომ ჩემეული „დედაუფლის“ მისეული ამოჩემება ისევე არ იყო მისი პირადი ინიციატივა, როგორც ქართველ მართლმადიდებელ ტამპლიერთა „შესახლებაა“ წარმოუდგენელი საქართველოს საპატრიარქოს ჭერქვეშ და სამების საკათედრო ტაძრის გუმბათქვეშ, მისი პირადი გადაწყვეტილებითა და სურვილით. დღემდე, მაგალითად, აუხსნელია ჩემთვის, ვის ჰქონდა უფლება საქართველოს საპატრიარქოს მიერ გამოცემული, ახალქართულზე თარგმნილი ბიბლიის წმინდა სამებისადმი მიძღვნაში, რომელიც ახალი ქართული ბიბლიის პირველივე ფურცელზეა განთავსებული, წმინდა სამების საყოველთაოდ ცნობილი და ტრადიციული განსაზღვრება „ერთარსობისა“ შეეცვალა „თანაარსით“ და შეექმნა სურათი, რომ საქართველოს ეკლესიაში თეოლოგიის ანბანში ვერ ერკვევიან: “სადიდებელად წმიდისა, თანაარსისა, ცხოველსმყოფელისა და განუყოფელისა სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, ამინ!“ ქრისტიანულ - ეკლესიური თეოლოგიით წმინდა სამება , ანუ განუყოფელი სამპიროვნულობა სამებისა, მისი მთლიანობა და ყოვლისმომცველობა, არ შეიძლება იყოს კიდევ რაიმეს თანაარსი. იგი მხოლოდ ერთარსია. ქართული ბიბლიის წინარე, პირველბეჭდური გამოცემების მიძღვნაში ეს ცნება დაცულია. ვის ჰქონდა უფლება ამის შეცვლის?! ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ეკლესიაში ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ტრადიციული წმინდა სამების იკონოგრაფიული კომპოზიციის შეცვლა ძველი აღთქმისეული სამი ჭაბუკის სიუჟეტით. მიმდინარეობს მიზანმიმართულად. როგორც ცნობილია, ყველაზე გამაღიზიანებელი იუდეველთათვის არის ქრისტესმიერი აღიარება წმინდა სამებისა სამყაროს შემოქმედი ერთი ღმერთის - მამა ღმერთის ნაცვლად. იკონოგრაფიულად: იესო ქრისტეს წარმოსახვა მარჯვენით მამისა და სულიწმიდის წარმოსახვა მათ ერთიანობაში მტრედის სახით. საქართველოს ეკლესიამ ეს ყველაზე მკვეთრი და ყველაზე არსებითი თეოლოგიური ღირებულება წმინდა სამებისა უკანასკნელ წლებში დაამკვიდრა ძველი აღთქმისული სამი ჭაბუკი ანგელოზის სიუჯეტით, რითაც იუდეველთა გაღიზიანება მოხსნა. სწორედ ამიტომ შევაჩერე ამ ნიუანსებზე მკითხველის ყურადღება, რომ მეთქვა: საქართველოს ეკლესიურ ცნობიერებაში წმინდა სამება აშკარად მტკივნეული პრობლემაა და წმინდა სამების ტრადიციული ხატის - მამისა, ძისა და სულიწმიდის - შეცვლით, აშკარად იგრძნობა ქართული ეკლესიის ტენდენცია ებრაულ-იუდეურთან დაპირისპირების მოხსნისა. აშკარად იგრძნობა, რომ ქართული ეკლესიისთვის უფრო მომგებიანი აღმოჩნდა იუდაიზაცია ქართული ეკლესიური აზროვნებისა, ვინემ ეკლესიის მამათა მონაპოვრის, სულიწმიდის პიროვნული ღვთაებრივობის აყვანა დედაუფლის ხარისხში.

ჩვენ ვცხოვრობთ სულიწმიდის ეპოქაში, ანუ სულიწმიდის ჭეშმარიტ უფლებამოსილებათა გარდუვალი კანონიზაციის ეპოქაში. დედაუფლის ზეციური ტახტის კანონიზაციის ეპოქალურ მისიას, რომელიც ქართველი ერის ისტორიული კუთვნილებაა, სიამოვნებით წაგვართმევს გერმანული თეოლოგიაც და რუსულიც. მესამე ათასწლეულის მსოფლიო საეკლესიო კრებებს უსათუოდ მოუწევთ სულიწმიდის ახალი თეოლოგიური განსაზღვრებების დაკანონება. მსჯელობა საერთოდ ამ მსოფლიო საეკლესიო კრებათა განახლების საჭიროებაზე საქართველოს ეკლესიამ დაიწყო კატეგორიული უარყოფით, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეკლესიას თავის საკუთარ მიზანდასახულებათა განხორციელების პერსპექტივაში მსოფლიო საეკლესიო კრებების საჭიროება მოაზრებული არა აქვს. სულიწმიდის დედურობის საკითხი, უმნიშვნელოვანესი საკითხია თანამედროვე მსოფლიოს თეოლოგიურ აზროვნებაში. ეპოქა, ებრაული ცნობიერებით მართული ცივილიზაციისა, დასრულებულია. სამყაროს შემოქმედის ბიბლიურ სახეში, დედური საწყისის ჩამოჭრა, ევას უფლებამოსილების აღკვეთა სამყაროს შექმნაში მონაწილეობისა, რაც საოცარი გაბედულებით დაუგმია თავის დროზე აკაკი წერეთელს, ჩვენი ცივილიზაციის დინამიკაში, საბოლოოდ იღებს არასრულყოფილი, ჰარმონიულობას მოკლებული, ცალმხრივი, ანუ მხოლოდ პატრიარქალურ-მამაკაცური ცნობიერებით მართვის სახეს, რომელსაც ცივილიზაცია მიჰყავს კაცობრიობის სიცოცხლის მოსპობის საშიშროებასთან. ჩვენს მიერ ძირითად შტრიხებში გადმოცემული მსოფლიო ისტორიის ის სურათი, ბაბილონის ტაძრის დანგრევისა და სოლომონის ტაძრის აშენებისა, ეს ორი ცივილიზაციის შეჯახების სურათი, ნათლად გვიჩვენებს, რომ კაცობრიობამ გაიარა ბაბილონის ტაძრის გარშემო შემოკრების გამოცდილებაც და ებრაელთა მიერ ქალდეველთა ნაძარცვი სიბრძნით აშენებული ცივილიზაციის პრეტენზიაც მსოფლიოს მართვისა. ეს უკანასკნელი საწყისშივე იყო მოკლებული სამართლიანობასა და ზნეობრიობას და მორალური სმენის ის საწყისისეული დონე აისახა კიდეც ებრაელთა წმინდა წიგნის აზროვნებაში, აისახა ჭარბად, თუნდაც ერთ ფრაზაში, რომელსაც ებრაელთა ღმერთი აღუთქვამს თავის რჩეულ ხალხს: „ მე დაგასაკუთრებინებთ თქვენი მდგმურობის ქვეყანას“. **ქრისტეს მოვლინება იუდეაში ელია წინასწარმეტყველის მოვლინებასაც მიჰგავდა ნაბოთეს ვენახში, და ქალდეური მორალური ენერგიის გაბრწყინებასაც, რომლითაც დასრულდა მამა ღმერთის ჭეშმარიტებაცა და ებრაელი ერის ზნეობრივი რჩეულობაც. სულიწმიდის პიროვნული ღვთაებრივობის გაცოცხლებით, ცხადია, ქრისტემ ებრაული მონოთეიზმი ჩააბარა ისტორიას, მაგრამ ქრისტიანული ეკლესიური ინსტიტუციონალიზმის შექმნის გზაზე, მაინც შესძლეს ებრაელებმა თავისი, იუდაისტური კვალი დაემჩნიათ ეკლესიურ კანონებზე. სულიწმიდის ეპოქაში უნდა მოხდეს დაწმენდა ქრისტიანული ეკლესიისა არაქრისტიანული მინარევებისაგან და წმინდა ქრისტესეული ზნეობრივი პრინციპების დამკვიდრება.** აქ ერთიანდება ქრისტიანობის მსოფლიო ისტორიის მესამე ათასწლეულისა და ქართველი ერის სულიერი მისია. და თუ ყველაფერი ეს სულიწმიდის დედურობის გაცხადებაზე გადის, მკითხველმა თავად განსაჯოს მნიშვნელობა დედაუფლის ჩვენეული თვალსაზრისის განდევნისა საქართველოს ეკლესიური სივრციდან და „განმზადება გზათა“ ებრაელთა მეფის, „ სოლომონის ტაძრელთა“ შემოსვლისათვის წმინდა სამბის საკათედრო ტაძრის საკურთხეველში. ქართულ საზოგადოებას თითქმის წარმოდგენაც კი არა აქვს იმისა, თუ რაოდენ კვალიფიციურია ჩვენი მოწინააღმდეგე ...

ამ აზრს კიდევ უფრო მიმტკიცებს ის გარემოება, რომ 1991 წელს, ჩემს მიერ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრის თეორიულ ბაზაზე დაფუძნებული პეტრე იბერის სახელობის რელიგიურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი, რომლის ძირითადი პროფილებიც ამ ეტაპზე რელიგიათმცოდნეობა და ბიბლეისტიკა გახლდათ, ინსტიტუტი, რომლის წიაღშიც უმნიშვნელოვანესმა ადამიანებმა და ქართული მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი(ნელი მახარაძე, თეო ჩხეიძე, ოთარ გამყრელიძე, ირაკლი სურგულაძე, ჯემალ აჯიაშვილი, დავით გრძელიძე, დავით მუსხელიშვილი, თინათინ ცქიტიშვილი, მერი ჭელიძე, რეზო კორინთელი, მიხეილ კეკელია, გოგი სანიკიძე და ა.შ. ალბათ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინსტიტუტი, რეალურად, უფასო სწავლების პრინციპით ფუნქციონირებდა და თითქმის ყველა სალექციო კურსი ანაზღაურების გარეშე იკითხებოდა!), დაფუძნებისთანავე იქნა მიზანში ამოღებული ნაირნაირი თავდასხმებისა და პროვოკაციებისათვის, როგორც ეკლესიის წარმომადგენელთა, ასევე სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან. ( მე გახლდით ინსტიტუტის დამფუძნებელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი, რექტორი - ქ-ნი ნელი მახარაძე). მამა არჩილ მინდიაშვილმა, რომელიც იმ დროისათვის საქართველოს პარლამენტში ეკლესიის წარმომადგენელი იყო, და ალბათ ეს გარკვეული „საპარლამენტო“ დავალებაც იყო, სატელევიზიო გამოსვლით მოუწოდა საზოგადოებას, და ინსტიტუტის მსმენელებს, დაეგმოთ პეტრე იბერის ინსტიტუტი. ხოლო საქართველოს ტელევიზიამ მე და ქ-ნ ნელი მახარაძეს კომენტარის გაკეთების უფლებაც კი არ მოგვცა...

პეტრე იბერის ინსტიტუტი, ეს გახლდათ ახალი ტიპის უმაღლესი სკოლა, რომელიც მიზნად ისახავდა მსოფლიო მეცნიერების დონეზე შეექმნა ის ეროვნული, მეცნიერულ- შემეცნებითი აპარატი, რომელიც საჭირო იყო ქართული ფენომენის ჭეშმარიტი ცოდნისა და შეფასებისათვის. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს იდეოლოგიური რეჟიმის პირობებში მოქმედი საგანმანათლებლო სისტემა ვერ ქმნიდა და არ ქმნიდა იმ კვლევით-მეცნიერულ აპარატს, რომელიც საჭირო იყო ქართველი ერის ისტორიული ფენომენის შემეცნებისათვის, გლობალური ეროვნული თვითგამორკვევისათვის. პეტრე იბერის ინსტიტუტი - ეს იყო უმაღლესი სკოლა, სადაც საქართველოს ისტორიაში პირველად ხდებოდა აკადემიურ, საუნივერსიტეტო დონეზე, ბიბლიის თეოლოგიურ-ფილოსოფიური წაკითხვა და შესწავლა წმინდა ქართული ცნობიერების გადასახედიდან. ჩვენ, მაშინ, 1991 წელს, იმედი გვქონდა, რომ ახალ, საბჭოთა რეჟიმისაგან გამოთავისუფლებულ საქართველოში, საშუალება მოგვეცემოდა, შეგვექმნა სწორედ ის საგანმანათლებლო სისტემა, როგორიც ჩვენი ეროვნული თვითშემეცნებისათვის იყო საჭირო და გადაუდებელი ამოცანა. ჩვენთვის, მაშინ, მსოფლიო რეალობის არმცოდნე და მსოფლიოს სამართლიანობაზე მინდობილი განწყობის ხალხისათვის, ფსიქოლოგიურად თითქმის შეუძლებელი იყო გაცნობიერება იმისა, რომ მსოფლიოს ახალი, ჩვენთვის უცნობი და გამიზნული წესრიგის სახით, ჩვენ, ქართველი ხალხი, ზარ-ზეიმით ვულებდით კარს სამართლიანობის ტყავში გახვეულ გველეშაპს, რომელიც ჩვენი ეროვნული მეობის დასაცავად კი არ მოემართებოდა, არამედ

12 gv.

წაკითხულ იქნა მოხსენებად ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ბათუმში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2013 წლის 26 სექტემბერს, საკონფერენციო მოხსენებისთვის განკუთვნილი შესაბამისი, მოკლე ვერსიით.

11 gv.

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

ჩვენივე ცთუნებით ხელშეწყობილი , ნებიერად და პატივით მოსრიალებდა, ჩვენი ეროვნული მეობისა და თვითმყოფადობის გადასაყლაპად.

ცხადია, პეტრე იბერის ინსტიტუტი თავისი მიზანდასახულებით ამგვარ გველეშაპთან კოჰაბიტაციური ვერ იქნებოდა. და ხელისუფლებას, რომელიც სახელმწიფოს ყოველი ქართველის პირადობის დოკუმენტიდან ქართველობის ამოშლისათვის ამზადებდა, ასეთი ინსტიტუტი არაფერში არ ესაჭიროებოდა. ჩვენ მაშინ ვერ ვაცნობიერებდით, რომ რაც უფრო მეტად და დამაჯერებლად ვასაბუთებდით ჩვენი ინსტიტუტის ეროვნულ საჭიროებას, მით უფრო მეტად ვუსაბუთებდით ხელისუფლებას ჩვენი ინსტიტუტის გაუქმების სახელმწიფოებრივ პოზიციასაც, რომელიც ამ დროისათვის ჩვენთვის გაუცნობიერებელი იყო და გაურკვეველი რჩებოდა, ვინ გვებრძოდა, ამ ეროვნულ, გულანთებულ უანგარო საქმეში: პიროვნება თუ სახელმწიფო?! თუ სახელმწიფოს იდეოლოგიას ამოფარებული საკუთრივ პიროვნება და ამრიგად ორივე ერთად. ყოვლად საოცარი ჩემთვის ის იყო, რომ ჯერ კიდევ შევარდნაძის მოსვლამდე (ჩვენი ინსტიტუტი გაიხსნა 1991 წელს), ერთ მშვენიერ დღეს, ინსტიტუტის ოფისში, ერეკლე მეორის მოედნის №10-ში მდებარე სახლის მეორე სართულზე, სრულიად მოულოდნელად, მაგიდასთან მუშაობის პროცესში, პირდაპირ თავზე დამადგა ქალაქის მერი, ბ-ნი ირაკლი ანდრიაძე. წამოდგომაც ვერ მოვასწარი. სკამი თვითოვე მოსწია ჩემსკენ და საიდუმლოს გამხელის შესაბამისი, მოჩურჩულე და შეშფოთებული ტონით მითხრა: ,,ქ-ნო დენიზა" თქვენ იცით, როგორი პატივისცემა მაქვს მე თქვენდამი... მიშველეთ რამე. ან უნდა დახუროთ თქვენი ინსტიტუტი, ან მე უნდა გამათავისუფლონ თანამდებობიდან...დროებით მაინც დახურეთ!.." მითხრა და პასუხს არ დაელოდა. სასწრაფოდ გავიდა ოთახიდან, გეგონებოდა, რომ ეშინოდა, ვინმეს არ დაენახა ჩემთან შემოსული. რა უნდა მექნა?! გულის სიღრმეში ვიგრძენი, რაც ხდებოდა. საუბედუროდ და საბედნიეროდ, ეს ის დღეები იყო, როცა საშინელი მიწისძვრები იყო საჩხერეში და ხმები დადიოდა, რომ ბიძგები თბილისშიც მოაღწევდა. საჩხერის ეპისკოპოსი, მეუფე ქრისტეფორე, რომლის სამივე შვილი ამ დროისათვის ჩვენი ინსტიტუტის მსმენელი იყო, შეშინებული მოვარდა საჩხერიდან თბილისში: ჩვენი ინსტიტუტის შენობა მძიმე ავარიულ მდგომარეობაში იყო და მოვარდა იმისათვის, რომ თავისი თვალით ვენახეთ გადარჩენილები. ავდექი და მიწისძვრის საშიშროების მიზეზით, მთელი ინსტიტუტი ერთი თვით დავითხოვე და, ასე ვთქვათ, ,,ერთი თვით დავხურე". ამასობაში, როგორც ჩანს, სამთავრობო მიწისძვრებმაც სხვა ცხელ წერტილებში გადაინაცვლეს და ბ-ნი ირაკლი აღარ გამოჩენილა. გადავრჩით. ამჯერად, მგონი, სწორედ მიწისძვრამ გადაგვარჩინა ბ-ნი ირაკლიცა და პეტრე იბერის ინსტიტუტიც, მაგრამ არც მაინცადამაიც დიდი ხნით.

პეტრე იბერის ინსტიტუტმა თავისი პირველი ნაკადის ოთხმოცამდე მსმენელიდან 55 დიპლომანტის გამოშვება შესძლო მხოლოდ, რომელთაგან უმრავლესნი, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ავტორიტეტული მასწავლებლები არიან. ის ეკლესიურ- სახელმწიფოებრივი თავდასხმები კი, უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მეთვალყურეობის ქვეშ, დააგვირგვინა საქართველოს კულტურის მაშინდელმა მინისტრმა, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბ-ნმა ვალერი ასათიანმა, რომლის პირადი სასამართლო სარჩელითაც, 1996 წელს, საქართველოს სახელმწიფოს სამართალდამცავებმა სასამართლოს განჩინების წესით აიძულეს პეტრე იბერის ინსტიტუტი, დაეტოვებინა თბილისის, ერეკლეს მოედნის №10-ში მდებარე დაბზარული სახლის სარდაფული სართული, რომელიც წლების განმავლობაში დაობებულ - დახავსებული, საკუთარი ხელებით გაწმინდეს იბერთა ღვთისმშობლის ხატის სახელზე შექმნილი საქველმოქმედო საზოგადოების წევრებმა, გოგი სარაჯიშვილმა და დათო გრძელიძემ, და აუდიტორიად აქციეს პეტრე იბერის ინსტიტუტის მსმენელთათვის. თუმცა პეტრე იბერის ინსტიტუტის დარბევა არც ამ განჩინებით დამთავრებულა. რამოდენიმე წლის შემდეგ, შევარდნაძის პოლიტიკური მემკვიდრენი, ე.წ. ვარდების რევოლუციით მოსულნი ხელისუფლებაში, პირდაპირ თბილისის უნივერსიტეტს მიადგნენ დასანგრევად და დაანგრიეს კიდეც რეფორმის სახელით. არეოპაგიტული ცენტრი, საყრდენი პეტრე იბერის ინსტიტუტისა, ქუჩაში აღმოჩნდა... და პეტრე იბერის ინსტიტუტის შეტანის საკითხი თბილისის უნივერსიტეტის სტრუქტურაში, დღის წესრიგიდან მოიხსნა. საქართველოს ხელისუფლებამ თბილისის უნივერსიტეტს დაფინანსება შეუწყვიტა. როგორც გვაუწყეს რამდენიმე წლის შემდეგ, დაფინანსება დაენიშნა საპატრიარქოსთან არსებულ უნივერსიტეტებსა და სასწავლებლებს... ჩემთვის დაუვიწყარია ის დღე, როცა დარბეულ და დამარცხებულ უნივერსიტეტში, საქართველოს კულტურის მინისტრი, კახა ლომაია, რომელიც წმინდანთა ,,ცხოვრებებს" ,,მკვდარ ტექსტებს" უწოდებდა და განათლების პროგრამიდან მოითხოვდა მათ ამოყრას, გამარჯვებული შემობრძანდა ივანე ჯავახიშვილის დარბაზში, მისი უწმინდესობის, საქართველოს პატრიარქის ილია მეორის თანხლებით...

სწორედ პეტრე იბერის ინსტიტუტის ზემოთხსენებულ იმ ერთადერთ აუდიტორიაში შესდგა, 1994 წელს, ქართველ ბაგრატიონთა ჩემსმიერი პირველი მოწვევა. მინდა აღვნიშნო, რომ ამ მოწვევას წინ ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტის, ბ-ნ რეზო ჩხეიძის თაოსნობით გამართული ყოველთა ქართველთა მსოფლიო ფორუმი უძღოდა წინ. ასეთ მნიშვნელოვან ისტორიულ თავყრილობაზე საზღვარგარეთელი ბაგრატიონები აღმოჩნდნენ მოპატიჟებულნი, საქართველოს ტახტის უშუალო მემკვიდრეთაგან კი არავინ ჩანდა. ბ-ნ პეტრე გრუზინსკის ოჯახს ბავშვობიდან ვიცნობდი ჩემი განუყრელი მეგობრისა და სულიერი დის, ელიზა(ელისაბედ) დოკვაძის მხრიდან, რომელიც პეტრე გრუზინსკის პირველ შვილთან, ქ-ნ დალი გრუზინსკისთან ბავშვობიდან თანშეზრდილი, სიცოცხლის ბოლომდე განუყრელი და მისი უერთგულესი მეგობარი იყო, და საერთოდ როგორც ეტალონი მეგობრობისა, იგი უსაყვარლესი ადამიანი იყო გრუზინსკების მთელი ოჯახის. ჩემი შეხვედრა აგვისტოს ომის შემდგომ გართულებულ საქვეყნო ვითარებაში, საქართველოს სამეფო ტახტის პრობლემებზე სასაუბროდ ბ-ნ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკისთან, 2008 წლის სექტემბრში, ელიზა დოკვაძის სახლში და ელიზას თანდასწრებით შესდგა... 2013 წლის 3 მარტის ღამეს, ელიზა დოკვაძე სრულიად გაურკვეველი სიკვდილით გარდაიცვალა თბილისის ინგოროყვას სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის სასწრაფო სარეანიმაციო განყოფილებაში. ელიზა გულმხურვალედ უჭერდა მხარს საქართველოს სამეფო ტახტის აღდგენის იდეას. .. და მისი გარდაცვალება, გარდა იმისა რომ ჩემთვის აუნაზღაურებელი ტრაგედია იყო, იმ შინაურული ხიდის ჩატეხვასაც ნიშნავდა, რომელიც ახლობლურად მაკავშირებდა ბაგრატიონების ოჯახთან...

როგორც მახსოვს, 1994 წელში, ქართველ ბაგრატიონთა პირველი მოწვევის დღეს, თეკლა ბატონიშვილის სასახლის სარდაფულ სართულზე, პეტრე იბერის ინსტიტუტის აუდიტორიაში, 25-30 კაცი შემოიკრიბა ქართველ ბაგრატიონთაგან. მათ შორის ქ-ნი ნინო ბაგრატიონი დაბ-ნი ნუგზარ ბაგრატიონი ცნობილი ბაგრატიონები იყვნენ. პატივი მქონდა ჩვენი საზოგადოების - იბერიის ღვთისმშობლის ხატის სახელზე დაფუძნებული საქველმოქმდო საზოგადოებისა და პეტრე იბერის სახელობის რელიგიურ - ჰუმანიტარული ინსტიტუტის სახელით მეუწყებინა მათთვის, რომ საჭიროდ მიგვაჩნდა ბაგრატიონთა დინასტიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის დაფუძნება და ყოველივე ამ საკითხების საქმის კურსში მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს- პატრიარქის, ილია მეორის შეყვანა. ჩემს მიერ მოწვეული ბაგრატიონთა წარმომადგენლობა ვაახლე მის უწმინდესობას, რომელმაც აკურთხა ისინი ,,ბაგრატიონთა სახლის" ოფიციალურ საზოგადოებად ჩამოყალიბებისათვის. ამის შემდეგ ჩემთვის პრობლემა ქართველ ბაგრატიონთა არსებობის პერსპექტივისა საქართველოში, საპატრიარქოს ლაბირინთებში ჩაიყლაპა, როგორც ხდებოდა ეს ჩვეულებრივ, ყველა იმ პრობლემასთან დაკავშირებით , რომელსაც, მე შევძლებდი და, საპატრიარქოში ამა თუ იმ ფორმით მივიტანდი.: იქნებოდა ეს იბერიის ღვთისმშობლის ხატის ათონიდან საქართველოში გადმობრძანების პრობლემა, ბაგრატიონთა ფენომენის, დალის ხეობის მხარდაჭერის, საგვარიშვილო მოძრაობის, თუ რამიე სხვის. ეს შთაბეჭდილება,რომ პრობლემა ,,ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ", როგორც მოგვიანებით გაირკვა, ნიშნავდა იმას, რომ პრობლემა საქართველოს პატრიარქის თანაშემწე ქალბატონის, ანუ სახელმწიფოს სპეციალური სამსახურების კომპეტენციაში გადადიოდა. ბაგრატიონთა პრობლემაზე მუშაობის ეკლესიური შედეგები, ჩემთვის, დღის სინათლეზე გამოჩნდა მხოლოდ 2008 წლის სექტემბერში, როდესაც ბაგრატიონთა ქორწილი აღმოჩნდა დანიშნული საქართველოს პატრიარქის კურთხევით. როგორც გაირკვა, საქართველოს საპატრიარქოს საკუთარი კონსულტანტი ჰყავდა დანიშნული მონარქიის საკითხებში, გაიოზ მამალაძის სახით, რომელსაც საქართველოს სამეფო ტახტის ლეგიტიმური პრეტენდენტის შესახებ საკუთარი კონცეფცია ჰქონდა შემუშავებული. ეს კონცეფცია კი ქართველ ბაგრატიონთა ებრაულ წარმომავლობაზე იყო დაშენებული. როგორც უკვე აღვნიშნე, გაიოზ მამალაძის აზრით ქართველი ბაგრატიონები ებრაელთა პირველი მამამთავრის, აბრაამის 70 -ე თაობად დაბრუნდნენ საქართველოში, ებრაელთა დედამთავრის, რაქელის მოსახელე ქალისაგან ქრისტიანებად მოქცეულნი და საქართველოში ქრისტიანობის წინამძღოლებად მოვლენილნი. ვახანიასებური ისტორიკოსები ეტყობა ჩვენ ადრეც გვევლინებოდნენ საქართველოში ჩვენი საკუთარი ისტორიის ,,შესათითხნად", რაზედაც ილია ჭავჭავაძე ესოდენ წუხდა...

**ბაგრატიონთა ორი სხვადასხვა ქართული განშტოების წარმომადგენელთა დაქორწინება, ვითომ ტახტის ლეგიტიმური წარმომადგენლის ხელოვნურად შესაქმნელად, ყოვლად გამოგონილი ლეგიტიმური აუცილებლობა გახლდათ, რომელიც სრულიად არ ესაჭიროებოდა საქართველოს ტახტს და მითუმეტეს ქართველ ხალხს, იმ ხალხს, რომელიც დღესდღეობით მხოლოდ ალმაცერად და დრომოჭმულად უყურებს საერთოდ მეფობის იდეას. ბაგრატიონთა ქორწინების კურთხევა აშკარად პატრიარქის შეცდომაში შეყვანით იყო მიღწეული და აშკარად პოლიტიკური დანიშნულება ჰქონდა: ჩაფიქრებული ქორწინების შემდეგ, ახლადშობილი უფლისწული, რეალური მმართველი ქვეყნისა ვერ იქნებოდა. მმართველობა უნდა პატრიარქს მინდობოდა.** ამასთან მმართველობა, როგორც არა მართვა, არამედ სუფევა. მეფობის შეთავაზების ამ მიმზიდველ იდეაში შეფუთული იყო ეკლესიური კანონიზაცია საქართველოს ტახტის უფლისწულისა, როგორც ებრაელთა მეფის - დავითის გენეტიკური შთამომავლის. დღეს, როდესაც საქართველოს პატრიარქის სიტყვა და პოზიცია ქართველი ხალხის ყველაზე დიდი ავტორიტეტის სიტყვასა და პოზიციას ნიშნავს, ვეღარავის დაუმტკიცებს თვით მთელი ქართველი ხალხი, იმას, რომ საქართველოს სამეფო ტახტი, საუკუნეთა განმავლობაში მართული თურმე ებრაელთა დიდი მეფის, დავითის შთამომავალ ბაგრატიონთა მიერ, ისეთივე კუთვნილი არ არის ებრაელი

ხალხისა, როგორც ქართველი ხალხის, იმ ებრაელი ხალხისა, რომელმაც აგერ , სულ ახლახანს, 50 წლის წინ, ისრაელის ტერიტორიაზე, ორი ათასეული წლის წინ დაკარგული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. აღსანიშნავია, რომ ეს სახელმწიფოებრიობა თავის ისტორიულ ფორმაში დაბრუნებად არის გააზრებული. ეს ჩვენი ეკლესიური კანონიზაცია ,,დავითიანობისა", როგორც ებრაელთა მეფის, დავითის ხორციელი შთამომავლობისა საქართველოში, სიონისტური იდეოლოგიით მართულმა საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოს პატრიარქსა და ქართულ ეკლესიას უკვე მთელი მსოფლიოს დასანახად და გასაგონად დაადასტურებინა და გამოსძალა, როგორც უძვირფასესი ისტორიული დოკუმენტი, შექმნილი თავად საქართველოს პატრიარქის ხელდასხმით, ებრაელი ხალხის სასარგებლოდ, შექმნილი მთელი ქართული საზოგადოებრიობის თვალწინ, მისივე , მთელი ქართული საზოგადოებრიობისავე სრული მდუმარების ფონზე. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პატრიარქმა უფლიწულის ნათლობით, ბეჭედი დაუსვა ებრაელთა პრეტენზიას საქართველოს სამეფო ტახტზე და ებრაულ ისტორიულ კუთვნილებას საქართველოს სამეფო ტახტისას, დავით წინასწარმეტყველის შთამომავალთა საუკუნოვანი მეფობის საფუძველზე.

საქართველოს ,,ნაცმოძრაობის" მიერ შემუშავებული საქართველოს ახალი კონსტიტუცია, რომელიც პრეზიდენტის უფლებებს ზღუდავს და პრემიერისას აფართოვებს, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ იგი, ეს კონსტიტუცია, მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურთაგან გათვლილი პროექტით უნდა იყოს შემუშავებული, რომელშიც პრეზიდენტის ადგილი კონსტიტუციური მონარქიის მოდელით უნდა დაიკავოს ლეგიტიმურად უფლებამოსილმა მეფემ, საქართველოში მიმდინარე ეკლესიური პროცესებით, ებრაელთა მეფის, დავითის შთამომავალმა უფლისწულმა, რომელიც , არც ისე დიდი ხნის წინ, სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარში, უფლისწულად მონათლა მისმა უწმინდესობამ, საქართველოს პატრიარქმა, ილია მეორემ. საქართველოში დაკანონებული ,,ქართველ მართლმადიდებელ ტამპლიერთა ორდენი" და საქართველოს მომავალი თაობები, როგორც შთამომავალნი ებრაელთა მეფისა და საქართველოს მეფისა- დავით აღმაშენებლის , საქართველოს სამეფო და საპატრიარქო ტახტებს, უკვე გარანტირებულად, დაიცავენ ერთობლივად, მსოფლიოს ახალი წესრიგის მესვეურთა მხარდაჭერით.

ამ ეკლესიურ - პოლიტიკური კოჰაბიტაციური ურთიერთობის გამოვლინებაა საქართველოს საპატრიარქოსთან დაფუძნებული , იუდეურ - მართლმადიდებლური , სრულიად საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობა: ,,დავითიანნი", შექმნილი მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს -პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, როგორც ებრაელთა დიდი მეფის, ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის, და ქართველთა დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის, ანუ ქართველი ხალხის ორი დიდი წინამორბედის შთამომავალთა მოძრაობა.

**,,ვარდების რევოლუციით" მოსულმა საქართველოს ხელისუფლებამ და საქართველოს ეკლესიამ, ერთობლივად, საერთაშორისო ფონდის USAID- ის მხარდაჭერით, საქართველოს საპატრიარქოსთან, 2008 წლის 8 თებერვალს, ე.ი. დავით აღმაშენებლის დღეს დააფუძნეს ეს სრულიად საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობა ,,დავითიანნი", რომელიც სრულიად ქართველ ახალგაზრდობას - საქართველოს მომავალს - აცხადებს ებრაელთა მეფისა და მეფსალმუნის, დავითისა და დავით აღმაშენებლის ერთიან შთამომავლობად და მიმდევრობად. მოძრაობა ,,დავითიანნის" სულისკვეთება ორი სიმბოლური ნიშნით არის გამოხატული მოძრაობის ღერბში: ებრაელთა მეფის, დავითის ქნარითა და საქართველოს საპატრიარქო ბეჭდით. მოძრაობის წესდება გასაიდუმლოებულია და მისი მოპოვება, საქართველოს საპატრიარქოს ყოფილმა პატროლოგმა, ვერ შევძელი, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური თხოვნით მივმართე საქართველოს პატრიარქს. დიდი ალბათობით წერილი საკანცელარიო პროცედურაშივე დაიბლოკა.** ,,დაიბლოკა-მეთქი ,, ვამბობ, რადგან საპატრიარქოს სამუშაო მექანიზმი ისეა აწყობილი, ვერავინ გაიგებს, რომელი განცხადება მივიდა პატრიარქთან და რომელი-არა. ეს მხოლოდ ქალბატონმა თანაშემწემ იცის. საყოველთაოდ ცნობილი ინფორმაციით, რომელსაც მოძრაობა ,,დავითიანნის" ფაქტიური ხელმძღვანელი, კოტე სვანაძე გვაწვდის, ახალგაზრდული მოძრაობა ,,დავითიანნი" , იმიტომ დაარსდა საქართველოში, ებრაელთა მეფისა და ქართველთა მეფის ერთიანი ხატიც იმისთვის შეიქმნა, და დავით ებრაელთა მეფისა და დავით აღმაშენებლის ერთიანი ახალგაზრდული მიმდევრობაც მოძრაობის სახით იმიტომ შეიქმნა, რომ ებრძოლოს, მაგალითად, ნარკომანიას, რაც ნამდვილად კეთილშობილური საქმეა და რატომღაც, თითქმის სისტემატიურად, მოძრაობა ,,დავითიანნი", რომელიც ნარკომანიას ებრძვის, გვილოცავს ჩვენ, მთელ საქართველოს და ქართველ ხალხს ასიათასი წმინდანის დღესასწაულს. საქართველოს პატრიარქის მიერ ნაკურთხი ახალი ხატი, ერთად გამოსახული ორი დავითისა, ებრაელთა მეფისა და ქართველთა მეფისა, დაბრძანებულია წმინდა სამების საკათედრო ტაძრის სამრეკლოში. აღნიშნული ახალგაზრდული მოძრაობა: ,,დავითიანნი" სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია პრესტიჟული ოფისით, რუსთაველის გამზირზე, მესამე სართულზე იმავე შენობისა, რომლის პირველ სართულზეც საქართველოს პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდია განთავსებული. მოძრაობა ,,დავითიანნი" უზრუნველყოფილია თავისი რელიგიურ-პოლიტიკური სტატუსითაც: საქართველოს სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად არის რეგისტრირებული - ე.წ. ,,ქართველ ტამპლიერთა ორდენი", რომელიც თავისი ოფიციალური წესდებით, ღირსეულ ,,დავითიანთა" მასონურ გაერთიანებას წარმოადგენს. როგორც ამ გაერთიანების წესდება გადმოგვცემს, იგი მიზნად ისახავს საქართველოს სამეფო და საპატრიარქო ტახტების პატრონობას. როგორც რაინდთა მხედრულ საძმოს, ქართველ ტამპლიერთა ორდენს, მმართველობისათვის, საქართველოს მთელი ტერიტორია დაყოფილი აქვს რეგიონებად, რომელთაც მინიჭებული აქვთ წმინ-

დანთა სახელწოდებები...ხოლო, როგორც რელიგიური გაერთიანება, ქართველ „ტამპლიერთა“, ანუ „მეტაძრეთა“ ორდენი, საქართველოს ამჟამინდელი კანონმდებლობით განსაზღვრული იურიდიული უფლებამოსილებით, რომელსაც საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდიც უჭერს მხარს, საქართველოს მართლმადიდელურ ეკლესიას უტოლდება. შეგახსენებთ, რომ სიტყვა „ტამპლიერი“ ინგლისური სიტყვაა და „მეტაძრეს“ ნიშნავს, ხოლო აზრობრივად ამ ტერმინში: „მეტაძრე“ - იგულისხმება არა ნებისმიერი ტაძარი, არამედ ცნობილი ისტორიული ტაძარი, აგებული ქრისტესწინარედ მეფე სოლომონის დროს, ებრაელთა ღმერთის საღვთისმსახუროდ, რომელზედაც ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

„ტამპლიერთა“ მსოფლიო მოძრაობა მიზნად ისახავს ისრაელის დიდთა მეფეთა: მეფსალმუნისა და წინასწარმეტყველის, დავითისა და მისი ვაჟის, სოლომონის მიერ ისრაელიანთა ღმერთის- იაჰვეს, ანუ იეჰოვას სადიდებლად აგებული და მსოფლიო ისტორიული პროცესებით განადგურებული ტაძრის აღდგინებას. აღსანიშნავია, რომ ქართველ ტამპლიერთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რომელიც მათსავე ვებ -გვერდზეა მოთავსებული, ტამპლიერთა მსოფლიო მოძრაობის ცენტრალური ოფისი მდებარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ინტერნეტ საძიებლებით ჩვენთვის ცნობილია ის ფაქტიც, რომ ტამპლიერთა ორდენები ისეთივე მასიური მასშტაბებით დაფუძნებული ორგანიზაციებია პოსტ საბჭოთა გავლენის სივრცეში, როგორც ჯორჯ სოროსის „ღია სამოქალაქო საზოგადოებები“. სახეზეა: უკრაინელი ტამპლიერები, რუმინელი ტამპლიერები, ბულგარელი ტამპლიერები, და ა. შ.

საქართველოს პატრიარქის ვიზიტის შემდგომ დიდი ბრიტანეთის გაერთიანებულ სამეფოში და დედოფალ ელისაბედთან შეხვდრის შემდგომ, რომელიც აღიარებული დიდი ფიგურაა მსოფლიოს მასონური მოძრაობის, საქართველოს საპატრიარქოს დასჭირდა ოფიციალური განცხადების(23. 02. 2011წ.) გაკეთება, რომ საქართველოს პატრიარქს არ უკურთხებიაო ქართველ ტამპლიერთა ორდენი. მაგრამ საქართველოს საპატრიარქოს განცხადება და საქართველოს პატრიარქის განცხადება ერთიდაიგივეს არ ნიშნავს. საქართველოს პატრიარქს არ გაუკეთებია განცხადება. საქართველოს პატრიარქმა ეს განცხადება უსათუოდ პირადად უნდა გააკეთოს, თუ მას არ უკურთხებია ქართველ ტამპლიერთა ორდენი, იმისათვის, რომ საპატრიარქოს განცხადებამ ღირებულება შეიძინოს. ხოლო თუ ეს შეცდომა „ანკესის“ ტექნოლოგიით იქნა დაშვებული ეკლესიის მიერ, ეკლესიის მიერვე უნდა იქნას აღიარებული და კურთხევა ყველა კანონიკური წესის დაცვით ოფიციალურად და სახალხოდ უნდა იქნას მოხსნილი. ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ ქართველმა ტამპლიერებმა, ოფიციალურად, ინტერნეტით აუწყეს მთელ მსოფლიოს, რომ ისინი იკურთხნენ საქართველოს ეკლესიის მიერ. ინტერნეტში, ქართულ ენაზე დაიდო ე.წ. „ქართველ ტამპლიერთა“ შემდეგი განცხადება:

„2010 წლის დეკემბერში გვაკურთხეს უძველესი ქართული სამეფოს დროის წესით. ასეთი კურთხევა რამდენიმე საუკუნეა არ ჩატარებულა საქართველოში. გვაკურთხეს, როგორც ქრისტეს ლაშქარი, ქრისტეს მხედრობა, ამასთანავე ბაგრატოვანთა მხედრობა. მოგვეცა უდიდესი პატივი და ნება დაგვრთეს, სამების საკათედრო ტაძარში, შობისა და ნათლისღების წირვებზე, საკურთხეველსა და პატრიარქის ტახტთან დგომისა. (გადმოწერილია „ქართველ ტამპლიერთა ორდენის“ ვებ- გვერდიდან 2011წელს).

პირადად ჩემთვის, უშუალოდ ქართველ ტამპლიერთა ორდენის წარმომადგენელი მთავარი პირების, თეიმურაზ თუმანიშვილისა და დიმიტრი ყიფიანისაგან არის ცნობილი, რომ მათთვის, როგორც ქართველ ტამპლიერთა ორდენის მეთაურთათვის, უშუალოდ საქართველოს პატრიარქთან შეხვედრებისა და ურთიერთობისათვის, არანაირი პრობლემა და არანაირი დაბრკოლება არ არსებობს, რაც ძალიან მარტივად და ცხადად იმას ნიშნავს, რომ პიროვნება, რომელიც საპატრიარქოში, როგორც ინსტიტუციონალურ დაწესებულებაში, საქართველოს პატრიარქთან საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრების უფლებამოსილებასა და ამ შეხვედრების პროცედურულ მოწესრიგებას პრაქტიკულად განაგებს, საქართველოს პატრიარქის საყოველთაოდ ცნობილი თანაშემწე ქალბატონი, უშუალოდ მართავს საქართველოს პატრიარქისა და ქართველ ტამპლიერთა ორდენის წარმომადგენელთა შეხვედრებსაც, და რომ საქართველოს პატრიარქისა და ქართველ ტამპლიერთა კავშირი ხელდასხმულია საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. უფრო მეტი: საქართველოს პატრიარქისა და ქართველ ტამპლიერთა ურთიერთობა ხელისუფლების მიერ და ხელისუფლების დავალებით იმართება. ვის შეუძლია საქართველოს პატრიარქს თავად მისი კურთხევის გარეშე, ე.ი. პატრიარქს პატრიარქის გარეშე უკურთხოს საკურთხევლის საპატიო ამალად ტამპლიერ მასონთა წარმომადგენლები? ცხადია, არავის. ქართველ ხალხს, საქართველოს ეკლესიას და საერთოდ საქართველოს მომავალს აუცილებლად სჭირდება საკუთრივ უწმინდესის განცხადება, როგორც ისტორიული დოკუმენტი, რომ მას, საქართველოს პატრიარქს, მის უწმინდესობას, ილია მეორეს არ უკურთხებია ქართველ ტამპლიერთა ორდენი.

ქართველ ტამპლიერთა ორდენის ზემოთ ხმობილი განაცხადი, რომელშიც ნათქვამია, რომ ისინი, ანუ ქართველი ტამპლიერები აკურთხეს, როგორც ქრისტეს მხედრობა და ბაგრატოვანთა მხედრობა, ზუსტად ასახავს ქართველ ტამპლიერთა ორდენის ჩვენს ხელთ არსებულ ოფიციალურ წესდებას, რომელშიც ორდენის მიზანდასახულებად გაცხადებულია საქართველოს სამეფო და საქართველოს საპატრიარქო ტახტების პატრონობა, რაც იმას ნიშნავს, რომ ისრაელის ბიბლიურ მეფეთა, დავითისა და სოლომონის მიერ ისრაელიანთა ღმერთის - იაჰვეს, იგივ იეჰოვას სადიდებლად და თაყვანისსაცემად აგებული სახელგანთქმული ტაძრის აღდგენისათვის დაფუძნებული მრავალსაუკუნოვანი მოძრაობა, ინგლისურ ენაზე „ტამპლიერთა“, ხოლო ქართულ ენაზე „ტაძრელთა“ მოძრაობა, შევიდა საქართველოს წმ. სამების საკათედრო ტაძრის საკურთხეველში და ქართველი ერის ღმრთისაკენ აღმავალ მლოცვარე სიტყვას აედევნა...უფრო მეტი: ქართველ ტამპლიერთა ე. წ.. მხედრობა, სარგებლობს რა საქართველოს ისტორიის უძველეს მატიანეში - „ქართლის ცხოვრებაში“ დაშვებული ინფორმაციული აღრევით, რომელმაც ცთომილებაში ჩააგდო თვით ქართული ეკლესია, პრეტენზიას აცხადებს საქართველოს საპატრიარქო და სამეფო ტახტების მეურვეობისას: საქართველოს ეკლესიის გაგებით საქართველოს სამეფო ტახტი ხომ დღევანდელ ბაგრატიონებს, როგორც ისრაელის ბიბლიურ მეფეთა შთამომავლებს: დავით წინასწარმეტყველისა და სოლომონ მეფის შთამომავლებს ეკუთვნით?! ამგვარი გაგებით, საქართველოს ეკლესია ფაქტობრივად, ჩადგა თანამედროვე მსოფლიოს ახალი, სიონისტურ-მასონური მოძრაობის ყველაზე სანუკვარი მიზნის, სოლომონის ტაძრის აღდგინების სამსახურში და არა მხოლოდ.... მართალია, დიდი ხანია გვესმის, რომ „ იყიდება საქართველო“, მაგრამ ის ფორმა გაყიდვისა, რომელსაც ჩვენი რეალობა იღებს, სიტყვაში ვერ თავსდება. როგორ ფიქრობთ? ხომ არ ხდება გაყიდვა, ქართველი ხალხის თვალებში ნაცრის შეყრით, ქართველი ერის მთელი ისტორიისა და ხომ არ ხორციელდება ქართველი ერის ეროვნული ფენომენის ამოშლა არა მხოლოდ ცალკეული ქართველის პირადობის დამადასტურებელი მოწმობიდან ამოშლის გზით, არამედ - მთელი ქართველი ერის პირადობის ისტორიის ამოშლით საკაცობრიო რეალობიდან?! ხომ არ იდგამს საკუთარ ტახტს იუდაიზმი საქართველოში საქართველოს ეკლესიის გზით?! რას ნიშნავს საქართველოს ეკლესიურ რეალობაში მასიური შეცვლა წმ. სამების ხატის ახალი აღთქმისეული კანონიკურ იკონოგრაფიული სიუჟეტისა, ანუ: მამა ღმერთისა, მარჯუენით მჯდომარე იესო ქრისტესი და მტრედით გამოსახული სულიწმიდის ხატისა, ძველი აღთქმისეული, აბრაამთან დასტუმრებული სამი ჭაბუკის სიუჟეტით?! საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის, ილია მეორის ლოცვა - კურთხევით შესრულებული, ახალი, ძვირფასი თვლებით მოჭედილი ხატი: „საქართველოს იმედი“, რომელიც ერთგვარი „მეტოქია“ მე-19 საუკუნეში შესრულებული „საქართველოს დიდების“ ცნობილი ხატისა, კომპოზიციურად, ამაღლებულ და მანათობელ ქრისტეს გამოსახულებაში ჩაანაცვლებს წმინდა სამების ძველი აღთქმისეულ სიუჟეტს , ანგელოზებად აღქმული სამი ჭაბუკისას. „საქართველოს იმედის“ ამ ახალ მონუმენტურ ხატში საქართველოს იმედის კომპოზიციის დაგვირგვინება ძველი აღთქმისეული სამი ჭაბუკით, რომელთაც დაინტერესებულმა „თეორეტიკოსებმა“ ხელოვნურად მოახვიეს წმინდა სამების გაგება, ( ისევე, როგორც წარღვნისშემდგომი კაცობრიული მოდგმის ეპონიმებად ცნობილ ნოეს ვაჟიშვილებს: სემის, ქამისა და იაფეტის სამპიროვნულობის შემთხვევაში მოხდა), არავითარ სიმბოლურ თეოლოგიას არ ექვემდებარება. როგორც აბრაამთან დასტუმრებული სამი ჭაბუკის სამპიროვნულობაში, ისე ნოეს სამი ვაჟის, სემის, ქამისა და იაფეტის სამპიროვნულობაში ქრისტიანული წმინდა სამების სიმბოლურ გამოვლინებათა ამოკითხვა არის შედეგი ქრისტიან თეორეტიკოსთა ტენდენციური პოზიციისა, წმინდა სამება ამოიკითხონ ძველ აღთქმაში და ამ გზით გააძლიერონ და დაასაბუთონ ჭეშმარიტება ახალი აღთქმისა. სამაგიეროდ ეს ხელოვნურად მოძიებული სიმბოლიური წმინდა სამება, საშუალებას გვაძლევს, თავიდან ავიცილოთ ტრადიციული კანონიკური იკონოგრაფიული სიუჟეტი წმინდა სამებისა: მამისა, ძისაიესო ქრისტესი, და მტრედით გამოხატული სულიწმიდისა, რაც ზუსტად გამოხატავს დღევანდელი ქართული ეკლესიის გადახრას ძველი აღთქმისაკენ, და ქართული ეკლესიის ცნობიერებაში იუდაისტური ტენდენციების მომძლავრებას. ფაქტობრივად, წმ. სამების ტრადიციული ხატის შეცვლით, ძველი აღთქმისეული სიუჟეტით, ქართულმა ეკლესიამ ერთი მხრივ შეცვალა ქრისტეს გამოსახულება მარჯუენით მამისა, მტრედის სახით გამოსახული სულიწმიდის სხივთა ფენაში, და აერიდა ქრისტიანული თეოლოგიის ფუნდამენტური პრინციპის, ვიზუალურ დადასტურებას, ხოლო მეორე მხრივ, ამ შეცვლით, იკონოგრაფიულად ქრისტეს გამოსახულების გაყვანა მოხდა წმინდა სამებიდან. რამდენად გამართლებულია მამისა, ძისა და სულიწმინდის რეალურ გამოსახულებათა შეცვლა ძველი აღთქმისეული სამი ჭაბუკის სიუჟტით, აბრაამის სტუმრებით, რომელთაგანაც ორი მათგანი , აბრაამის შემდგომ, აბრაამის ძმისწულის, ლოტის სტუმრები ხდებიან? აბრაამთან ამ სამი ჭაბუკის გამოცხადების შედეგია წინასწარმეტყველება, რომ აბრაამის ცოლს, უშვილოს და უკვე ასაკში შესულს, შეეძინება შვილი, და ეს მართლაც ასე მოხდება. ებრაელი ერის, როგორც სემიტური მოდგმის გენეალოგია დალაგდება სწორედ ამ გამოცხადების აღსრულებით: „აბრაამ შვა ისააკ, ისააკ შვა იაკობ, იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი...“ და ა. შ. ხოლო რაც შეეხება ლოტის სტუმრობას და ამ ჭაბუკების დამსახურებას ლოტის წინაშე, როგორც ვიცით წმინდა წერილით, ანუ ბიბლიურივე გადმოცემით, საკმაოდ მძიმე დრამა დატრიალდება თავად ლოტისათვის. ქალდეველთა ქვეყნიდან აბრაამთან ერთად წამოსული ლოტი, უსახლკარო და უბინაო, თავისი ცოლითა და ორი ქალიშვილით დაბინავდება ქალაქში, რომელიც სოდომურ ცოდვაშია ერთიანად ჩაფლული და დღეს თუ ხვალ უფლის განგებით მძვინვარე განადგურება ელის. სოდომის განადგურების საბოლოო განჩინების მისაღებად უფლისათვის სოდომელების საქციელი ხდება, რომელსაც ისინი ლოტს დასტუმრებული ჭაბუკების მიმართ გამოიჩენენ: ლოტის სახლს შემორტყმული მთელი ჯოგი, სოდომური ვნებით შეპყრობილი კაცებისა, ლოტისგან ითხოვენ სტუმარი ჭაბუკების გადაცემას. თავზარდაცემული ლოტი იძულებულია თავისი ქალიშვილები შესთავაზოს ვნება აშლილ კაცებს, ოღონდაც სტუმრები იხსნას. უფალი ანგელოზების გზით აუწყებს ლოტს რომ გადაუდებლად, უკანმოუხედავად უნდა გავიდეს სოდომიდან. ასეც მოიქცევა ლოტი.მაგრამ იმის გამო, რომ მისი ცოლი დაარღვევს უფლის ბრძანებას და უკან მიიხედავს , უკვე ცეცხლის ბუღში გახვეული სოდომისაკენ, მარილის სვეტად გააქვავებს მას უფალი და ამგვარად, ლოტი, სოდომიდან გაქცევის დროს, ცოლს დაკარგავს. ტრაგიკული ბედის მამა და ორი ქალიშვილი კი ისეთ უკაცრიელს შეაფარებენ თავს, სადაც ადამიანის ჭაჭანება არ არის, და იმისათვის, რომ არ ამოწყდნენ, ქალიშვილები მიიღებენ გადაწყვეტილებას, მამისაგან შობონ. ასე შეუერთდება აბრაამის მოდგმას ცოდვილი ორი შტო ლოტისა - მოაბელებისა და ყამონიანებისა - რომელთაც იუდეური წესით, სალოცავში, უფლის წინაშე დგომა ეკრძალებათ. ამრიგად, ძველი აღთქმის მთელ ისტორიაში , აბრაამთან დასტუმრებული სამი ჭაბუკი , გაგებული როგორც ღმერთისგან გამოგზავნილი სამი ანგელოზი, არის ღრმად ებრაულ- ეროვნული დატვირთვის, და ქრისტიანული წმინდა სამების: მამისა, ძისა და სულიწმიდის ალეგორიად გააზრება მათი, სრულიად ნაძალადევი და ხელოვნურია. „საქართველოს იმედის“ ხატის დაგვირგვინება კი ამგვარი ალეგორიით, როგორი ძვირფასი თვლებითაც არ უნდა მოვჭედოთ იგი, დაუშვებელია!

ეკლესია არ არის სამეცნიერო კვლევითი დაწესებულება. პასუხისმგებლობა ამ ცთომილებაში კატეგორიულად ეკუთვნის ქართულ მეცნიერებას და ქართველ მეცნიერებს. ჩვენ ვდგავართ საშიშროების წინაშე იმისა, რომ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კონტექსტში მომძლავრებული ტენდენცია ეროვნული იდენტობის უგულებელყოფისა და უეროვნებო მსოფლიოში გადასვლისა, ქართველი ხალხისთვის არ აღმოჩნდეს დამატებითი საფუძველი, მის მიერ, ქართველი ხალხის მიერ საკუთარი თვითმყოფადობის უარყოფისა და მშობლიური მიწა-წყლის ნაწილ-ნაწილ გასხვისებასთან ერთად საკუთარი ეროვნული ისტორიის გასხვისებისაც; შეიძლება ითქვას უფრო მწვავედაც: საკუთარი ეროვნული ისტორიისა და ეროვნული მეობის გასხვისების...

ქართულ საზოგადოებრიობას გაცნობიერებული არა აქვს, რომ საქართველოს ეკლესიის კურთხევით ანა ბაგრატიონ -გრუზინსკისა და ესპანეთში გაზრდილი დავით ბატონიშვილის ხელოვნური ქორწინებით შობილი შვილი, რომელიც თავად ბაგრატიონთა სახლის განცხადებით, არავითარი გენეტიკური კანონიერების თვალსაზრისით არ წარმოადგენდა აუცილებლობას, საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის, ილია მეორის მიერ სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარში მოინათლა როგორც ებრაელთა მეფის, დავითის შთამომავალი უფლისწული. ქართველ ხალხს გაცნობიერებული არა აქვს, რომ საქართველოს ეკლესიამ, საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა ისტორიული ტიტულის „დავითიანის“ მცდარ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, კერძოდ, ქართველი ბაგრატიონების გაგებით და საქვეყნო აღიარებით ებრაელთა ბიბლიური მეფის, დავით წინასწარმეტყველის ხორციელ შთამომავლებად, მსოფლიოს სიონისტურ მოძრაობას და დღევანდელ ისრაელს, რომელმაც ორიათასწლოვანი ხანგრძლივობით დაკარგული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა და ამჟამად, თავგანწირული იბრძვის დავითისა და სოლომონის ტახტისა და დავითისა და სოლომონის ტაძრის აღდგენისათვის, საქართველოს სამეფო ტახტზე უფლებამოსილება დაუმტკიცა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ საქართველოში ოფიციალურად არის რეგისტრირებული „ქართველ ტამპლიერთა ორდენი“, რომელსაც თავისი ოფიციალური წესდებით საქართველოს სამეფოს და საპატრიარქო ტახტების პატრონობა აქვს მიზანდასახული, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოში მსოფლიოს ახალი წესრიგის დასამყარებლად შემოყვანილ ხელისუფალთა მეშვეობით მსოფლიოს სიონისტურმა მოძრაობამ, ბ-ნ ჯორჯ სოროსის წარმომადგენლობით, შესძლო, ჯერ კონკორდატის გზით აეყვანა კონსტიტუციური უფლებამოსილების დონეზე საქართველოს ხელისუფლებისა და საქართველოს ეკლესიის თანამშრომლობა ერთმანეთთან, ხოლო შემდეგ , როგორც ეკლესიური, ასევე საერო საკანონმდებლო წესით, საქართველოს სამეფო ტახტის პატრონობა ჩაებარებინა ქართველ ტამპლიერთა ორდენისათვის, იგივ სოლომონის ტაძრელებისათვის, ანუ ქართულ- ებრაული სიონისტური ლაშქრისათვის. და ძალაუნებურად ჩნდება კითხვა: ხომ არ იმყოფება ქართული ეკლესია იმ პოლიტიკური პატიმრის როლში, რომელიც მის მიერვე გამოგონილი დეტექტური ეპიზოდებით, ჩვენთვის გაუგებარი საჭიროებით გვიკიჟინებს ქალდეველთაგან საკუთარი უპირატესობების დათმობაზე ებრაელთათვის. რატომ იწვევს საქართველოს ეკლესია შთაბეჭდილებას მონარქიის იდეის წარმართვისას ხალხისაგან ფარული და კონსპირაციული მეთოდით?! ხომ არა გვაქვს საქმე საქართველოს პატრიარქის შეცდომაში შეყვანით საქართველოში ოფიციალურად რეგისტრირებულ ტამპლიერ-მასონთა ორდენის მართლაც კურთხევასთან საქართველოს პატრიარქის მიერ და საქართველოს სამეფო ტახტის დათმობასთან ქართველ ტამპლიერთა საპატრონოდ? ხომ ფაქტია, რომ ქართველ ტამპლიერთა ორდენი დავით ბატონიშვილის მფარველობაში იმყოფება? ხომ ფაქტია, რომ ლეგიტიმაციის სახელით გამოგონილი ბაგრატიონთა ქორწინება, სრულიად სხვა მიზნისათვის იყო ჩაფიქრებული? ხომ ფაქტია, რომ ქართველი ხალხისთვის უცნობი მსოფლმხედველობრივი ორიენტაციის დავით ბატონიშვილი აღმოჩნდა ე. წ. ლეგიტიმური უფლისწულის გამჩენი. საქართველოს პატრიარქისადმი ქართველი ხალხის ნდობის ფაქტორი იმხელაა, რომ მის ყოველ ნაბიჯს ქართველი ხალხი სიფხიზლე დახშული მიჰყვება. საპატრიარქოში არ არსებობს ასევე ისტორიულ-ტრადიციული საკათალიკოსო საბჭო, შემდგარი საერო პირთაგან, რომელიც ერთგვარად დააკავშირებდა საქართველოს საპატრიარქო მმართველობასა და ქართველ ხალხს ... ამ ფუნქციას საქართველოს საპატრიარქოში ასრულებს სახელმწიფოს მიერ შექმნილი „მარდოქაი- ესთერის“ მექანიზმი... ცუდი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ბიბლიური გადმოცემით მარდოქაი- ესთერის მექანიზმით სპარსეთის უდიდესი იმპერია ებრაული ინტერესებისათვის ამუშავდა და დასრულდა სპარსეთის მეფის, დარიოსის მცდელობით: ბაბილონელთა მიერ დანგრეული სოლომონის ტაძრის აღდგენის... ისტორიული წყაროებით დარიოსი ესთერის შვილი იყო სპარსეთის მეფისაგან გაჩენილი, ისე რომ სპარსეთის მეფემ არც იცოდა, რომ ესთერი ებრაელი იყო...

აი, ამ გამოწვევების კონტექსტში გვიხდება ჩვენ განმარტება იმისა , თუ რას ნიშნავს საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის დიდთა მეფეთა ტიტულატურაში მოხსენიება მათი, ანუ ქართველი ბაგრატიონებისა „დავითიანებად“, ან „დავითიან-სოლომონიანებად“, ანუ შთამომავლებად დიდთა ებრაელთა მეფეთა მოდგმისად..... ძალზედ ყურადსაღებ ფაქტებად მიგვაჩნია მისი უწმინდესობის, სა-

14 gv.

13 gv.

ქართველოს პატრიარქის განცხადებები 2014 წლის აპრილში, მიჯრით გაკეთებული, დევიდ ლიდინგტონის - დიდი ბრიტანეთის მინისტრის ევროპის საკითხებში, ისრაელის შინაგან საქმეთა მინისტრის, გიდეონ საარის, და მალტის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის - ჯორჯ ველლას საპატრიარქო რეზიდენციაში სტუმრობების დროს, რომ „საქართველოს თვის ევროკავშირში გაერთიანება აუცილებელია“. როგორც საპატრიარქოს ვებ გვერდებით გვატყობინებენ, ეს გახლავთ გუნდი, რომელიც აღჭურვილია უფლებით საქართველოს პატრიარქთან კარს მიღმა საუბრის... როგორც ცნობილია, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი მალტის მასონური საიდუმლო ორდენის კავალერია. სავარაუდოდ ეს ვიზიტები საქართველოში მონარქიის აღდგენის საკითხებთან უნდა იყოს დაკავშირებული... შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რა საინტერესო ხედვა აქვს ჩვენს ხალხს: საქართველოს სამეფოს ვებ გვერდზე რიგითი მოქალაქის კომენტარი და პასუხი კითხვაზე, ემხრობა თუ არ ემხრობა მონარქიას, გვაუწყებს და გვაფრთხილებს: ...ოღონდ საქართველოს მეფე არ შეიძლებაო იყოს მალტის მასონური ორდენის კავალერი. ეს რიგითი ქართველისათვის, თორემ ეკლესიის საქმეთა მმართველისათვის, ქალბატონისთვის, რომლისათვისაც მსოფლიო საეკლესიო კრებათა უფლებამოსილებანი აღმოჩნდა მინიჭებული, რომლისათვისაც აღმაშფოთებელი აღმოჩნდა ჩემი გაგებული დედა უფალიცა , დანტე ალიგიერიცა და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“, სრულიად დოგმატურ-კანონიკური აღმოჩნდა მოძრაობა დავითიანნიც, ბაგრატიონთა დავითიანობის გაგებაც ებრაელთა მეფის გენეტიკურ შთამომავლებად და , ქართველ მართლმადიდბელ ტამპლიერთა ორდენიც, რომლის წევრებიც საიდუმლო ხელდასხმის რიტუალში სამჯერ აფურთხებენ ქრისტეს ხატს. ესენი გვილოცავენ ჩვენ , მთელ საქართველოს ასი ათასი წმინდანის ხსენების დღეს, წმინდანების, რომელთაც სიკვდილი არჩიეს ქრისტეს ხატზე ფეხის დაბიჯებას. როგორც ჩანს, საქართველოს ეკლესიას და ეკლესიის საქმეთა მთავარმმართველ ქალბატონს, რომელსაც ჩემეული გაგება სულიწმინდის დედურობისა აღმაშფოთებელ შეურაცხყოფად მიაჩნია საქართველოს ეკლესიისათვის, ეგ არაფერი, ეკლესიას, რომელსაც პეტრე იბერი და „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთაველი არ მიაჩნია მართლმადიდებლებად, მართლმადიდებლებად მიაჩნია ქართველი „ტამპლიერები“, რომლებიც, მსოფლიოში აღიარებული ინფორმაციით, ორდენის რაინდებად საიდუმლო ხელდასხმის დროს, სამჯერ აფურთხებენ ქრისტეს ხატს.

# საქართველო და ქართული ეკლესია აპოკალიფსის კარიბჭესთან

პირველი ბაგრატიონი მეფე, ეს გახლავთ გუარამ ბაგრატიონი, რომლის შვილიშვილებად, მათ შთამომავლებად და ნათესავებად დასტურდებიან ქართულ ისტორიოგრაფიაში მთელი დინასტიის წარმომადგენელნი, დაწყებული მე-6-ე საუკუნიდან და დამთავრებული მე-19 -ე საუკუნით, საქართველოს სამეფო ტახტის არსებობამდე - უკანასკნელი მეფის, გიორგი მე-12-ის არსებობამდე. ბაგრატიონთა დინასტია მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივ დინასტიად არის აღიარებული.

VI საუკუნემდე, ე.ი. მანამ, სანამ ბაგრატიონები საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდოდნენ, ისინი, ბაგრატიონები არიან საქართველოს ერთერთი დიდი სამთავროს - ტაო კლარჯეთის მთავრები და განსხვავებით საქართველოს სხვა სამთავროთა მთავრებისაგან, საქართველოს სამეფო ტახტზე ასაყდრებამდე, ატარებენ განსხვავებულ ტიტულს. ეს ტიტული არის „ პიტიახშობის“ ტიტული, რაც, დიდი ქართველი მეცნიერისა და ბაგრატიონთა მკვლევარის, პავლე ინგოროყვას განმარტებით, იმას ნიშნავს, რომ ისტორიის ამ მონაკვეთში მთავრები კი არიან, მაგრამ გენეტიკურად, ე. ი. თავიანთი წარმომავლობით სამეფო საგვარეულოდან მოდიან. ერთი სიტყვით, „პიტიახშები“ პირველ ქრისტიანულ საუკუნეებში ნატახტარი მთავრები არიან. პავლე ინგოროყვა თავის ფუნდამენტურ ნაშრომში: „გიორგი მერჩულე“ სრულიად ნათლად გადმოგვცემს, რომ ბაგრატიონები „პიტიახშობას“ ფარნავაზიანთა დინასტიიდან წარმომავლობის გამო ატარებენ. ხოლო როდესაც სამეფო სკიპტრას იპყრობენ ხელთ, პირველაღსაყდრებიდან ოთხი საუკუნის შემდგომ, როგორც ამას ქართველი მკვლევარებიც აღიარებენ, X საუკუნეში, ისინი იძენენ მანამდე არარსებულ სრულიად ახალ ტიტულს თავიანთი მეფური წარმომავლობისას ღვთისაგან და ეს წარმომავლობა ღვთისაგან ფორმულირდება, როგორც წარმომავლობა ისრაელიანთა მეფის, ბიბლიური დავით წინასწარმეტყველისაგან. ერთ ცნებაში მოქცევით კი ეს ტიტული ხდება „დავითიანი“. ჩვენს მიერ გამოცემულ წიგნში:“გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქართველი ერის შესახებ“ ჩვენი ყურადღება მივაპყარით სწორედ იმ უმნიშვნელოვანეს ფაქტს, რომ, (ვიმეორებ!) ბაგრატიონები იმავე „ქართლის ცხოვრებით“, რომლითაც ისინი დავით წინასწამეტყველის შთამომავლებად, ანუ „დავითიანებად“ მოიხსენიებიან, სრულიად გარკვევით, ამ ტიტულს იძენენ პირველაღსაყდრებიდან ოთხი საუკუნის შემდგომ. შეიძლება ითქვას, რომ ბაგრატიონთა სამთავრობო ტიტული „პიტიახშობისა“ მეათე საუკუნეში იცვლება სამეფო ტიტულით: „დავითიანით“; დავით აღმაშენებლის შემდეგ კი, იმისათვის, რომ დავით აღმაშენებელმა არ გადაფაროს ბაგრატიონთა „დავითიანობაში“ დავით წინასწარმტყველის მნიშვნელობა, „დავითიანობის“ ტიტულის გამოსაკვეთად დავით წინასწარმეტყველთან კავშირში, ანუ „დავითიანის“ „ დავითის“ ვინაობის დასაზუსტებლად სამეფო ტიტულატურაში, თუ რომელ დავითზეა აქ საუბარი, და რომელი დავითი იგულისხმება ტიტულში, „დავითიანს“ ემატება ბიბლიური დავითის ან შვილის ან მამის სახელები: სახელგანთქმული ვაჟის, სოლომონ ბრძენის, ან ბიბლიური დავითის მამის, იესეს სახელები და ბაგრატიონები ხდებიან „დავითიან- სოლომონიანები“, ან „იესიან - დავითიან - სოლომონიანები“. ამგვარად, ქართველი ბაგრატიონები, ხდებიან რა ისტორიის გარკვეულ ეტაპზე „დავითიანები“, დროისა და ჟამის მიხედვით, ინტერპრეტაცია მათი სამეფო წარმომავლობისა, ანუ ისტორიული რეალური წარმომავლობა ფარნავაზ ქართველთა მეფისაგან, იცვლება ახალი ინტერპრეტაციით მათი წარმომავლობისა ებრაელთა დიდი მეფის, ბიბლიური დავით წინასწარმეტყველისაგან. ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ ბაგრატიონთა ისტორიის უძველეს ქართულ მატიანისეულ გადმოცემაში იქმნება სრულიად პარადოქსალური სურათი: პირველი ბაგრატიონი მეფე ქართლისა - გუარამ ბაგრატიონი, უშუალოდ რომლისაგანაც მომდინარეობს გენეტიკურად მთელი მოდგმა ქართველი ბაგრატიონებისა და ე.ი. X საუკუნისა და მისი შემდგომი ბაგრატიონებისაც, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მათემატიკური სიზუსტით არის დაზუსტებული, სრულიად მკაფიოდ და გამჭვირვალედ, „ დავითიანი“ არ არის. ერთი სიტყვით, „ ქართლის ცხოვრების“ ლოგიკით, არადავითიანი, ანუ არადავითის შთამომავალი გუარამ ბაგრატიონის მოდგმა X საუკუნიდან ხდება დავითის მოდგმისა, ანუ „დავითიანი“. ისმის კითხვა: რატომ და როგორ, რასთან დაკავშირებით ხდება ეს გადავითიანება? და როდის ხდება მისი პირველი დაფიქსირება ისტორიოგრაფიულად?!

ქართულ ისტორიოგრაფიაში ბაგრატიონების „დავითიანებად“ მოხსენიების პირველ ისტორიულ წყაროდ მიჩნეულია გიორგი მერჩულეს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“, რომელიც დაიწერა 950 წელს. გიორგი მერჩულე თავისი ზედწოდებით „მერჩულე“, ანუ „მერჯულე“, ე.ი. რჯულის მცოდნე, დღევანდელი ტერმინით „სამართალმცოდნე“ და „იურისტი“, ჭეშმარიტად არის ისეთი კომპეტენტური პიროვნება, რომელსაც დიდი ნდობა ეკუთვნის ჩვენგან ფაქტებისა და ცნებების სამართლებრივ გადმოცემაში. გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღწერს გრიგოლ ხანძთელისა და საქართველოს მეფის აშოტ დიდის შეხვედრას, რომლის დროსაც მეფე აშოტ კუროპალატი გრიგოლ ხანძთელს ადარებს უფლის მიერ წარმოჩენილ ბიბლიურ წინასწარმეტყველთ, ამჯერად წარმოჩენილს ქართველი ხალხისათვის. თავის მხრიდან, გრიგოლ ხანძთელი, მეფეს, აშოტ კუროპალატს უბრუნებს სიტყვას ასეთივე ზეაწეულ რეესტრში და შეადრის მას, მეფე აშოტ კუროპალატს, ბიბლიურ მეფეს ისრაელისას, დავითს:

„-დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო, მეფობაიცა და სათნოებანიცა დაგიმკვიდრენ ქრისტემან“- ასე მიმართავს გრიგოლ ხანძთელი საქართველოს მეფეს, აშოტ კუროპალატს.

ეს მიმართვა გახლავთ პირველი მოხსენიება ქართველი ბაგრატიონებისა „დავითიანებად“.

როგორც ვხედავთ, თვითონ დავითი, ებრაელთა მეფე, აქ, გრიგოლ ხანძთელის სიტყვაში, წარმოდგენილია „წინასწარმეტყველად და ცხებულად უფლის მიერ“, ხოლო აშოტ კურაპალატი, ქართველთა მეფე - ებრაელთა მეფის, წინასწარმეტყველისა და უფლის მიერ ცხებული დავითის „შვილად წოდებულ ხელმწიფედ“. გიორგი მერჩულე მკაფიოდ აჟღერებს საქართველოს ხელმწიფის, ანუ საქართველოს მეფის „წოდებულობას შვილად დავითისად“. ხაზგასმით შევნიშნოთ: „წოდებას“, „წოდებულობას“ შვილად და არა უშუალოდ შვილობას. ე.ი. აშოტ კუროპალატს, როგორც საქართველოს მეფეს, მიღებული აქვს წოდება დავითის შვილობისა. გრიგოლ ხანძთელი აშოტ კუროპალატს კი არ ეუბნება: „ დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შთამომავალო ხელმწიფეო“... არამედ:“დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო“-ო. ამრიგად ზემოთ მოხმობილი ფრაგმენტით მთელი რიგი საუწყებო დებულებები გადმოცემული. პირველ რიგში გიორგი მერჩულე აფიქსირებს ფაქტს, რომ ეკლესიის ცნობილი მამა გრიგოლ ხანძთელი აშოტ კუროპალატს მოიხსენიებს, როგორც ბიბლიური „დავითის შვილად წოდებულს“; გვეუწყება ისიც, რომ ამ მომენტისათვის გრიგოლ ხანძთელი პირველმწოდებელი კი არ არის, არამედ ეს წოდებულობა უკვე შემდგარია. გრიგოლ ხანძთელი იზიარებს და სიამაყით იმეორებს ამ ტიტულს. აქვეა გაცხადებული საფუძველიც ამ წოდებულობისა: ... „ მეფობაიცა და სათნოებანიცა დაგიმკვიდრენ ქრისტემან!“ უფალმა ჩვენმა, იესო ქრისტემ დაგიმკვიდროსო მეფობაც და ის დამახასიათებელი თვისებებიც , ანუ ის სათნოებანიც, რომლითაც იწოდეო „დავითის შვილად“. სათნოებრივი თვისებებით ნათესაური და მიმსგავსბული, იგი, აშოტ კუროპალატი - ბაგრატიონი, მემკვიდრეა ბიბლიური დავითის სათნოებრივი თვისებებისა. „ქართლის ცხოვრებაში“ , ერთ ადგილზე, მემატიანე ასე იტყვის გიორგი მეფეზე, თამარის მამაზე: „დავითიანობა და სოლომონიანობა მოჰგვარდაო ღვთისაგან“. ე. ი. დავითისა და სოლომონის მსგავსება, „ მათგვარობა“ მოჰყვებოდაო თან. „დავითიანი“ და „სოლომონიანი“ თავისი გრამატიკული ფორმით, სხვა არაერთი მაგალითით თვალსაჩინოვდება, როგორც „მსგავსი დავითისა“ და „მსგავსი სოლომონისა“. თამარ მეფე თავისი მემატიანის მიერ ერთდროულად მოიხსენიება მისსავე სათნოებათა ჩამონათვლის მიხედვით „აფროდიტიანად“, „დავითიანად“, „ალექსანდრიანად“ და ა. შ.:

„კუალად დაჯდა ცხებული ღმრთისა, თამარ მეფე, საყდართა მათ, ცამდი აღმართებულთა, შუენებითა მით აფროდიტიანითა და სიუხვითა მით მზეებრითა აპოლონიანითა, სატრფო საჭურეტი დაბნედამდის და გაჭრამდის ყოველთა გამცდელ-მხედთა და შეპყრობამდის წყალჯავარითა მით უმსგავსოთა სახითა მით ღმრთივ-ქმნულითა.“

„...გახელმწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა... თამარ სამგზის სანატრელისათა, რომელმან სიმშვიდითა დავითიანითა, სიბრძნითა სოლომონიანითა, სიმხნითა და საურავთა დღესისთა ხვალისა არ მიგდებითა ალექსანდრიანითა, იპყრნა ზღვით პონტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერელნი და ამერელნი ხაზარეთამდის და სკვითთამდის(„ქართლის ცხოვრება“,ტ.2, გვ.32,გვ.34, თბ. 1959).

როგორც ვხედავთ, მემატიანის მიერ მინიჭებული თამარ მეფის ამ სახოტბო ეპითეტებიდან - „აფროდიტიანი“, „აპოლონიანი“, „დავითიანი“, „სოლომონიანი“, „ალექსანდრიანი“ - ბაგრატიონთა ოფიციალური სამეფო ტიტულის მნიშვნელობა მხოლოდ „დავითიანსა“ აქვს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც ქართული, ისე სომხური ისტორიოგრაფიის ერთხმადი აღიარებით, ქართველი და სომეხი ბაგრატიონები ერთი ისტორიულ-გენეტიკური ძირიდან არიან მომდინარენი, მაგრამ სამეფო ტიტული „დავითიანისა“, რომელმაც საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა დროინდელ სახელმწიფო ღერბშიაც ჰპოვა ასახვა, მხოლოდ ქართველი ბაგრატიონების , ერთგვარად სპეციფიკური, წოდებრივი მახასიათებლია, ამასთან, როგორც ვხედავთ, მათივე სამეფო ქვეყნისა და სახელმწიფოებრიობის მასშტაბის.

სანამ ვუპასუხებდეთ კითხვას - რატომ მაინცა და მაინც „დავითიანობა“ და გა-დავითიან-ება აღმოჩნდა ქართველ ბაგრატიონთათვის საჭირო ტიტული მათი მეფობის ღვთიური წარმომავლობის დასადასტურებლად და არა სხვა რამ?! -თავად „ბაგრატიონობის“, როგორც სიტყვისა და ცნების წარმომავლობას გვინდა შევეხოთ, რას მეტყველბს ეს ცნება თავისთავზე, როგორც ენობრივი მონაცემი?

ამ საკითხთან დაკავშირებით, მეცნიერებაში მიღებული თვალსაზრისით, გვარის სახელწოდებაში, სრულიად ნათლად, გამოკვთილია მამაკაცის სახელი: „ბაგრატი“ , ვისგანაც გვარს ეს წოდება აქვს მიღებული, ანუ ვისგანაც ამ სახელწოდებით ეს გვარი იწყება. მეცნიერების ენაზე გვარის დამწყებ პირველ კაცს უწოდებენ „ეპონიმს“. ბუნებრივია, ბაგრატიონთა წარმომავლობის მეცნიერული კვლევისას დღის წესრიგში დგება გარკვევა იმისაც, თუ სადაური სახელია ეპონიმის სახელი, მიუხდავად იმისა, რომ სახელის სადაურობას, შესაძლოა, არ ჰქონდეს , გადამწყვეტი მნიშვნელობა. ქართველ მეცნიერთა გარდა ამ საკითხს შეეხო პროფესორი ადონცი, რომელმაც ქართველ მეცნიერებთან ერთად აღიარა, რომ თავდაპირველი ფორმა ამ სახელისა: „ბაგრატის“ - იყო „ბაგარატი“. არაფერი სადაო იმაში, რომ ქართული ენის ბუნებრივი ფონეტიკური გრადაციით „ბაგარატიდან“ მიგველო „ბაგრატი“, არ არსებობს, ისევე, როგორც „რუსთაველი“-დან - “რუსთველი“. არც არაფერი გაურკვეველი იმაში, რომ ქართულ რეალობაში ეს სახელი დამკვიდრდა ამ შეკვეცილი ფორმით, არ არსებობს. ბუნებრივია ისიც , რომ ბაგრატიონთა სპეციფიკური სამეფო სახელები: აგრა-ტი , უმბა-ტი, ბივრა-ტი, აშო-ტი, რომელთაც ბაგრატიონთა განშტოებითი გვარები წარმოშვეს, გვარში შემონახულ გარკვეულ გაგებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამ საკითხს საგანგებოდ შეეხო პავლე ინგოროყვა („გიორგი მერჩულე“, გვ. 90-99), შეეხო პროფ . ადონცის მცდელობასაც, რომელმაც „ბაგარატი“ ირანული წარმომავლობის სახელად ივარაუდა: „ბაგარატი“ ირანული „ბაგადატი“ უნდა იყოსო, მაგრამ არ გაუმართლდა. ამ უკანასკნლ ხანებში ამ საკითხს კიდევ ერთხელ მიუბრუნდა პროფესორი შალვა გაბისკირია და საბოლოოდ გამორიცხა პროფესორ ადონცის ვარაუდი. მართალია, ბატონი პავლე ინგოროყვა ბაგრატიონთა სამეფო სახელებს ქართულ სახელებად მიიჩნევს, მაგრამ სათავისეული მნიშვნელობა „ბაგრატიონთა“ ე.წ. „ეპონიმისა“, ანუ როგორ წარმოიშვა ეს გვარი, აუხსნელი დარჩა.

• ჩვენ შევეცადეთ, ჩვენეული ხედვით აგვეხსნა ეს დასაბამიერი წარმომავლობა ბაგრატიონთა გვარისა, უფრო ზუსტად: შევეცადეთ, აკადემიურ ენაზე გადმოგვეცა ის, რაც აზრობრივი მყისიერი გასხივოსნებით მოგვეცა ქართულ წინარექრისტიანულ სალოცავებზე მუშაობის დროს.

• ქართულ ისტორიოგრაფიაში, ისევე, როგორც სომხურ ისტორიოგრაფიაში, აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ბაგრატიონების სამშობლო ქვეყანა არის

• ისტორიული „სპერი“, იგივ ისტორიული „ურარტუ“, ქართველური ტომების ძირძველი სამოსახლო. ურარტუს ქართველურობას მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ თავისი სახელგანთქმული ისტორიოგრაფიული თხზულება: „ქვათა ღაღადი“. ქართველი მეცნიერებისათვის ცნობილია , რომ ბაგრატიონთა უძველესი გვარი უკვე წინარექრისტიანული ეპოქის წყაროებში დასტურდება. რამდენადაც გამორკვეულია, რომ „ბაგრატის“ თავდაპირველი ფორმა „ბაგარატია“, ბუნებრივია, სათავე ანუ თაურმნიშვნელობა ამ გვარისაც, გვარის საწყისიერ ფორმაში ვეძებოთ: „ბაგარატ-იონ“-ში. რას შეიძლებოდა ნიშნავდეს ურარტულ სამყაროში „ბაგარატი“?

• აღსანიშნავია, რომ წინარექრისტიანულ ცივილიზაციებში ხალხების სა-

## ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის – „დავითიანის“ გაგებისათვის

რაში მდგომარეობს ცთომილება საქართველოს უძველესი მატიანის: „ქართლის ცხოვრებისა“ და რატომ იწოდებიან საქართველოს ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელი მეფენი „დავითიანებად“, ანუ რას ნიშნავს ბაგრატიონების „დავითიანობა“, თუ იგი არ ნიშნავს მათ გენეტიკურ შთამომავლობას ისრაელიანთა დიდი მეფის, მეფსალმუნისა და წინასწარმეტყველის - დავითისაგან?!

რაში მდგომარეობს ცოდვა და უცოდველობა ქართველი მემატიანეებისა და აქედან გამომდინარე ქართული ეკლესიისა, და სად არის სათავე ამ საბედისწეროდ მნიშვნელოვანი ცთომილების?! ამ კითხვებზე უნდა შევეცადოთ პასუხის გაცემას.

საქართველოს სამეფო ტახტზე აღსაყდრებულ ჰკიპტროსნებად ბაგრატიონები უკვე ქრისტეშემდგომი მე-6-ე საუკუნიდან გვევლინებიან.

ხელწოდებებში თავს იჩენდა მათი რელიგიური მრწამსი, ანუ მთავარი მახასიათებელი: რა იყო მათი თაყვანისცემის საგანი, რისი ან ვისი თაყვანისმცემლნი, მაღმერთებელნი და მიმდევრები იყვნენ ისინი? ასე მაგალითად: ცნობილია, რომ ქალდეველები და ასირიელები ხორციელად ერთი მოდგმისანი იყვნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ასირიელთა დედა ღვთაებას ქალდეველთა დედა ღვთაებისაგან - ქალდე ღვთაებისაგან განსხვავებული მახასიათებლებიც მიეწერებოდა, სახელიც ეცვლებოდა ღვთაებას. ასირიელთა ,,ქალდეს'' ,,ასირი'' ერქვა. მის მიმდევარ ხალხს კი ასირიელები ერქვათ. სახელ შეცვლილი ღვთაების მიმდევარი ხალხი არა მხოლოდ სხვა სახელწოდების ხალხად ევლინებოდა გარე სამყაროს, არამედ თითქმის სხვა ხალხადაც.

• ისტორიოგრაფიულად ცნობილია, რომ არა თუ ცალკეული ხალხები, არამედ ცალკეული ხალხების ცალკეული ტომები და თემებიც აღინიშნებოდნენ თავ-თავიანთი საღვთისმსახურო ტიტულით, ანუ: ვისი მადიდებლებიც იყვნენ და ვისი მსახურნიც. ბაგრატიონთა სამშობლო ქვეყანა - ურარტუ - მზის თაყვანისცემით იყო გამორჩეული ქვეყანა. მზე, თავისი მრავალფეროვანი გამოვლინებით თაყვანიცემოდა და იდიდებოდა: მზე ამომავალი, მზე შუადღისა, ჩვენებურად ''ცხრათვალა'', მზე დამცხრალი, მზე ჩამავალი, ანუ დაისისა და ა.შ. თვითეულს თავისი სახელწოდება ჰქონდა და თავისი თაყვანისმცემელი ჰყავდა; ეს გვარტომობრივი გადანაწილება მსახურებისა როგორც ჩანს, ერთდროულად, ერთგვარად უზრუნველჰყოფდა დღიურ უწყვეტობასაც ღვთისმსახურებაში და სულიერი შრომის ზომიერებასაც. ამასთან ღვთაებაც მფარველობდა თავის დიდგვაროვან მსახურსა და მადიდებელს. ქვეყნისა და ხალხის მიერ აღიარებული ღვთაებრივი ძალა მუდმივ და უწყვეტ თაყვანისცემასა და მსახურებაში იმყოფებოდა თავისი ხალხისაგან. ეს პრინციპი, პრინციპი გვარ-ტომობრივი ღვთისმსახურებისა, საქართველოს მაღალ მთიანეთში დღესაც შემორჩენილია ხატის ყმების სახით. ერთი გვარი ერთი ხატის ყმაა, მეორე გვარი - მეორე ხატისა და ა. შ.

• ბიბლიაში, ებრაელთა საგვარეულოთაგან მხოლოდ ლევიანთა საგვარეულოსა აქვს მინიჭებული ღვთისმსახურების უფლება. ურარტუს ბაგრატიონობაში, ანუ იმ ხალხის სახელწოდებაში, რომლებიც ძველი ურარტუს მკვიდრი შეიძლებოდა ყოფილიყო, ისევე შეიძლებოდა ასახულიყო მისი რელიგიური მსახურების ნიშანი, როგორც მაგალითად, დღევანდელ ქართულ გვარებში, ქალდანებში და ქარდავ- ებში ასახულია მათი წინაპრების მსახურება ღვთაება ქალდესი, გარკვეულ ეტაპზე, იგივ ღვთაება ქარდუ-სი, რაც მთელი ქართველი ხალხის სახელწოდებაშია შემონახული და ამ სახელწოდების უძველესობაზე მიუთითებს. ქრისტიანული საუკუნეების ქართულ ცნობიერებაში ქალდ(იგივ ,,ქართ'') ღვთაების სახელის გარდასახვა ხდება ნახევრად მითოსურ ეპონიმად, ბერძნული ფორმის სიტყვად: ქართლ-ოსად. ეს ყოველივე ცალკე საკითხია.... ხოლო, რაც შეეხება უკვე ზემოთქმულს, რა გასაკვირია, ერთი და იგივე ღმერთის სახელწოდება იყოს ასახული შუამდინარეთის ,,ქალდეველობასა'' და დღევანდელ ქართველთა ,,ქართუელობაში'', როდესაც თავად ქართული სიტყვა ,,ღმერთი'', ორი დიდი მეცნიერის, ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის ხედვით, ქალდეველთა მონათესავე ხალხის, ელამიტების ნათესაური სიტყვაა და მასში, ქართულ სიტყვაში- ,,ღმერთი'' - დედა ღვთაების მნიშვნელობაა ეტიმოლოგიურად დამარხული. საოცარია და, ბაგრატიონთა საგვარეულო სახელწოდებაში პირდაპირ ვაწყდებით ურარტული , ანუ თავის დროზე მათი მშობლიური ქვეყნის რელიგიურ სივრცეში სახეზე მყოფი ღვთაების, მზის ღვთაების ასახვას, რაც კუთვნილებით ფორმაში, ამ გვარის მატარებელი პიროვნების ღვთისმსახურებით დანიშნულებაზე უნდა მეტყველბდეს.

• ,,ბაგრატიონები'' ურარტუში ,,ბაგბარტუიონები'' უნდა იყვნენ, ანუ იმ მზის თაყვანისმცემელნი და მსახურნი, რომელიც ურარტუში ცნობილია ,,ბაგ-ბარტუ''-ს სახელწოდებით.სხვარიგად რომ ვთქვათ,, სიტყვა ,,ბაგრატიონი'' უნდა იყოს სიტყვა ,,ბაგ-ბარ-ტუ-იონი-ს'' ფონეტიკური, ანუ წარმოთქმითი გრადაციების შედეგად მიღებული ფორმა. კუთვნილების აღმნიშვნელი სუფიქსი: -იონი , ცხადია, ჩაახშობს წინარე სიტყვის: ,, ბაგ-ბარ-ტუ''-ს დამასრულებელ ,,უ'' ბგერას და დაგვრჩება: ,,ბაგბარტიონი''. ,,ბაგარატი'' რომელიც, პროფესორ ადონცის ვარაუდით შეიძლებოდა ირანული ,,ბაგადატი'' ყოფილიყო, ანუ აღიარებული წინარე ფორმა ,,ბაგრატისა'', თუ ნამდვილად წინარე ფორმაა ,,ბაგრატისა'', თავის მხრივ ,,ბაგბარატი-დან'' უნდა მოდიოდეს:

• ბაგ - ბარ - ტუ ბაგ - [ბ] არ - ტ[უ], (ჯერ ამოვარდა ,,ბ''), საიდანაც მივიღეთ: ,,ბაგარტ'', ხოლო ,,ბაგარტ'' ფორმიდან თავისუფლად არის მოსალოდნელი ,, ბაგარატიც'' და ,,ბაგრატიც'', საბოლოოდ კი: ,,ბაგარატიონიც' და ,,ბაგრატიონიც''.

• ისევე, როგორც თავის საწყისში არამელი ხალხის სახელწოდება; ,,არამელები'' დედა -ღვთაება ,,არამ-ის'' სახელწოდებიდან მოდის და ,,არამი'' ხალხის სახელწოდებაში პირველკაცის, ამ ხალხის პიროვნული დამწყების, ანუ სახალხო ეპონიმის მნიშვნელობას იძენს, ისევე, როგორც ქართველთა სახელწოდებაში ღვთაება ,,ქალდე'' სახალხო ეპონიმის(-პირველკაცის, ვისგანაც მომდინარეობს მთელი მოდგმა ქართველი ერისა), ,,ქართლოსის'' მნიშვნელობას იძენს, ბაგრატიონების საგვარეულო სახელწოდებაში ასახული სახელწოდება იმ მზის ღვთაებისა, რომელსაც ,, ბაგბარტუ'' ჰქვია ურარტუში, ფონეტიკურად, დროთა ვითარებაში დაყვანილი ,,ბაგრატ''-ზე, იძენს გვარის პირველკაცის, ეპონიმის მნიშვნელობას...სინამდვილეში ის ღვთაების სახეცვლილი სახელია. ამრიგად, გვარის ისტორიულ - ეტიმოლოგიური ანალიზით ბაგრატიონები ზოგადად, და ე. ი. კერძოდ, ქართველი ბაგრატიონები, რომელთა ტიტულატურასაც ვიკვლევთ, თავისი საგვარეულო სახელწოდების წარმომავლობის მიხედვით, ე. ი. პირველ ფესვებით, ურარტუს მზის ქურუმები უნდა იყვნენ.

• საქართველოს ქრისტიანულ ისტორიაში ბაგრატიონთა წარმოჩენა ტაოკლარჯეთის მთავრებად, ყველა სხვა კუთხის მთავართაგან განსხვავებული ტიტულით, ,,პიტიახშის'' ტიტულით, რომლის შინაარსშიც ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა ნატახტარობა იგულისხმება, ამასთან ფარნავაზიანთა დინასტიის შთამომავლობა, შორს არა ვართ იმ აზრისაგან, რომელიც საქართველოს პირველ ქრისტიან მეფეს , მირიანსა და მცხეთაში სპარსეთიდან გადმოსახლებულ ქალდეველ მოგვებს დააკავშირებს ერთმანეთთან. ქრისტიანული საქართველოს დედაქალაქში, მცხეთაში ხდება ქართული ეროვნული სულის თავისთავში ჩაბრუნება ჯერ სპარსეთის, შემდეგ ტაო-კლარჯეთის გამოვლით. ტაოკლარჯეთი, სწორედ ბაგრატიონთა სამშობლო, ტაო-კლარჯეთი, ქრისტიანული საქარათველოს ბაგრატიონთა სამთავრო ხდება გადაბარდნილი ქრისტიანული ეკლესია- მონასტრებით. ტაოკლარჯეთი ხდება ქართული ქრისტიანული აზროვნებისა და ქრისტიანული რწმენის ცენტრალური მონაკვეთი. შემთხვევითი არ არის, რომ პირველი წყარო ბაგრატიონთა მოხსენიებისა ,,დავითიანებად'', ტაო-კლარჯეთის ერთერთ მონასტრულ სავანეში შესდგა, გრიგოლ ხანძთელის სავანეში, საქართველოს მეფის, აშოტ კუროპალატის სტუმრობისას მონასტრის წინამძღვართან, გრიგოლ ხანძთელთან, რაზედაც ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. ქართული ეროვნული თვითშემეცნებისა და თვითგამორკვევის დინამიკაში, რომელიც ტაო-კლარჯეთის მონასტრული სივრცეების ქრისტიანულ მწვდომელობასთან გვაკავშირებს, შეუძლებელია ყურადღების ცენტრში არ მოვაქციოთ ის გარემოება, რომელიც თავდაპირველად დიდმა მეცნიერმა, პავლე ინგოროყვამ მოგვაწოდა, როგორც ელემენტარული ისტორიულ-ფილოლოგიური ინფორმაცია. ცნობილი ქართული საგალობელი: ,,ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი'' პავლე ინგოროყვას მიკვლევით უნდა აღმოცენებულიყო გრიგოლ ხანძთელის სავანეში. ჩვენს ხედვაში კი ეს იმას ნიშნავს რომ, ქრისტიანული შემეცნებისა და ეროვნული თვითგამორკვევის ეს დიდი შედევრი - ,,ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი'' - დაბადებულა მისტიური აზროვნების იმავე ისტორიულ მონაკვეთში, რომელშიაც შესდგა საქართველოს ბაგრატიონი მეფის პირველმოხსენიება ,,დავითიანის'' წოდებით. მაგრამ რამდენადაც ქართულ მეცნიერებაში აღიარებული აზრით, ,,ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი'' ბევრად ადრე უნდა იყოს შექმნილი, და იოანე ზოსიმე მხოლოდ გადამწერი უნდა იყოს ამ საგალობლისა, ვერსად გავექცევით იმ აზრს მაინც, რომ გრიგოლ ხანძთელის სავანეში ეს საგალობელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. პავლე ინგოროყვა არ გამორიცხავს იმასაც კი, რომ ეს საგალობელი ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების'' ავტორის, გიორგი მერჩულეს მიერ იყოს დაწერილი, რადგან მისი, ამ საგალობლის რიტმული ჟღერადობის მოდელი თანხვედრილიაო იმ საგალობლების რიტმული მოდელისა, რომელთაც ეკლესიურ სამყაროში დაუმკვიდრებიათ ,,მერჩულეული''-ს სახელი, ანუ გიორგი მერჩულესთვის დამახასიათებელი სტილის(- პავლე ინგოროყვა: ,,გიორგი მერჩულე'', თბ. 1956 წელი). აქ არ შევუდგებით ამ პრობლემის განვრცობას და საკმარისად მივიჩნევთ იმ უკამათო აზრს, რომ ტაოკლარჯეთის ამ ერთერთ უმნიშვნელოვანეს სავანეში, ქართული ეკლესიის დიდი მამის, გრიგოლ ხანძთელის საწინამძღვროში, გრიგოლ ხანძთელის, რომელსაც თავად მეფე ქართველთა ბიბლიურ წინასწარმეტყველთ ადრის, და სადაც ქართველი ბაგრატიონები დავით წინასწარმეტყველის სათნოებრივ მემკვიდრეებად იწოდებიან, სწორედ აქ ხდება ქართული ეზოთერული საგალობლის ,,ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის'' განვრცობა - დამკვიდრება და განმტკიცება მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის შეგნების: იოანე ზოსიმე,საგალობლის დამსახურებული გადამწერი და ლამის ავტორად ცნობილი, სწორედ კლარჯეთის მონასტერში ეწევა ამ პროვიდენციალური ეზოთერული საგალობლის მრავალგზის გადაწერას, ე.ი. განვრცობასა და სათანადო პოპულარიზაციას, და ამის შემდეგ მიდის ის სინას მთაზე თავისი გადაწერილი საგალობლით. ეს გახლავთ მე-10-ე საუკუნე. ქართველმა

მეცნიერებმა სწორედ იოანე ზოსიმეს დანატოვარი ხელნაწერები ჩამოიტანეს სინას მთიდან მე-19-ე საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20-ე საუკუნის გარიჟრაჟზე.

ტაო-კლარჯეთში, გიორგი მერჩულეს მიერ დაწერილ ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას'' მეცნიერება ზუსტად ათარიღებს 952 წლით, რაც პირდაპირ მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ ბაგრატიონთა წოდება ,,დავითიანებად'' მე-10-ე საუკუნის პირველ ნახევარში, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების გრძლიობაშია უკვე შემდგარი და გიორგი მერჩულეს მიერ არის აღნუსხული და უკვდავყოფილი ,,გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში''. უგუნურება იქნება არ შევნიშნოთ კავშირი გიორგი მერჩულეს მიერ ბაგრატიონი მეფის დავით წინასწარმეტყველის შვილად წოდებასა და იოანე ზოსიმეს მიერ მრავალგზის გადაწერილი საგალობლის მსოფლმხედველობრივ ქვეტექსტებს შორის: საქართველოს მეფის ,,დავითიანობასა'' და ქართული ენის ''საღმრთო ენად'', ანუ ,,მეორედ მოსვლის'' ენად გამოცხადებას შორის. რამდენადაც ქართული ენა ამ საგალობლით გამოცხადებულია მეორედ მოსული უფლის ენად, ქართული ენა წინასწარმეტყველურად იღებს საღმრთო ენის, ანუ ღვთაებრივი ენის მნიშვნელობას. აღსანიშნავია, რომ პავლე ინგოროყვას ცნობით ,,ქებაი ქართულისა ენისაი'' მოღწეული არ არის თავისი სრული ტექსტით. მას აკლია ,,ქებაი ქართველთაი'', რომელსაც არ მოუღწევია ჩვენამდე. მაგრამ ამ მოღწეულითაც ნათელია, რომ კლარჯეთის მონასტრულ სამყაროში ენა ქართული - საუფლო ენაა და ერი ქართველი - საუფლო ერია. ამ დანაკლისს ,, ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი''-სას პირდაპირ ავსებს და ქართველი ერის სულიერ მისიას აგვირგვინებს გიორგი მთაწმინდელის სავედრებელი პავლე მოციქულისადმი, რომელშიც ავტორი პირდაპირ იძლევა განსაზღვრებას ქართველი ერისას, როგორც ,,ახალი საღმრთო ერის'':

,,დიდებულო, ქრისტეს მოციქულთა თაო!
ახალსა ამას ერსა საღმრთოსა,
ეკლესიისა ნესტუად ხმატკბილად,
საღმრთოი შჯული დაგვიმტკიცე, ნეტარო,
რამეთუ ძირი ულმრთოებისა განჰფხუარ,
უმაღლეს უფრო ცათა მაღალთა,
ლირწებაი ჰურიათაი დაანთქ უესკნელთა,
აჰხედ სამ ცამდე, ღმრთივ სწავლულ იქმენ...''

გიორგი მთაწმინდელის ეს სავედრებელი პავლე მოციქულისადმი, რომელმაც გიორგი მთაწმინდელის ხელნაწერით მოაღწია ჩვენამდე, გიორგი მთაწმინდელის მიერ შესრულებულ პავლე მოციქულის ეპისტოლეთა თარგმანებაზეა მინაწერი და ბუნებრივია, ამ ეპისტოლეთა კონტექსტში იკითხება . ,,ისრაელი ვერ მისწვდა ქრისტეს ,,- აცხადებს პავლე მოციქული- რაც იმას ნიშნავს მისი აზრითვე, რომ რჩეული ერი ღვთისა ვერ მისწვდა გვირგვინს თავისივე სჯულისას. პავლე მოციქულმა, როგორც ვხედავთ, გიორგი მთაწმინდელის ხედვაში ,,ჰურიათა ბილწება'' დანთქა უფსკრულში, რამდენადაც, იესო ქრისტეს ცეცხლოვანი აღიარებით და მოციქულებრივი მსახურებით , მან შესძლო კაცობრიობის წინაშე ჩადენილი ებრაელთა ცოდვის გამოსყიდვა. ახალი საღმრთო ერისათვის ახალი საღმრთო შჯულის დამტკიცების ვედრებით , გიორგი მთაწმინდლი ქართველ ერს, როგორც ახალ საღმრთო ერს ძველი აღთქმის საღმრთო ერთან კონტექსტში წარმოადგენს და როგორც ახალი საღმრთო ერის წარმომადგენელი თავად და მვედრებელი , ახალი საღმრთო შჯულის დამტკიცების სახით, ფაქტიურად, იგი დიდი მოციქულისგან, როგორც ძველი აღთქმის რჩეული წარმომადგენლისაგან, ჩირაღდნის გადაცემას, ანუ ლოცვა-კურთხევას ითხოვს ქართველი ერის საღმრთო მისიის აღსრულებისათვის. რომაელთადმი მიწერილ ეპისტოლეში პავლე მოციქული მთელი იმპერიის გასაგონად აცხადებს: ,,რჯულის დასასრული იესო ქრისტეა!(რომ.10,4), ხოლო ,, ისრაელი, რომელიც ეძებდა სიმართლის რჯულს, სიმართლის რჯულს ვერ მისწვდა''(რომ.9,31), რადგან ისრაელი ვერ მისწვდაო ქრისტეს. ისევე, როგორც დავით აღმაშენებელი ბიბლიურ მეფეთადმი მიმართებაში, გიორგი მთაწმინდელი, როგორც წარმომადგენელი ქრისტესთვის ანთებული ერისა, გრძნობს თავის წარმომადგენლობას უპირატესი ერისას ქრისტეს გზით და თავისი ვედრებით პავლე მოციქულისადმი იგი აცხადებს აგრეთვე დიად წარმომადგენლობას პავლე მოციქულისას, როგორც შუამდგომლისას ძველსა და ახალ აღთქმას შორის, ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის ერებს შორის. გიორგი მთაწმინდელის განცხადებით პავლე მოციქულია ის დიდი მოძღვარი, რომელსაც წილად ხვდა პატივი და უფლებამოსილება შუამდგომლისა ძველსა და ახალ აღთქმას შორის, და პატივი და ღირსება ლოცვა-კურთხევის მიცემისა ახალი საღმრთო ერისათვის ახალი საღმრთო სჯულის დამტკიცებისა და აღსრულებისათვის.

სრულიად ნათელი და გამჭვირვალეა პავლე მოციქულისეული გაგება ახალი აღთქმისა და ძველი აღთქმის, ახლის უპირატესობისა ძველის მიმართ: ,,ახალიო, რომ თქვა, პირველის სიძველე გვაჩვენა.''- ბრძანებს პავლე მოციქული, იესო ქრისტეს მიერი ახალი აღთქმის მიმართ და სრულიად ბუნებრივად და ლოგიკურად გვესახება, რომ მთაწმინდელი მამების წმინდათა წმინდა განსჯასა და შემეცნებაში პავლე მოციქულის პიროვნული მიუკერძოებლობა და ღვთიური ბრწყინვალება ჭეშმარიტების აღქმაში, იყო საფუძველი და საწინდარი მისდამი ზეციური მფარველობის შევედრებისა, ზეციური ლოცვა-კურთხევისათვის და თანამონაწილეობის მიღებისათვის ახალი ერის ღვთიურ დადგინებაში. ეს ახალი ერი კი, გიორგი მთაწმინდელისათვის მისი მშობლიური ერი, ქართველი ერი იყო. გიორგი მთაწმინდლის ეს სავედრებელი, ბუნებრივია, განაგრძობდა და ავსებდა ტაოკლარჯეთის მამათა შემეცნებას, ავსებდა იმ თეორიას, რომელიც ტაო-კლარჯეთში, კლარჯეთის მონასტრულ სამყაროში ყალიბდებოდა როგორც თეორია ქართველი ერისა და ქართული ენის მესიანისტური დანიშნულებისა. საღმრთო ენაზე მოლაპარაკე ხალხის მესიანისტური დანიშნულების ჭეშმარიტება , ამ ხალხისა და მისი ქვეყნის უფლებამოსილებაშიც უნდა ასახულიყო. ხალხისა და ქვეყნის სიმბოლო და წარმომადგენელი მეფეა. და რადგან ამ დროის ეპოქალური ღირებულებებითა და რწმენით მესიანისტური დანიშნულება მხოლოდ დავითის მოდგმამ შეიძლება აღასრულოს, იქმნება საჭიროება მესიანისტური დანიშნულების ენაზე მოლაპარაკე ხალხმა მიიღოს დავით წინასწარმეტყველის სულიერი და მორალური მემკვიდრის სტატუსი, ანუ წოდება მისი სულიერი შთამომავლობისა. ამიტომ მესიანისტური დანიშნულების ენაზე მოლაპარაკე ხალხის პიროვნული განსახიერებანი, სამეფო დინასტიის წარმომადგენლები იღებენ წოდებას ისრაელიანთა დიდი მეფის, დავით წინასწარმეტყველის შვილობისას, ისევე, როგორც პიროვნულად იღებს იესო ქრისტე ხორციელი ,,ძეობის'' წოდებას იმავე ბიბლიური დავითისას. ბიბლიური ღირებულებებითა და რწმენით მესია მხოლოდ დავითიანობის დასტურით იმკვიდრებს თავის ღვთითბოძებულ უფლებამოსილებას. აქ მართლაც შველაა, მოვიხმოთ მისი უწმიდესობის, სრულიად საქართველოს კათალიკოს - პატრიარქის, კირიონ მეორის - საძაგლიშვილის უგაბედულესი შეფასება ებრაული დოგმატებისა, რომლითაც, კათალიკოსის აზრით, ,,ებრაელებმა თითქმის ორი ათასეული წელი თავიანთ დამონებაში ამყოფეს მთელი მსოფლიო''. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ სახარებაში თავად იესო ქრისტე აპროტესტებს ამ საჭიროებას ,,დავითიანობისას'': - რას ამბობენ ჩემზე, ვისი ძე არისო?- ეკითხება იგი სადუკევლებს და სადუკევლები პირდაპირ პასუხობენ: ,,-დავითის.''-ო. მაშინ იესო ქრისტე ეტყვის მათ ისეთ სიტყვას, რომ ვეღარასოდეს გაუბედავენ ისინი შეკითხვასა და შეკამათებას: - თქვენ ხომ აღიარებთ, რომ მე ისა ვარ, ვინც უფლად აღიარა დავითმა? თუ უფალი ვარ მისი , ძე როგორღა ვარ?! (მათე, 22, 45)

მათეს სახარებაში, სადაც იესო ქრისტე პირველივე სტრიქონით არის გამოცხადებული ,,ძედ დავითისად, ძედ აბრაამისად'', იმავე მათე მახარობლის განმარტებით ხორციელი შთამომავალი ავითისა ვერ იქნება, რადგან ქმარი მარიამისა, რეალური შთამომავალი დავითისა და აბრაამისა, იესო ქრისტეს ხორციელი მამა არ არის. იესო ქრისტე მხოლოდშობილია დედისაგან ქალწულებრივი შობით. ხორციელი მამა მას არა ჰყავს. ამიტომ მისი ,,დავითიანობა'' ფაქტიურად წოდებაა, რომელსაც მისი მესიად მოვლინების აღიარებისათვის ის გარემო და ის ხალხი საჭიროებს, რომელშიაც იესო ქრისტე იმყოფება.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

**შეკვეთილი მასალა. ნარკვევში გამოთქმულ მოსაზრებებზე და ფაქტების სისწორეზე პასუხისმგებელია ავტორი**

## საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

# ვენაში „განსაკუთრებულ“ პაციენტებს განსაკუთრებული ექიმი ელოდებათ



სოსო ნანობაშვილი

ურთულესი გადაწყვეტილების მიღება საქართველოს ისტორიაში ასევე ურთულეს დროს მოუწია – 1991 წლის დასაწყისში თბილისი სამოქალაქო ომის ჭრილობების მოშუშებას ის-ის იყო იწყებდა, ხოლო ქვეყანა ქაოსში და ბურუსით მოცული მომავალის იმედით ცხოვრობდა. იმ პერიოდში ბევრმა სცადა აქედან გაღწევა, რომ საკუთარი თავიცა და ოჯახის წევრებიც ფიზიკურად გადაერჩინა.

სოსო ნანობაშვილის ბიოგრაფია რადიკალურად განსხვავებულია – უკვე წარმატებული ექიმი პირველად ვენაში გაცვლითი პროგრამის მეშვეობით მოხვდა, რათა თავის სპეციალობაში დასავლეთში უკვე კარგად აპრობირებული სამედიცინო სიახლეები შეესწავლა. აეთვისებინა ის მეთოდები, რომლებიც ვენის საუნივერსიტეტო კლინიკაში არსებობდა და ამ გამოცდილებით გამდიდრებული თავის ქვეყანას დაბრუნებოდა.

ვენაში ყოფნისას სამეცნიერო საქმიანობაშიც ჩაება და როცა გაცვლითი პროგრამის ვადა ამოიწურა, საქართველოში დაბრუნდა, თუმცა მცირე დროით – ბატონ სოსოს შესთავაზეს, სამედიცინო კარიერა ვენაში გაეგრძელებინა.

**„ემოციურად ძალიან გამიჭირდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება – აქ მყავდა დედა, ოჯახი და მათი ხანგრძლივად მიტოვება არ მინდოდა. ამასობაში თბილისში ვითარება გაუარესდა, ჯანდაცვის სისტემის ნგრევა დაიწყო და მივხვდი – აქ ყოფნით ბევრს ვერაფერს შევძლებდი, უცხოეთიდან კი უფრო მეტად დავეხმარებოდი აქ მყოფებს, ვიდრე დარჩენით. ძნელია, როცა არ არსებობს ელემენტარული საყოფაცხოვრებო თუ სამუშაო პირობები, არ არის წყალი. ეს უფრო მეტად ძნელია სამედიცინო დარგში, მით უმეტეს, ქირურგისთვის, როცა თითქოს ხელ-ფეხშეკრული ხარ, ოპერაციებს ვერ აკეთებ“.**

ასე აღმოჩნდა ჩვენი თანამემამულე იოსებ ნანობაშვილი 1991 წელს ვენაში, საუნივერსიტეტო კლინიკის სისხლძარღვთა ქირურგიის დეპარტამენტში, სადაც უკვე ორ ათეულ წელზე მეტია პროფესორის რანგში მუშაობს. მრავალი წლის გადასახედიდან ფიქრობს, რომ მაშინ სწორი გადაწყვეტილება მიიღო:

**„იქიდან ძალიან ხშირად ვეხმარებოდი სხვადასხვა საავადმყოფოს მედიკამენტებითა თუ სამედიცინო აპარატურით, ვაგზავნიდი სასმენ აპარატებს სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის“.**

90-იან წლებში მომხდარი პოლიტიკური კატაკლიზმები ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო და რომ არა უცხოური ჰუმანიტარული დახმარება, ბევრად ძნელი გადასატანი იქნებოდა ის წლები. იყო სხვადასხვა სახელმწიფოს კეთილი ნება, დახმარება აღმოეჩინა ომგადატანილი ქვეყნისთვის და არსებობდნენ ერთეული ადამიანები, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ, რომ სამშობლოში დარჩენილთათვის ყოფა შეემსუბუქებინათ, ჯანმრთელობა შეენარჩუნებინათ. სოსო ნანობაშვილი ერთ-ერთი მათგანია.

**„ბევრი ადამიანი ჩამოგვყავდა, რომლებსაც აქ უფასოდ ვუკეთებდით ოპერაციებს. ეს ორგანიზაციული თვალსაზრისით იოლი არ იყო, მაგრამ მაინც ბევრი რამ შევძელით. დახმარებებს ვაგზავნიდით საქართველოში, თუმცა ხშირი იყო შემთხვევები, როცა გვეუბნებოდნენ, გაგზავნილი ტვირთი ვერ მივიღეთ, გზაში დაიკარგაო. ხალხის გასაჭირზე ხელის მოთბობა ბევრმა სცადა. ამიტომაც, გადავწყვიტეთ, კონკრეტულ დახმარებას კონკრეტული ადრესატი ჰყოლოდა – რომელიმე საავადმყოფო ან მისი რომელიმე განყოფილება. იძულებული გავხდით, მკაცრად გაგვეკონტროლებინა ტვირთის განაწილება. მიმღებს ეკისრებოდა ვალდებულება, მედიკამენტები უსასყიდლოდ გაეცა მათთვის, ვისაც ის სჭირდებოდა“.**

მოგვიანებით საქართველოდან ავსტრიაში პაციენტების ჩაყვანასა და მათთვის სათანადო მკურნალობაზე ზრუნვის პერიოდიც დადგა. ძირითადად მიჰყავდათ ბავშვები, უპირატესობა ენიჭებოდათ ახალგაზრდებს. მათ უკეთებდნენ ისეთ ოპერაციებს, რომლებიც საქართველოში იმ დროს ჯერ კიდევ არ ტარდებოდა.

ბატონი სოსოს თაოსნობით ქართველი სტუდენტები სტაჟირებას გადიან ვენის საუნივერსიტეტო კლინიკაში, სადაც ჩვენი თანამემამულე პირველი ქართველი იყო, რომელმაც ექიმად მუშაობის ნებართვა მიიღო. საქართველოში ჩამოსვლისას ბატონი სოსო ძირითადად ოპერაციებს აკეთებდა, მოგვიანებით კი გადაწყდა, რომ ლექციებიც წაეკითხა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებისთვის და მათთვის თავისი მრავალწლიანი გამოცდილება გაეზიარებინა.

თბილისის საუნივერსიტეტო კლინიკასა და ვენის უნივერსიტეტის ქირურგიის განყოფილებას შორის თანამშრომლობაც სოსო ნანობაშვილის დამსახურებაა. თბილისის კლინიკაში სისხლძარღვთა ქირურგიის ახლად გახსნილ განყოფილებაში ქართველ კოლეგებთან ერთად გააკეთა ოპერაციები. თბილისში, განათლების სამინისტროს და დიასპორებთან ურთიერთობის მინისტრის ინიციატივით გამართულ „ქართველ მეცნიერთა ფორუმის“ ფარგლებში, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად კოლეგების, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და დაინტერესებული საზოგადოების წინაშე წაიკითხა საჯარო ლექციები, რომლებიც თანამედროვე მედიცინის ყველაზე აქტუალურ თემებს ეხება. ესენია: სისხლძარღვთა ქირურგია, არტერიული ანევრიზმები და მისი დიაგნოსტიკა-მკურნალობა, ვენების პათოლოგიები... მისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება უაღრესად მნიშვნელოვანია ქართველი მედიკოსებისთვის.

საქართველოდან ავსტრიაში ბევრი მიდის სამკურნალოდ, რადგან იქ ეგულებათ ჩვენი თანამემამულე, სახელმოხვეჭილი მედიკოსი-ქირურგი, გულისხმიერი და უაღრესად ყურადღებიანი ადამიანი. ბატონი სოსო ქართველებს განსაკუთრებულ პაციენტებად მიიჩნევს:

**„ყველაზე მეტი წუწუნი ქართველ პაციენტებს უყვართ და ლოდინი, თუნდაც მცირე ხნით, უჭირთ. ამის გამო უკმაყოფილებას დაუფარავად გამოხატავენ. მაქსიმალურად ვცდილობ, ეს პრობლემები არ შეექმნათ“.**

ავსტრიაში, ისევე როგორც უცხოეთის უმრავლეს ქვეყანაში, სამუშაო დღე დილაადრიან იწყება. ბატონი სოსო 7 საათზე უკვე კლინიკაშია და სტაციონარში მყოფ პაციენტებთან ურთიერთობს, შემდეგ აკეთებს ან გეგმავს ოპერაციებს. მოგვიანებით ახალგაზრდა მედიკოსებთან აგრძელებს მუშაობას და კერძო პაციენტებიც ჰყავს. ასე რომ, მისი სამუშაო დღე ხშირად 12 საათზე მეტ ხანს გრძელდება. დიდ დროს უთმობს პაციენტებთან ურთიერთობას, რათა ამათ აუხსნას, შესაძლოა, დეტალურადაც კი, მკურნალობის რა სტრატეგიას გეგმავს, სხვადასხვა ეტაპზე რა მანიპულაციებია საჭირო, რა შესაძლო სირთულეები შეიძლება გაჩნდეს მკურნალობის პროცესში. ესეც ხომ ერთგვარი თერაპიაა, რასაც ხშირად თავს არიდებს ექიმთა უმრავლესობა.



ნონა ლომიძე სტუმრად ქართულ რადიოში

**„ქართველებმა თავიანთ ჯანმრთელობაზე ზრუნვა დაიწყეს – სავარჯიშო დარბაზებში დადიან, სტუმრობენ საცურაო აუზებს, იციან, რაოდენ მნიშვნელოვანია ფეხით სიარული და ჯანსაღი კვება“.**

პროფესორი სოსო ნანობაშვილი საპატიო თბილისელია და ეს წოდება მას უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემაულეებთან – მსახიობ ოლეგ ბასილაშვილთან, ფრანკფურტში მოღვაწე ფილოლოგსა და მწერალთან მანანა თანდაშვილთან ერთად მიენიჭა და თბილისის სიმბოლური გასაღებიც გადაეცა.

ბატონი სოსო, უცხოეთში მოღვაწე სხვა ქართველებთან ერთად, არის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საბჭოს წევრი. ამ ინსტიტუტის მიზნებს შორის ერთ-ერთი ქართული ემიგრაციის განფენილობის, ქართული დიასპორების, ქართული ემიგრაციის მიზეზებისა და შედეგების შესწავლაა.

სოსო ნანობაშვილი ვენაში მეუღლესა და ვაჟიშვილთან ერთად ცხოვრობს. მეუღლე – ნონა ლომიძე, მუსიკათმცოდნეა, უცხოეთში თავისი სპეციალობით მუშაობს, იქაურ არქივებში მუსიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოძიებით არის დაკავებული. ქალბატონი ნონა 20 წელიწადია ჩვენი სახელოვანი თანამემაულის, ამერიკული ბალეტის ფუძემდებლის ჯორჯ ბალანჩინის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევით არის დაკავებული. ვიდრე ბალანჩინით დაინტერესდებოდა, საინტერესო შეხვედრა ჰქონდა ქართველ კომპოზიტორთან ანდრია ბალანჩივაძესთან, რომლის მოგონებები – „ჩემი ძმა – ჯორჯ ბალანჩინი“ ჯერ კიდევ 1990 წელს გამოაქვეყნა გაზეთ „სამშობლოში“. ნონა ლომიძე რამდენჯერმე ჩავიდა ამერიკაში, რათა ჯორჯ ბალანჩინის არქივი მოეძია და შეესწავლა, შეხვდა იმ ქალბატონებს, რომლებსაც უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ ბალანჩინთან და მისი მემკვიდრეობა დარჩათ. 2011 წელს ნონა ლომიძის ავტორობით გამოიცა წიგნი „ბალანჩინი“, რომელშიც, არაერთ საინტერესო მასალასთან ერთად, პირველად გამოქვეყნდა ჯორჯ ბალანჩინის ხელნაწერი ნოტები.

ვაჟიშვილს – გიორგის მრავალმხრივი ინტერესები აქვს. სწავლობს ვენის საერთაშორისო სკოლაში, გამორჩეულად უყვარს თხილამურებით სრიალი და რაგბის თამაში, თვითონაც წარმატებულ სპორტსმენს ძალიან ახარებს ქართველი რაგბისტების ბოლოდროინდელი წარმატებები.

უცხოეთში მცხოვრები ქართული ოჯახის ყველა წევრი წარმატებულია თავის საქმეში და ცდილობენ ამ საქმიანობით ყოველთვის ჰქონდეთ კავშირი თავიანთ სამშობლოსთან, საქართველოსთან.

**ელზა ნაბახტეველი**

# „ნულოვანი ტოლერანტობა“ მის ოფიციალურ გამოცხადებამდე გაცილებით ადრე დაიწყო



დავით გაგნიძე

*„საერთო გაზეთი“ აგრძელებს ინტერვიუების ციკლს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან. ჩვენი რესპოდენტი ორ ათეულ წელზე მეტ ხანს მუშაობდა საქართველოს შსს-ს ოპერატიულ სამსახურებში, მათ შორის სააკაშვილის მმართველობის პერიოდშიც. აქედან გამომდინარე, კარგად იცნობს ნაცრეჟიმის სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობის სტილს. როგორც ირკვევა, „ვარდოსნების“ პოლიციამ სააკაშვილის ცნობილ ლოზუნგამდე „ყველანი ციხეში“, ანუ ნულოვანი ტოლერანტობის საჯაროდ გამოცხადებამდე დაიწყო „არასასურველი“ პერსონების ციხეში მასობრივი გამწესება. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, 2004 წლის ივნის-სექტემბერში 96 ადამიანი აღმოჩნდა გისოსებს მიღმა, რომელთაც თურმე ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და ნარკოტიკული ნივთიერებები აღმოუჩინეს. დავით გაგნიძე დარწმუნებულია, რომ დაკავებულებს პოლიციამ თვითონ ჩაუდო ეს ე.წ. ნივთმტკიცებები.*

*„სპეცოპერაციები“ ეტაპობრივად ჩატარდა ჯერ დედაქალაქში, ხოლო შემდეგ სამეგრელოსა და კახეთში. აქვე შემოგთავაზებთ ამ „სპეცოპერაციების“ დროს დაკავებულთა სიას, რომელიც ჩვენი რესპოდენტის მიერ ოფიციალურ ინფორმაციაზე დაყრდნობითაა მომზადებული.*

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

### 2004 წლის 24 ივნისი

თბილისში დააკავეს **ჯემალ დომენტის ძე ოქრიაშვილი,** დაბადებული 1970 წელს, მცხოვრები თბილისში ჩოდრიშვილის ქუჩაზე, რომელსაც ჩაუდეს აკმ-ის სისტემის ავტომატური ცეცხლასროლი იარაღი (ავტომატი) №XB3763 30 ვაზნით და „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი 8 ვაზნით. მასთან ერთად დააკავეს მისი ძმა, 1975 წელს დაბადებული გიორგი ოქრიაშვილი იმ მოტივით, რომ თითქოს ისინი ძვირადღირებული, პრესტიჟული ავტომანქანების გამტაცებლები იყვნენ.

**ზურაბ ვაჟას ძე ნამორაძე** - 1978 წ. დ. მცხოვრები თბილისში, ნაქალაქევის ქუჩაზე, ჩაუდეს ავტომატი აკ-74 6429097.

**ემზარ დემურის ძე კამლაძე** - 1980 წ.დ. მცხოვრები თბილისში, კისისხევის ქუჩაზე, ჩაუდეს „ნაგანი“.

**ბესიკ იოსების ძე გოგინაშვილი** - 1983 წ.დ. მცხოვრები თბილისში დიდი ჯიხაიშის ქუჩაზე, ჩაუდეს 30,3 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება „მარიხუანა“ და რგდ-1-ის ტიპის ხელყუმბარა.

**მამუკა მიხეილის ძე მიშველაძე** - 1976 წ.დ. მცხოვრები თბილისში, სამღერეთის ქუჩაზე, ჩაუდეს ავტომატი აკმ №CB87336 30 ვაზნით. მასთან ერთად დააკავეს მისი ძმა, 1979 წ.დ. მანუჩარ მიშველაძე, რომელსაც ჩაუდეს 0,07 გრამი „ჰეროინი“.

**რამაზ გრიგოლის ძე სულაძე** - 1970 წ.დ. მცხოვრები თბილისში, სააკაძის ქუჩაზე, ჩაუდეს ავტომატი აკმ №CB9853 30 ვაზნით.

**მურთაზ მურთაზის ძე მიქიაშვილი** - 1976 წ.დ. მცხოვრები თბილისში, კელაპტრიშვილის ქუჩაზე, ჩაუდეს ავტომატი აკს № 6443780.

### 2 ივლისი

**ვანო უშანგის ძე ხატიაშვილი** - 1977 წ.დ. მცხოვრები თბილისში, მოსკოვის გამზირზე, ჩაუდეს ავტომატი აკმ №Ï Â2467 30 ვაზნით.

**ალექსანდრე გივის ძე ხატიაშვილი** - 1975 წ.დ. მცხოვრები თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, ჩაუდეს ავტომატი აკმ №4509503.

**გიორგი რობერტის ძე ზახარიანი** - 1977 წ.დ. მცხოვრები თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე, ჩაუდეს ავტომატი აკმ №Ï Ã5338 30 ვაზნით.

**ილია როლანდის ძე ხონელიძე** – მცხოვრები თბილისში, მე-2 ნავთლუღის დასახლებაში, ჩაუდეს ავტომატი აკმ №ÐÞ 9049.

**ლადო რევაზის ძე ნავერიანი** – 1981 წ.დ. მცხოვრები თბილისში, კალაუბნის ქუჩაზე, ჩაუდეს ავტომატი აკმ №794532 30 ვაზნით.

**რამაზ რომანის ძე ცინცაძე** - 1966 წ.დ. მცხოვრები თბილისში ქინძმარაულის ქუჩაზე, ჩაუდეს ავტომატი აკმ №790976 30 ვაზნით.

**ზურაბ მურმანის ძე სახვაძე** - 1979 წ.დ. მცხოვრები თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, ჩაუდეს ავტომატი აკმ №4580826 22 ვაზნით.

**გრიგოლ ფრიდონის ძე ჯავახიშვილი** - 1977 წ.დ. მცხოვრები თბილისში, ვარკეთილი-3-ის დასახლებაში, ჩაუდეს ავტომატი აკმ №ÒÒ1786 30 ვაზნით.

**არმენ ვლადიმერის ძე ოგანოვი** - 1966 წ.დ. მცხოვრები თბილისში, მარტყოფის ქუჩაზე, ჩაუდეს ავტომატი აკმ №Ì × 907 30 ვაზნით.

**როლანდ ფილომენის ძე შამფრიანი** - 1966 წ.დ. მცხოვრები თბილისში ობსერვატორიის ქუჩაზე, ჩაუდეს ავტომატი აკმ №794876 და „გეკოს“ 50 ცალი ვაზნა.

### 5 ივლისი

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ბოჭორიშვილი** - 1970 წ.დ. მცხოვრები თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე, ჩაუდეს ავტომატი აკს №1549984 30 ვაზნით და 0,03 გრამი „ჰეროინი“.

**დავით თეიმურაზის ძე გედეშური** - 1973 წ.დ. მცხოვრები თბილისში, ტაბიძის ქუჩაზე, ჩაუდეს ავტომატი აკმ №Ï Ì 5935 27 ვაზნით.

**დავით გივის ძე დეკანოიძე** - 1976 წ.დ. მცხოვრები თბილისში ჭავჭავაძის გამზირზე, ჩაუდეს ავტომატი აკმ №ÓÁ 3889 30 ვაზნით და 0,0138 გრამი „სუბოტექსი“.

**ლევან ლევანის ძე მღებრიშვილი** - 1975 წ.დ. მცხოვრები თბილისში, წყნეთის ქუჩაზე, ჩაუდეს „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი №ÀÌ 5359 8 ვაზნით.

**სულხან გიორგის ძე ხატიძე** - 1983 წ.დ. მცხოვრები ნუცუბიძის ფერდობის მე-3 მიკრორაიონში, ჩაუდეს ავტომატი აკს №81-1193304 30 ვაზნით.

**ანდრო მიხეილის ძე ნაცვლიშვილი** - 1970 წ.დ. მცხოვრები თბილისში, დოლიძის ქუჩაზე, ჩაუდეს ავტომატი აკს №14-52976 30 ვაზნით.

**ლევან თეიმურაზის ძე მძელური** - 1981 წ.დ. მცხოვრები თბილისში, წყნეთის ქუჩაზე, ჩაუდეს ავტომატი აკმ №3499481 29 ვაზნით.

**ზურაბ გურამის ძე ბადრიძე** - 1969 წ.დ. მცხოვრები თბილისში, ნუცუბიძის ფერდობის დასახლების მე-2 მიკრორაიონში, ჩაუდეს 2 ცალი რგდ-ს ტიპის ხელყუმბარა.

**გელა ზაქარიას ძე ობგაიძე** - 1965 წ.დ. მცხოვრები თეთრი წყაროს რაიონის სოფელ მჟავისში, ჩაუდეს რგდ-ს ტიპის ხელყუმბარა.

### 7 ივლისი

**გელა ვაჟას ძე ბეჟანიშვილი** - 1975 წ.დ. მცხოვრები გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში 7 ივლისს მას ჩაუდეს აკმ-ის 30 ცალი ვაზნა.

**მიხეილ გიას ძე მირიანაშვილი** - 1984 წ.დ. მცხოვრები ველისციხეში, ჩაუდეს 10 გრამი „მარიხუანა“.

**ლევან გიორგის ძე სოსებაშვილი** - 1967 წ.დ. მცხოვრები ველისციხეში, ჩაუდეს 15 ცალი „გეკოს“ ვაზნა.

**გივი მიხეილის ძე კოჭატაშვილი** - 1952 წ.დ. მცხოვრები ველისციხეში, ჩაუდეს 25 გრამი „მარიხუანა“.

**ზაქარია იურის ძე პაპუნაშვილი** - 1984 წ.დ. მცხოვრები გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანში, ჩაუდეს 11 გრამი „მარიხუანა“.

**თემურ აკაკის ძე მირიანაშვილი** - 1950 წ.დ. მცხოვრები შაშიანში, ჩაუდეს თვითნაკეთი „ნაგანი“.

**თემურ ფამას ძე ბიწკინაშვილი** - 1958 წ.დ. მცხოვრები შაშიანში, ჩაუდეს გადაჭრილი „გეკო“ და აკმ-ის 3 ცალი ვაზნა.

### 8 ივლისი

**დავით ჯემალის ძე გაბიტაშვილი** - 1970 წ.დ. მცხოვრები სოფელ ველისციხეში, ჩაუდეს „მაკაროვის“ 7 ვაზნა.



**ვეფხია კარლოს ძე ციმინტია** - 1974 წ.დ. მცხოვრები წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარში, ჩაუდეს ავტომატი აკმ №112977 24 ვაზნით.

**იაგო პალიკოს ძე სამუშია** - 1977 წ.დ. მცხოვრები წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიაში, ჩაუდეს აკმ №CB 5136 14 ცალი ვაზნით.

**ვიქტორ ელგუჯას ძე ბელქანია** - 1968 წ.დ. მცხოვრები წალენჯიხაში, თამარ მეფის ქუჩაზე, ჩაუდეს აკმ №CB 8371 25 ცალი ვაზნით.

**მამუკა ვაჟას ძე ეჯიბია** - 1967 წ.დ. მცხოვრები სენაკში, ქუთაისის ქუჩაზე, ჩაუდეს აკმ №CÏ 3048 26 ვაზნით.

**ილია ლიუტერის ძე კვარაცხელია** - 1971 წ.დ. მცხოვრები წალენჯიხაში, ქურულორიას ქუჩაზე, ჩაუდეს აკმ № 8192 30 ვაზნით.

**პაატა ალექსანდრეს ძე კვარაცხელია** - 1974 წ.დ. მცხოვრები წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვალში, ჩაუდეს აკმ №CX0835 28 ვაზნით.

**ვალერი ევტიხის ძე მზარელუა** - 1954 წ.დ. მცხოვრები სენაკში, ძნელაძის ქუჩაზე, ჩაუდეს აკმ №320823 20 ვაზნით.

**ლაშა დავითის ძე ბუკია** - 1977 წ.დ. მცხოვრები ხობის რაიონის სოფელ ხეთაში, ჩაუდეს აკმ №CE 8365 18 ვაზნით.

**ვახტანგ ვახტანგის ძე ლატარია** - 1973 წ.დ. მცხოვრები ხეთაში, ჩაუდეს აკმ №808977 26 ვაზნით.

**პავლე ჯოგოს ძე გერგაია** - 1960 წ.დ. მცხოვრები ხობში, ბარათაშვილის ქუჩაზე, ჩაუდეს აკმ №8935 20 ვაზნით.

**ვალერიან პანტელეიმონის ძე სიჭინავა** - 1973 წ.დ. მცხოვრები ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევში, ჩაუდეს აკმ №CB8625 15 ვაზნით.

**ზურაბ პანტეს ძე ბასარია** - 1956 წ.დ. მცხოვრები ხეთაში, ჩაუდეს აკმ №ßÌ 2142 16 ვაზნით.

**დავით დემურის ძე ჩარტია** - 1979 წ.დ. მცხოვრები ხობის რაიონის სოფელ მეორე გურიფულში, ჩაუდეს აკმ №ÐÌ 7496 10 ვაზნით.

**გიორგი მელიტონის ძე ადონია** - 1962 წ.დ. მცხოვრები ხობში, გამსახურდიას ქუჩაზე, ჩაუდეს აკმ №ÑÂ9365 10 ვაზნით.

**მანუჩარ ზემალის ძე ქარდავა** - 1977 წ.დ. მცხოვრები წალენჯიხაში, შანავას ქუჩაზე, ჩაუდეს აკმ №Ì À8029-65 25 ვაზნით.

**ელგუჯა შალვას ძე ბერაია** - 1967 წ.დ. მცხოვრები სენაკში, ბაგრატიონის ქუჩაზე, ჩაუდეს აკმ №ËÓ 9293-67 14 ვაზნით.

**ბესიკ ლოდლონის ძე დაიანი** - 1969 წ.დ. მცხოვრები სენაკში, ნინოშვილის ქუჩაზე, ჩაუდეს აკმ №ÀÈ 643 24 ვაზნით.

**გელა შუდულას ძე ჩარტაია** - 1977 წ.დ. მცხოვრები სენაკის რაიონ სოფელ ხორში, ჩაუდეს აკმ №Ì Ø 6807-65 4 ვაზნით.

**თენგიზ ტიტიკოს ძე ხულორდავა** - მცხოვრები სენაკში, ელიავას ქუჩაზე, ჩაუდეს აკმ №Ì Ñ1164-65 23 ვაზნით.

**ხვიჩა დოდის ძე კოკაია** - 1965 წ.დ. მცხოვრები სენაკში, დავით ალმაშენებლის ქუჩაზე, ჩაუდეს აკმ №9835-91 16 ვაზნით.

**კანდიდ კაპიტონის ძე ნანეიშვილი** - 1942 წ.დ. მცხოვრები სენაკში, რუსთაველის ქუჩაზე, ჩაუდეს აკმ №XM 7958 24 ვაზნით.

**მიხეილ მიხეილის ძე ღურღუმია** - 1982 წ.დ. მცხოვრები ზუგდიდის რაიონ სოფელ ოდიშში, ჩაუდეს „აბრეზი“ და ნიღაბი.

**პაპუნა იურის ძე უბილავა** - 1975 წ.დ. მცხოვრები ოდიშში, ჩაუდეს ნომერწაშლილი „ვალტერის“ სისტემის პისტოლეტი 5 ვაზნით.

### 20 ივლისი

**პავლე ხვთისოს ძე ხოსროშვილი** - 1940 წ.დ. მცხოვრები ახმეტაში, რუსთაველის ქუჩაზე, 88 გრამი „მარიხუანა“.

**ვახტანგ ბიჭიკოს ძე ბოჭორიშვილი** - 1980 წ.დ. მცხოვრები თელავის რაიონის სოფელ ბუშეტში, ჩაუდეს ჩაუდეს ხელყუმბარა ფ-1.

**ივანე ვაჟას ძე გიორგაძე** - 1977 წ.დ. ჩაუდეს 13 გრამი „მარიხუანა“ და ხელყუმბარა ფ-1.

**ალიკ ანდროს ძე ქამქაძე** - 1972 წ.დ. მცხოვრები ბუშეტში, ჩაუდეს „აბრეზი“.

**არჩილ დიმიტრის ძე ღოღელიშვილი** - 1972 წ.დ. მცხოვრები თელავის რაიონის სოფელ აკურაში, ჩაუდეს „აბრეზი“ და 14 გრამი „მარიხუანა“.

**თამაზ შოთას ძე რეხვიაშვილი** - 1966 წ.დ. მცხოვრები თელავში, ბოჭორიშვილის ქუჩაზე, ჩაუდეს ხელყუმბარა ფ-1.

### 4 აგვისტო

**მამუკა ემზარის ძე პეტრიაშვილი** - 1977 წ.დ. მცხოვრები ლაგოდეხში, ალმაშენებლის ქუჩაზე, 2004 წლის, ჩაუდეს 0,5 გრამი „ოპიუმი“.

**გიორგი ოლეგის ძე კაკანაძე** - 1977 წ.დ. მცხოვრები ლაგოდეხში, ბაგრატიონის ქუჩაზე, ჩაუდეს 0,5 გრამი „ოპიუმი“.

**თამაზ შალვას ძე მოდებაძე** - 1970 წ.დ. მცხოვრები ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბანში, ჩაუდეს „აბრეზი“ და 6,2 გრამი „მარიხუანა“.

**მალხაზ ჯემალის ძე ალფაიძე** - 1979 წ.დ. მცხოვრები ლაგოდეხის რაიონის სოფელ მსხალგორში, ჩაუდეს 2 ცალი ხელყუმბარა ფ-1.

**სამირ ჰეიდარის ძე თალიევი** - 1952 წ.დ. მცხოვრები ლაგოდეხის რაიონის სოფელ განჯალაში, ჩაუდეს 2 ცალი ხელყუმბარა ფ-1.

**თენგიზ მიხეილის ძე კურტანიძე** - 1975 წ.დ. მცხოვრები ლაგოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორში, ჩაუდეს 20 გრამი „მარიხუანა“.

**დათო თამაზის ძე სეფიაშვილი** - 1977 წ.დ. მცხოვრები ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში, ჩაუდეს 14 გრამი „მარიხუანა“.

**მამუკა თენგიზის ძე შეითნიშვილი** - 1976 წ.დ. მცხოვრები დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძეში, 14 აგვისტოს ჩაუდეს ხელყუმბარა ფ-1, აკმ-ის 7 ცალი ვაზნა და 17 გრამი „მარიხუანა“.

**ბიძინა ზურაბაშვილი** – ისიც ხსენებული „სპეცოპერაციების“ დროს დააკავეს, თუმცა სხვა ინფორმაცია არ ფიქსირდება.

### 9 სექტემბერი

**ოთარ კონსტანტინეს ძე ელიზბარაშვილი** - 1960 წ.დ. მცხოვრები გურჯაანში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ჩაუდეს ხელყუმბარა ფ-1 და თოფი.

**ზაზა თამაზის ძე ლაზაშვილი** - 1981 წ.დ. მცხოვრები გურჯაანში, ფურცელაძის ქუჩაზე, ჩაუდეს აკმ №4652986 30 ვაზნით.

**ლევან იოსების ძე მექურიშვილი** - 1985 წ.დ. მცხოვრები გურჯაანში, თაყაიშვილის ქუჩაზე, ჩაუდეს „აბრეზი“.

**ვლადიმერ ამირანის ძე ბარსეგოვი** - 1982 წ.დ. მცხოვრები გურჯაანში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ჩაუდეს „აბრეზი“.

**თემურ კარლოს ძე ჯიბინაშვილი** - 1984 წ.დ. მცხოვრები გურჯაანში, თაყაიშვილის ქუჩაზე, ჩაუდეს ხელყუმბარა ფ-1 და 17,5 გრამი „მარიხუანა“.

**მალხაზ გურამის ძე სისაური** - 1972 წ.დ. მცხოვრები გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში, ჩაუდეს 22,5 გრამი „მარიხუანა“.

**გიორგი ალექსანდრეს ძე ყანდიაშვილი** - 1985 წ.დ. მცხოვრები გურჯაანში, თაყაიშვილის ქუჩაზე, ჩაუდეს 21,3 გრამი „მარიხუანა“.

### 11 სექტემბერი

**ალექსანდრე ჯემალის ძე ბაზერაშვილი** - 1970 წ.დ. მცხოვრები თელავში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, ჩაუდეს 22 გრამი „მარიხუანა“.

**თემურ აჯიოღლი** - 1944 წ.დ. მცხოვრები თელავის რაიონის სოფელ ყარაჯალაში, ჩაუდეს ხელყუმბარა ფ-1 და 20,5 გრამი „მარიხუანა“.

**გოჩა ნოდარის ძე წამალაშვილი** - 1968 წ.დ. მცხოვრები თელავის რაიონის სოფელ აკურაში, ჩაუდეს აკმ №467428 25 ვაზნით.

**გოჩა დავითის ძე ოთიაშვი-**

19 gv.

# ვინ შეუსრულებს „ნაცბანდას“ სრულიად სამართლიან მოთხოვნას, რომ სასწრაფოდ უნდა იქნას გამოძიებული ყველა დანაშაული

ყველა ის „იმპორტული“ უბედურება, რაც ვითომ სააკაშვილის ხელისუფლებამ მოიტანა და დაამკვიდრა, დღემდე გრძელდება და აუცილებლად გაგრძელდება მომავალშიც. ამ უბედურებას, რომელსაც ე.წ დასავლეთის შიშით არ „უწამლეს“ და ის სახელიც კი ვერ დაარქვეს, რასაც წარმოადგენს, იგივე დამახასიათებელი თვისება აქვს, რაც ე.წ დასავლეთის სხვა, ლაბორატორიებში სპეციალურად გამოყვანილ ბოროტ შტამებს, ანტიბიოტიკზე რომ მეტად ღიზიანდება, უფრო გაავებული ისხმას ახალ ხორცს. ეს რომ ქართული მოვლენა კი არა, არამედ საერთაშორისო ხასიათის მოვლენაა, ამის დასტური სახეზეა, სისხლში ამოთხვრილ და ცეცხლში გახვეულ უკრაინაში ეერთიმეორის მიყოლებით უხმობენ სახელმწიფო პოსტებზე საქართველოდან სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის აღმასრულებლებლებს.

სწორედ ამიტომ არიან დღეს ასე გულმოცემულები საქართველოში დარჩენილი და უკრაინაში გადაპორტირებული, საქართველოს ახალი ხელისუფლების „ნაკოჰაბიტაცაიევი“, მაგრამ ქართველი ხალხის მიერ დამნაშავედ ცნობილი პირებიც;

სწორედ ამიტომაა, რომ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, მეგის ქარდავა პოლიტპატიმრებს ემუქრება, იური ვაზაგაშვილი მოგონება იქნება, ისეთ დღეში ჩავყრით ყოფილ პოლიტპატიმრებს, ვნახოთ ერთი, როგორი პოლიტპატიმრები იყვნენ, როცა ტელევიზიებში რიგს დავაყენებთ და დაიწყებენ იმის მტკიცებას, არ ვართ პოლიტპატიმრებიო; ან — საქართველოს იუსტიციის ყოფილი მინისტრი უკრაინიდან რომ იმუქრება, წელიწადნახევარში მთელ საქართველოს დედას გიტირებთ, ამოგალპობთ ციხეებში და მაშინ გაგახსენებთ, მე რა მინდოდა აქო და ა.შ

არასამთავრობო ორგანიზაცია „პოზიციის“ აღმასრულებელი დირექტორი გურამ ადამაშვილი აცხადებს, რომ გასული წლის დეკემბერში სააკაშვილის მიერ კიევის მახლობლად გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც უნგრეთიდან ჩასული ადეიშვილი, ხოლო საქართველოდან გიორგი ბარამიძე ესწრებდა, ბიძინა ივანიშვილის ლიკვიდაციის გეგმა შეიმუშავეს, რადგან სხვაგვარად საქართველოში ვერ დაბრუნდებიან და ამისათვის აუცილებლად გამოიყენებენ უკრაინულ შეიარაღებულ დაჯგუფებას. მმისივე ინფორმაციით, სააკაშვილმა უკრაინაში საქარ-



თველოს ხელისუფლებაში დაბრუნების მოქმედებათა განხორციელების შტაბი შექმნა.

მართლა „ნაცდამნაშავეების“ მუქარებია თუ მათი შეკვეთით ვრცელდება მსგავსი გზავნილები, ამაზეც კი არ იბერტყს ყურს ვინმე, ვთქვათ, პროკურატურა ან შსს, რომ გაარკვიოს, მართლაც მათგან არის წამოსული მსგავსი ტიპის ქადილი თუ კონკრეტული მედიასაშუალებები ან ცალკეული პირები ავრცელებენ და მათ უნდა მოეთხოვოთ პასუხი საქართველოს მოსახლეობის დემორალიზაციისათვის;

გახმაურებული მკვლელობებიდან, დღეს შვილმოკლული მამა, იური ვაზაგაშვილი ააფეთქეს, გუშინ — შვილმოკლული დედა, სალსალამათი ირინე ენუქიძე გარდაიცვალა უეცრად (კიდევ რამდენი ადამიანი გარდაიცვალა საეჭვო ვითარებაში, ცალკე საკითხია), უმაქნისი საგამოძიებო სამსახურები კი პირდაღებულები სხედან და მხოლოდ სტატისტიკით კავდებიან...

ეს ქვეყანაა?! ესაა სამართლიანობის აღსრულება? სახეზეა ადამიანი, ლაშა შავიძე, რომელიც ყვება სააკაშვილის რეჟიმის მიერ მიღებულ დავალებაზე, რომ უნდა მოეკლა დიდუბის ეკლესიასთან მოკლული ბუტა რობაქიძის დედა ია მეტრეველი. მისი თქმით, ის პირადად შეახვედრეს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს მაშინდელი უფროსის მოადილეს ირაკლი ფირცხალავას და ბუტას დედის მოკვლის სცენარიც მან გააცნო. შავიძე პირდაპირ ასახელებს პირებს, რომლებიც ასევე ავალებდნენ, რომ მოეძებნა ისეთი ვინმე, რომელიც იტყოდა, რომ ზურა ვაზაგაშვილმა გაიტაცა, დაჭრა და ამას ავალებდნენ კონკრეტული პირები: ირაკლი ფირცხალავა, გიორგი ხიზანიშვილი (იმჟამად კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსი), კახა ლეგაშვილი და როგორც ეუბნებოდნენ, საქმის კურსში იყო ივანე მერაბიშვილის მოადგილე გია ლორთქიფანიძეც. პროკურატურა კი თავს იშტერებს! და მხოლოდ პროკურატურა? — ფაქტის წინაშე დგება ქვეყანა, რომ მკვლელებს დიდი მონდომებით და ღიად მფარველობენ ვილაცები.

ბიზნესმენი, შპს „მაღლივის“ დამფუძნებელი კოტე კოკაიაც პირდაპირ ადებს ხელს კონკრეტულ პირს, რატომღაც ისიც ირაკლი ფირცხალავას, სიკვდილით და ოჯახის განადგურებით დამემუქრა, პირდაპირ მითხრა, ოთხი ტრუპი მყავს და მეხუთე შენ იქნები თუ ისე არ გააკეთებ, როგორც მე გეტყვიო...

სწორედ ამიტომაა, რომ იგივე ირაკლი ფირცხალავა, იმის ნაცვლად, რომ პროკურორის კითხვებს პასუხობდეს, სხვადასხვა ტელევიზიების ეთერში დღეგამოშვებით გამოჯგიმული მედლებით დამშვენებულ პოლიციელის მუნდირში და პრეტენზიას აყენებს, პროკურა გაქვთ თუ საჯარო ბიბლიოთეკაო;

გარდაცვალებამდე ხუთი დღით ადრე ჩაატარა ბოლო პრესკონფერენცია იური ვაზაგაშვილმა და კიდევ ერთხელ ჩამოთვალა იმ ადამიანების გვარ-სახელები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობდნენ ე.წ „კორტების ოპერაციაში“, მაგრამ რა, ისევ იგი ააფეთქეს და დაადუმეს სამუდამოდ... ჯერ მხოლოდ ეს ტერორისტული აქტი ადასტურებს, რომ აღნიშნული სპეცოპერაცია მართლაც წინასწარგანზრახული მკვლელობა იყო და პირდაპირ მიანიშნებს სავარაუდო ტერორისტებზე, თუმცა პროკურატურამ გამოძიება სსკ 109-ე მუხლით, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში დაიწყო...

ერთი პატიოსანი გამომძიებელი, პროკურორი, ერთი პატიოსანი მოსამართლე და შს სამინისტრო კაცი ვერ იძებნება საქართველოში რომ „მატროსოვი“ ამჯერად უკვე სამართლიანად გადაივსოს „პაგონიანი“ პატიმრებით? საინტერესოა, რატომ ვერ იძებნება, ყველა ერთიანად გასვრილია ნაცტალახით?

ვერ მოიძებნა და სწორედ ამიტომ აბამენ ქოთანს ყურს საიდანაც უნდათ ნაცზონდერები, ნაცპროკურორები, ნაცლიდერები, ზოგადად, ნაცბანდის წევრები და მათთან საეჭვო კოჰაბიტაციაში ეჭვმიტანილი ცალკეული პარტიების ცალკეული წარმომადგენლები.

თათუხაშვილის საეჭვო გარდაცვალების შემდეგ რომ ადვოკატად გადაქცეული ნაცზონდერი გიორგი ონიანი ხელისუფლებას დაამუნათებს, ის ხელისუფლება მართლაც ყველაფრის ღირსია...

არ მოიძებნა ერთი პატიოსანი პროკურორი და შს მინისტრი და აჰა, სახეზეა ნაცტერორისტული სამზადისი და ეჭვი არავის შეეპაროს, რომ განსაზღვრულ დროს ქვეყნის ამოტრიალებეში აქტიურად ჩაერთვებიან მათი ის უკრაინელი „მეგობრებიც“, რომლებიც დღეს ე.წ „სხვაგვარად მოაზროვნე“ თანამოქალაქეებს დიდი ენთუზიაზმით ხოცავენ...

არსად აღრიცხული შეიარაღებული ბანდები ისედაც ჰყავდათ სააკაშვილის რეჟიმის კონკრეტულ პირებს, ახლა კი ხმად გამოვიდა, რომ სააკაშვილი გასამხედროებულ ფორმირებებს აყალიბებს და არსებული ხელისუფლების დამხობას შეიარაღებული გზით აპირებს. როდესაც გაქცეული ექსპრეზიდენტი ტელეეკრანიდან პირდაპირ აცხადებს, არჩევნებით ამათ ვერ მოვუგებთო, რაიმე მოულოდნელი ან დაუჯერებელია?

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის მოწყობილი აქცია „არა ნაცტერორიზმს!“ რაგინდ ფართომსაშტაბიანი იყოს და სრულად გამოხატავდეს საქართველოს მოსახლეობის განწყობას „გასამართლდეს დამნაშავე რეჟიმი!“ ან „შეწყდეს მკვლელებთან კოჰაბიტაცია!“ „აიკრძალოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა!“ ჩახერგილია მანამ, სანამ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში თბილად სხედან ადამიანები, რომელთათვისაც სულერთია ვინ მოკლეს და ვის მოკლავენ, მთავარია, მათ არ შეეხონ!

იქით, „ნაცრეჟისორი“, ნაგენპროკურორალი, არა ერთი ოჯახის მასხრად ამგდები, დღეისათვის „ნიჭიერების“ განმსაზღვრელი მეტრი, ნიკა გვარამიაა აღშფოთებული, აქეთ — აფრასიძეების ოჯახის ამომჟუჟავი გიორგი ბარამიძე და სრულიად ნაცბანდა, სასწრაფოდ გამოიძიეთ ყველა დანაშაულიო.

მართალია ეს ხალხი და რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, სამართლიანია ამჯერად მათი მოთხოვა, სამართლიანი კი არა, უსამართლიანესზე უსამართლიანესი! ეს ის შემთხვევაა, როდესაც ხალხის მოთხოვნა ერთი ერთზე ემთხვევა მისთვის სამძულველი, დამნაშავე, მაგრამ დაუსჯელად მოპარპაშე რეჟიმის ლიდერების მოთხოვნას.

დიახ, გამოძიებული უნდა იყოს ყველა დანაშაული, რომელიც ხდებოდა, ხდება და თან ტყუპისცალივით ჰგავს ერთი მეორეს, მესამე — მეოთხეს, ზო-



გადად კი, ერთი მთლიანის გაგრძელებაა.

ყველა რეზონანსული თუ მიზეზთა გამო არარეზონანსული მკვლელობა დაუფარავად ჩადენილია წარსულში — სააკაშვილის რეჟიმის სისხლიანი აღმასრულებლების მიერ, ახლა კი იმავე რეჟიმის ნარჩენების მიერ. ვინ გამოკრა კონკრეტულად სასხლეტს თითი, ვინ ვისი დავალებით დადო ასაფეთქებელი მოწყობილობა და ვინ ვისი დავალებით შეაპარა ვინმეს საწამლავი, მტკიცებულების გარეშე ვერავის დაადებ ხელს,

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

მაგრამ ყველა დანაშაულის ჩამდენი რომ ერთი გუნდის საცეცები იყო, სამკითხაოა? შესაბამისად, რაგინდ თითს უქნევდეს ვინმე გაღმა-გამოღმიდან, თავმოყვარე ხელისუფლებამ თავისი სამართლიანი სიტყვა ვერ უნდა ამოღეღლოს, ვერ უნდა თქვას, რომ სისხლიანი რეჟიმის ყველა თვალსაჩინო ფიგურა, როგორც რეჟიმის შემოქმედი, მსგავსად ფაშისტური რეჟიმისა, უნდა გასამართლდეს?

ვერ იტყვის და ეშინოდეს მშვიდობის, თუ ამას მშვიდობა ჰქვია და ემზადოს სამოქალაქო ომისთვის!

მანამდე კი, „ნაცბანდის“ კიდევ ერთმა ე.წ ლიდერმა, დავით ბაქრაძემ იური ვაზაგაშვილის აფეთქებას შვილის საფლავზე

რა თქმა უნდა, ბაქრაძისთვის ცინიზმი ვერ იქნება როდესაც პატიმრის მამას საკუთარ სახლში, სავარძელში ააფეთქებენ, მაგრამ ფაქტია, კაცი, რომელიც მეორე დღეს ტელევიზიით უნდა გამოსულიყო და პირდაპირ ეთერში ეთქვა სიმართლე, ისევე ააფეთქეს, როგორც იური ვაზაგაშვილი, რომელსაც ასევე მეორე დღეს ტელევიზიისთვის მნიშვნელოვანი მოწმე უნდა წარედგინა და შესაბამისად, მნიშვნელოვანი ინფორმაცია საჯარო უნდა გაეხადა.

რა თქმა უნდა, დავით ბაქრაძისთვის (სრულიად „ნაცბანდისთვის“) არც ის იქნება განსაკუთრებული ცინიზმი, რომ პატარა ბავშვს აყურებინეს როგორ უფათურებდნენ დედას ხელებს, როგორ გაუუპატიურეს მამა (ქურდული მენტალობის გამოსაბერტად) ჯერ კიით, შემდეგ კი



შემზარავი ცინიზმით ჩადენილი დანაშაული უწოდა და განაცხადა, არ მახსენდება ასეთი შემზარავი ცინიზმით ჩადენილი დანაშაული საქართველოშიო.

ბაქრაძე რა ისეთი ფიგურა იყო, რომ მისთვის მოეხსენებინათ ვინ და რა სახის დანაშაულს სჩადიოდა, ამდენად, შეიძლება, არც გაუგია, (ან გაუგია კიდეც) ან არ ახსოვს, მაგრამ 2011 წელს ე.წ „მატროსოვზე“ სასჯელს იხდიდა ირაკლი ოქრუაშვილთან დაახლოებული პირი, რომელიც 2007 წლის საპროტესტო აქციების დროს დააპატიმრეს. მისი სიტყვებია, რომელიც გახმაურებული არ არის: – სისხლი გამიშრეს ამ დამპლებმა... სიკვდილის პირას მიმიყვანეს, მაგრამ აღიარება ვერ დამაცდენინეს... იმდენი იკადრეს, მამა მომიკლეს... ესენი მთავაზობდნენ აღიარებითი ჩვენების მიცემას, რომ ვითომ ირაკლი ოქრუაშვილი და ბადრი პატარკაციშვილი ერთად აპირებდნენ შეიარაღებულ სახელმწიფო გადატრიალებას. რა თქმა უნდა, არ დავთანხმდი და ყოველი ღამე ჩემს საწამებლად იყო, დღეს მიერთებდნენ რომ ჩვენება მიეღოთ. მამაჩემმა ყველაფერი იცოდა, „მაესტროზე“ უნდა გამოსულიყო და პირდაპირ ეთერში უნდა ეთქვა ყველაფერი, მაგრამ ინფორმაციამ გაჟონა, წინა დღეს, სახლში რომ მივიდა და სავარძელში ჩაჯდა, აფეთქდა და ნაწილებად აიკუწა... მე დასაკარგი აღარაფერი მაქვს... მამა მომიკლეს, სახლ-კარი გამიძარცვეს... დედას ვუტირებ ამათ!...“

სამმა ცხოველმა სექსუალურად იძალადა ბავშვის ტირილისა და ხვეწნის ფონზე, ნუ აწვალებთ მამასო...

არანაკლები ცინიზმია, როცა „ნაცბანდის“ კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ნიკა რურუაც (ცნობილი „ჟორიკას“ ძმა) ვაზაგაშვილების ოჯახის გულშემატკივარის როლს თამაშობს და მიმართულებასაც იძლევა: ისევ გულაობს რუსული დაზვერვა და დივერსანტ-ტერორისტები საქართველოში, ექსპერიმენტებს ატარებენ ერის ფსიქიკაზეო, ასე იცის სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევამ და განზრახ დასუსტებამო და ამ იდიოტური ვერსიის განმტკიცებაში ხელმარჯვედ ეშველება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი („გეოგრაფიულად ის ადგილი, სადაც აღნიშნული აქტი მოხდა, საოკუპაციო ზოლთან ახლოს არის, ამიტომ არ არის გამორიცხული და ერთ-ერთი ვერსია ალბათ, შესაძლოა, ესეც იყოს, რომ მკვლელი საოკუპაციო ზოლიდან მოქმედებდა“) და აიტაცეს სხვებმაც.

ყველა შემთხვევაში, ტერორისტული აქტი, რომელიც ამჯერად იური ვაზაგაშვილის აფეთქებით დასრულდა, არც დასაწყისია და არც დასასრული იმ მკვლელობების სერიალიდან, რომელიც 90-იანი წლებიდან დაიწყო საქართველოში გარე ძალების წახალისებით და გაგრძელდება მანამ, სანამ ყველას და ყველაფერს თავისი კუთვნილი სახელი არ დაერქმევა!

**გიორგი ჩხეიძე**

# „ნულოვანი ტოლერანტობა“ მის ოფიციალურ გამოცხადებამდე გაცილებით ადრე დაიწყო

17 gv.

**ლი** - 1971 წ.დ. მცხოვრები თელავის რაიონის სოფელ ბუშეტში, ჩაუდეს ხელყუმბარა ფ-1.

**ივანე ალექსანდრეს ძე ხანჯალიაშვილი** - 1970 წ.დ. მცხოვრები თელავის რაიონის სოფელ რუისპირში, ჩაუდეს „აბრეზი“.

**ჯაბრაილ ავთანდილის ძე მაჩალიკაშვილი** - 1972 წ.დ. მცხოვრები ახმეტის რაიონის სოფელ დუისში, ჩაუდეს 0,7 გრამი „ჰეროინი“.

**ომარ ზაურბეგის ძე ცისკარიშვილი** - 1961 წ.დ. მცხოვრები ახმეტის რაიონის სოფელ ჯოყოლოში, ჩაუდეს 0,5 გრამი „ჰეროინი“.

**მამუკა ხვთისოს ძე ქერაული** – მცხოვრები დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ წითელწყაროში, ჩაუდეს 0.7 გრამი „ჰეროინი“.

16 სექტემბერი

**ავთანდილ გივის ძე ჯანდიერი** - 1979 წ.დ. მცხოვრები თელავში, ერეკლე მეფის ქუჩაზე, ჩაუდეს ხელყუმბარა ფ-1.

**ბესარიონ ილიას ძე ბურნაძე** - 1970 წ.დ. მცხოვრები თელავში, ევდოშვილის ქუჩაზე, რომელიც ასევე ჩადებული „ნივთმტკიცებით“ დაიჭირეს.

**დავით უშანგის ძე ალადაშვილი** - 1969 წ.დ. მცხოვრები სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში, ჩაუდეს ხელყუმბარა ფ-1 და 18,8 გრამი „მარიხუანა“.

**შალვა ალექსანდრეს ძე ბეჟანიშვილი** - 1985 წ.დ. მცხოვრები სიღნაღის რაიონის დაბა წნორში, ჩაუდეს ხელყუმბარა ფ-1 და 14,5 გრამი „მარიხუანა“.

**გიორგი ალექსანდრეს ძე ბეჟანიშვილი** - 1970 წ.დ. მცხოვრები დაბა წნორში, ჩაუდეს „აბრეზი“.

**დავით ჩალაძე** – არც მის შესახებ ფიქსირდება სხვა ინფორმაცია.

**რევაზ გიორგის ძე კენჭოშვილი** - 1952 წ.დ. მცხოვრები ყვარლის რაიონის სოფელ ენისელში, ჩაუდეს „აბრეზი“.

ხსენებული ცეცხლსასროლი იარაღები, დიდი ალბათობით ტაბელური იარაღია. დავით გაგნიძის ინფორმაციით, ავტომატები ჩასადებად შს მაშინდელი მინისტრის ბრძანებით, შინაგანი ჯარების სარდალმა გადასცა (შსს-ს ცენტრალური აპარატის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის კაბინეტში), კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობას. არ არის გამორიცხული ეს ჩადებულ-ამოღებული ავტომატები სხვა „სპეცოპერაციების“ დროსაც იყოს გამოყენებული, ამიტომაც ვუთითებთ მათ ნომრებს, რომ იქნებ რომელიმე სხვა „ჩადებულმაც“ ამოიცნოს. „საერთო გაზეთის“ ინფორმაციით, შინაგან ჯარებს მაშინ მიხეილ სააკაშვილის „ლუბიმჩიკი“, გენერალი გოგი თათუხაშვილი ხელმძღვანელობდა.

**დავით გაგნიძე**: „ხსენებული იარაღი კრიმინალური პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის ერთ-ერთი მოადგილის კაბინეტთან არსებულ ე.წ. დასავენებელ ოთახში ეწყო (სავარაუდოდ ეს მოადგილე შემდეგში კარგად ცნობილი ირაკლი ქადაგიძე გახლდათ – მ.ს.) და სამინისტროს კრიმპოლიციის წარმომადგენლებს „სპეცოპერაციებზე“გასვლის წინ ურიგებდნენ. ე.წ. კრიმინალების სიები რაიონული პოლიციების უფროსებმა შეადგინეს და სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოების ხელმძღვანელებს გადასცეს, რომლებმაც თავის მხრივ შს მინისტრ გიორგი ბარამიძეს წარუდგინეს. უშუალოდ ამ „სპეცოპერაციების“ განხორციელებისას შეიძლება ბარამიძე აღარ იკავებდა შს მინისტრის პოსტს, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ყველაფერი მისი მინისტრობისას დაიგეგმა და მომზადდა. ხსენებულ სიებში ვისი გვარი მოხვდა, სწორედ ეს არის საკითხავი, ზოგიერთ მათგანს შეიძლება მართლაც ჰქონდა შეხება დამნაშავეთა სამყაროსთან, მაგრამ ბევრი სრულიად უდანაშაულო ადამიანი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოიცილეს. ეს ადამიანები უბრალოდ ავტორიტეტული, პატივსაცემი ხალხი იყო თავის ქალაქში, სოფელსა თუ უბანში, ნაციონალებს კი მოგეხსენებათ, როგორ „უყვარდათ“ ამგვარი ნიშნის მატარებელი პიროვნებები. სხვათა შორის, იმ პერიოდში არც ბევრ იმათგანს ჰქონდა დანაშაული ჩადენილი, რომლებიც დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებად ითვლებოდნენ. ვიმეორებ, ავტომატების ჩადება, როგორც წესი შსს ცენტრალური აპარატის თანამშრომლების მიერ ხდებოდა, ე.წ. მოწმეებიც მათ მიერვე იყვნენ წარდგენილნი. ხსენებულ თანამშრომლებს პირდაპირ ავალებდნენ მოწმეების მოძებნას და საჭიროების შემთხვევაში გამოყენებას. სამეგრელოში განხორციელებული „სპეცოპერაციების“ დროს მოწმეები თბილისიდან წაიყვანეს, რომლებსაც „გასამრჯელოს“ სახით 50 ლარს უხდიდნენ. ეს ხალხი ოპერაციაში მონაწილე პოლიციელების ნათესავმეგობრები იყვნენ, რომლებიც ორგანიზებულად, გამთენიისას მიყავდათ „იკარუსის“ მარკის ავტობუსით.

ეს იყო მასობრივი დაჭერების კამპანია, რომლითაც ახალმა ხელისუფლებამ პოლიციის ძველი, გამოცდილი კადრები ასე ვთქვათ, დაშოკა. აღნიშნული შეთანხმებული გახლდათ მაშინდელ გენპროკურორთან და სასამართლოს ხელმძღვანელობასთან, ამიტომ ჩივილს აზრი არ ჰქონდა, პირიქით, მომჩივანი სასჯელის მაქსიმუმს მიიღებდა. ჩემი ინფორმაციით, ოღონდ ეს მოგვიანებით გავიგე, შეკრებილები იყვნენ პროკურატურის, შსს-ს და სასამართლოს ძალზე მაღალი რანგის ჩინოსნები და სწორედ ამ შეკრებაზე გადაწყდა, ხსენებული „სპეცოპერაციების“ ჩატარება. ცხადია, მათაც ვიღაცამ დაავალა, დამვალებლის ვინაობაა გასარკვევი და ეს პირველ რიგში ბარამიძემ უნდა თქვას, რადგან ყველაზე ხშირად ის ადანაშაულებს დღევანდელ სამართალდამცავებს იარაღისა თუ ნარკოტიკების ჩადებაში. სხვათა შორის, ხსენებული ღონისძიებებისას ჩადების მხრივ, თავი განსაკუთრებით კახეთის სამხარეო პოლიციის მთავარმა სამმართველომ გამოიჩინა (იმ პერიოდში ხსენებულ სამმართველოს შსს-ს ძველი კადრი თემურ ანჯაფარიძე ხელმძღვანელობდა, რომელიც თურმე „ვარდოსნების“ დიდი ნდობით სარგებლობდა – მ.ს.). მათ რაიონის პოლიციის უფროსები აიძულეს, საკუთარი ძალებით მოეხდინათ ხალხის დაჭერა. სწორედ ამიტომაა, რომ ავტომატები ბევრი არ ჩაუდიათ, იქ ე.წ. დამნაშავეებს კანონით აკრძალული უფრო წვრილმანი ნივთები და ნივთიერებები ჩაუდეს. ამის საფასურად კახეთის სამხარეო პოლიციის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ სერიოზული დივიდენდები მიიღო, თუმცა ძველი კადრები საკმაოდ გაუნაწყენდნენ“.

**- ბატონო დავით, ასე დარწმუნებით რომ აცხადებთ, ხსენებულ პირებს ნივთმტკიცებები ჩაუდესო, ამის თქმის საფუძველს რა გარემოება გაძლევთ?**

- ყურადღება მიაქციეთ მათი დაკავების და „ნივთმტკიცებების“ ამოღების თარიღებს. ასეთი დამთხვევები შემთხვევით არ ხდება, ასეთი ოპერაციების ასე უცებ და ერთად ჩატარების შანსი არ არსებობს. ეს ყველაფერი თვითონვე ყვირის, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც საზოგადოებას შეასაღეს. როგორ შეიძლება 2-3 დღეში ათეულობით ავტომატი ამოიღო, ასეთი რამ 90-იანი წლების დასაწყისში, შოთა კვირაიას შს მინისტრობის დროსაც არ მომხდარა, როცა მასობრივად ტარდებოდა სპეცრეიდები იარაღის ამოსაღებად. არადა მოგეხსენებათ, მაშინ თითქმის მთელი საქართველო შეიარაღებული იყო. პროფესიონალი სამართალდამცავისთვის მაშინვე აშკარა იყო, ყველაფერი თეთრი ძაფით იყო ნაკერი. ერთსაც გეტყვით, ეს „ჩადებები“ პოლიციის ძველ კადრებს არ განუხორციელებიათ, რადგან შსს-ს ხელმძღვანელობა მათ არ ენდობოდა, ეს „საპატიო მისია“ მათ მიერ მოყვანილმა ახალმა კადრებმა განახორციელეს. ძველი, გამოცდილი კადრები უბრალოდ ფაქტის წინაშე დაგვაყენეს, „ამოღებულ“ მტკიცებულებების ჩვენებას ვგულისხმობ, იმ სპეცოპერაციებისას იქ უამრავი ხალხი ტრიალებდა, ამიტომ ძნელია იმის გარკვევა, მართლაც ამოღებული იყო თუ ჩადებულ-ამოღებული. თბილისში პირველად



როცა ჩატარდა ამოღების ოპერაცია, მეც წამიყვანეს, როგორც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის წარმომადგენელი, მაგრამ, როდესაც უკმაყოფილება გამოვთქვი საეჭვო გარემოებებთან დაკავშირებით, მას მერე არცერთ ღონისძიებაზე აღარ წავუყვანივართ. ეს საქმეები რომ შეკერილი იყო, მოწმეების ამბავი ხდის ყველაზე კარგად ფარდას, რანაირად შეიძლება სამეგრელოში თბილისელები ყოფილიყვნენ მოწმედ, თან არ დაგავიწყდეთ, ეს ე.წ. მოწმეები სამეგრელოს გარდა სხვა საქმეებშიც ფიგურირებენ, ეს როგორ ავხსნათ? ზემოხსენებული დაკავებულთა სია ოფიციალური წყაროდან მაქვს მოპოვებული, კერძოდ, ხომ ვიცოდი სად მიდიოდა ოპერატიული ჯგუფი ე.წ. სპეცოპერაციის ჩასატარებლად, მეორე დღეს გადავათვალიერებდი შსს-ს სადღეღამისო ინფორმაციას, ე.წ. კრებსს, სადაც მითითებული იყო ვინ დააკავეს და რა რაოდენობის ცეცხლსასროლი იარაღი თუ სხვა მტკიცებულება ამოუღეს, თავისი სრული მონაცემებით, აქედან გამომდინარე, არაფერს ვიგონებ, დაინტერესების შემთხვევაში ყველაფერი მარტივი გადასამოწმებელია.

**მანანა სუხიშვილი**

599 51 28 24



## გიგლა ბარამიძე:

# დიახ, ერთხელ ჰქონდა შეხვედრა ნინო ბურჯანაძეს ბიძინა ივანიშვილთან

*გვესაუბრება „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკური მდივანი, ბატონი* **გიგლა ბარამიძე**.

**— ბატონო გიგლა, უსამართლოდ დახვრეტილი ზურაბ ვაზაგაშვილის მამა, ბატონი იური ვაზაგაშვილი დავასაფლავეთ. საზოგადოება ჯერ კიდევ გაურკვევლობაშია. რა ხდება ჩვენს ქვეყანაში?**

— უპირველეს ყოვლისა, ვისარგებლებ თქვენი გაზეთით და ჩვენი პოლიტიკური გაერთიანების სახელით მივუსამძიმრებ იური ვაზაგაშვილის ოჯახს. საშინელი რამ მოხდა: გაოგნებული ვართ. როგორც „დათა თუთაშხიაშია“ — ეს რამ მოაფიქრებინათ?!

საქმე ჯერ არ გამოძიებულა, მაგრამ, როცა სახელისუფლებო ინსტიტუტები სუსტია, იმედი ნაკლებადაა, რომ გაიხსნება ეს საქმე.

სანამ შს მინისტრი გადადგებოდა, მანამდე ვამბობდი, რომ პასუხი უნდა ეგოთ მაღალი თანამდებობის პირებს, თუკი არ იცოდნენ, რომ ასეთი რამ მზადდებოდა. ეს არ იყო შემთხვევითი მკვლელობა. ეს იყო ტერორისტული აქტი.



დღეს კი ვაფრთხილებ ხელისუფლებას: ვაზაგაშვილის საქმის შესაძლო გაჭიანურებიდან ან გაუხსნელობიდან ერთი ნაბიჯიღაა დარჩენილი ხელისუფლების დაქცევამდე. ეს გაითვალისწინონ!

ეს არის ზღვარი, რომლის შემდეგაც სერიოზული არეულობა შეიძლება დაიწყოს.

ამას წინათ ეკა ბესელიამ თქვა: ჩემი შვილი ვინაც დაიჭირა, ის ხალხი ახლაც თანამდებობებზე არიანო. ეკა ბესელია რომ ამას იტყვის, ჩვენ რაღა უნდა ვიფიქროთ?!

საბოტაჟის მცდელობააო, დაუჩემებიათ. საბოტაჟის მცდელობა თუ არის, იმიტომ ხარ ხელისუფლება, რომ აღკვეთო უნდა ეს საბოტაჟი.

ამიტომ, სანამ უარესი კრიზისი შექმნილა, აუცილებელია ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

**— თქვენს ამ მოსაზრებას ხომ არ უკავშირდება ბოლო დღეებში გახშირებული მითქმა-მოთქმა ბიძინა ივანიშვილისა და ნინო ბურჯანაძის მოსალოდნელი ალიანსის შესახებ? პირდაპირ გკითხავთ —შედგა ეს შეხვედრა?**

— ეს მითქმა-მოთქმა, ალბათ, იმის გამო გაჩნდა, ჩვენი პარტიის წევრები რომ ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებზე დაინიშნენ — ეს ადამიანები „ქართულ ოცნებაში“ მას შემდეგ წავიდნენ, რაც ჩვენი პარტიის რიგები დატოვეს.

დღეს „ქართულ ოცნებასა“ და „გაერთიანებულ დემოკრატიულ მოძრაობას“ შორის არავითარი მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს. მეტიც, ასეთი საუბრები არც გვქონია. უახლოეს ხანებში მსგავსი შეხვედრები არც იგეგმება.

ერთადერთხელ ჰქონდა შეხვედრა ჩვენი პარტიის პირველ პირს ბატონ ბიძინა ივანიშვილთან 2012 წლის არჩევნებამდე, როცა მხარი დავუჭირეთ „ოცნებას“ და არ მივიღეთ მონაწილეობა არჩევნებში, ოღონდ ის შავი ჭირი მოგვეშორებინა. მას შემდეგ ჩვენ სატელეფონო კონტაქტიც კი არ გვქონია.

თქვენს მიერ გამოთქმული ეჭვები კი, ალბათ, კიდევ უფრო გაამყარა იმან, რომ ჩვენი პოლიტიკური საბჭოს წევრის **გიორგი კობახიძის** ვაჟი, ირაკლი „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივნად დაინიშნა.

გიორგი კობახიძემ მაშინვე უარი განაცხადა პარტიის წევრობაზე, რაც მისმა შვილმა ეს ნაბიჯი გადადგა.

ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი პარტია მედროვეებით არ არის დაკომპლექტებული.

**— თქვენ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ახსენეთ. რას ფიქრობთ, საპარლამენტო არჩევნები მალევე რომ გაიმართოს, რა პოლიტიკური ძალებით დაკომპლექტდება მომავალი საკანონმდებლო ორგანო?**

**სულ ერთი და იგივე ხალხი ხართ. რა აზრი აქვს არჩევნებს?**

— კი, ბატონო, გასაგებია პრეტენზიები, მაგრამ შეიქმნას ახალი პარტიები, უკეთესი ხალხი მოვიდეს. ვისაც არ მოვწონვართ, ნუ აგვირჩევს.

კაცმა რომ თქვას, არც ის არის კარგი, ამ ხელისუფლებაში ზოგიერთი პირდაპირ „ქუჩიდან“ რომ მოიყვანეს. ზოგიერთს ბიოგრაფიაც არ აქვს და რა საქმე უნდა გააკეთოს.

შევარდნაძის პერიოდში ძალიან ბევრმა უზარმაზარი სიმდიდრე დააგროვა. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც ცდუნებებს გაუძლეს და არავისთვის არაფერი წაუგლეჯიათ. ასეთ ადამიანებს, მგონი, უნდა მივცეთ საჯარო სამსახურში ან პოლიტიკაში მოღვაწეობის შესაძლებლობა.

**— კოალიციაზე თქვით, ის უკვე იმ დონეზეა, მოსალოდნელია, დაიშალოსო. კოალიციის წევრები ასე არ ფიქრობენ. თქვენ რა გაძლევთ ამ განცხადების გაკეთების საშუალებას?**

— თეორიულად, შინაგანად და პოლიტიკური განწყობით, კოალიცია „ქართული ოცნება“ ერთიანი არასდროს ყოფილა, დღემდე არ დაშლილან არა იმიტომ, რომ ერთმანეთზე მზე და მთვარე ამოსდით, არამედ იმიტომ, რომ ეშინიათ, ხელმეორედ ველარ შევლენ პარლამენტში. თუკი ნახეს, რომ ნაციონალებმა რაღაც დასაყრდენი იპოვეს, შეიძლება იქ გადაბარგდნენ. მოსალოდნელია, ნაციონალებთან საერთო ენა გამონახონ „თავისუფალმა დემოკრატებმა“, „რესპუბლიკელების“ ნაწილმა.

მე ვერ ვიტყვი, როდის დაიშლება კოალიცია, მაგრამ შიგნით, ზოგიერთი პოლიტიკური გაერთიანების სურვილი რომ არის გათავისუფლდნენ „ქართული ოცნების“ კოაალიციისგან, ეს ვიცი.

იანვარში „ოცნების“ ლიდერთან კულუარული შეხვედრა რომ იყო, იქედანაც გამოვიდა ხმები, რომ „დანიის სამეფოში“ ყველაფერი წესრიგში არ არის.

ერთი სიტყვით, „ქართული ოცნების“ მთელი ეს აკიდო აკიდებულია ერთი კაცის ზურგზე და ეს არის ბიძინა ივანიშვილი.

**— როცა თქვენს პარტიას და ლიდერს მკვეთრად გამოხატული რუსული ორიენტაცია აქვს, როგორ აპირებთ თქვენი პოლიტიკური მიზნების განხორციელებას იმ ფონზე, როცა საქართველოში პარტიათა უმრავლესობა ქვეყნის დასავლურ კურსს უჭერს მხარს?**

— თუკი ქალბატონი ნინოს შეხვედრა **ვლადიმერ პუტინთან** არის იარლიყი, ეს არასწორია. ბიძინა ივანიშვილმა კაპიტალი რუსეთში დააგროვა. ბატონი ბიძინა მაშინ რუსეთის მომხრე ყოფილა, თუკი ვინმემ რუსეთის ორსაუკუნოვანი ჩანაფიქრი აასრულა, ეს იყო მიშა და „ნაცმოძრაობა“ — გადაულოცა ტერიტორიები, რუსული კომპანიები შემოიყვანა ქვეყანაში. მერაბიშვილი არ იყო, რუსულ კაპიტალს სუნი არ ასდისო, რომ თქვა პარლამენტში? ჩვენ ვამბობთ, რომ რუსეთთან აუცილებელია კარგი ურთიერთობა და ყველა დასავლელი პარტნიორიც ამას გვირჩევს.

ამას წინათ ერთი ქვეყნის ელჩთან მქონდა შეხვედრა. გაოცებულია ადამიანი: ნიჭიერი ხალხი ხართ, მაგრამ ასეთი სიბრიყვე რატომ გჭირთ — დაანებეთ თავი გაურკვეველი განცხადებების კეთებას. როგორ წყდება თქვენი ბედი უკრაინაში, თქვენს თავს მიხედეთ, სად ეჩხირებით, სადაც თქვენი ადგილი არაა?! მესამე ფრონტს რატომ ხსნითო?!

ჩვენ უკრაინაში რუსებს არ ვებრძვით. გაიგოს ეს ყველამ. იქ სააკაშვილი თავის რეკრუტებს ამზადებს ახალი მაიდანი რომ მოაწყოს საქართველოში.

სირცხვილია დემაგოგიური განხადებები — უკრაინაში რომ დაიღუპება, ის ჯარისკაცი გმირია და საქართველოში რომ ტრაგიკულად მოკლავენ — ღორი მამა-შვილი მოკვდაო.

დიახ, უკრაინაში არ წყდება ჩვენი ბედი.

უკრაინა იყოს კარგად, მაგრამ ჩვენი ბედისწერა არის საქართველო და მივხედოთ საქართველოს.

მიშა ახლა სამარცხვინო განცხადებებს აკეთებს — დატოვეთ თავდაცვის სამინისტრო და აქ ჩამოდით, უკრაინაში იომეთო, მოუწოდებს მებრძოლებს. თავისი შვილი წაიყვანოს, ამერიკაში ყველაზე ძვირადღირებულ სასწავლებელში რომ ასწავლის. თავისი ედუჩა, შევარდნაძის სახელი რომ დაარქვა, ის წაიყვანოს წინა ხაზზე.



„ნაცმოძრაობის“ ლიდერებს სხვებსაც ჰყავთ ბიჭები, ბრძოლა რომ შეუძლიათ. თუ საქართველოს მოყვარულები არიან, როგორც ამბობენ, დააჭერინონ ავტომატები შვილებს და აომონ უკრაინაში. გაიღონ მსხვერპლი — დაანებებინონ თავი ედუარდ სააკაშვილს სწავლაზე და საქართველოსთვის იომოს უკრაინაში. სხვისი შვილების დაღვრილ სისხლსაც თვითონ რომ იწერენ და ვითომ პატრიოტობას და კაცობას რომ თამაშობენ, ეს გამყიდველები, ეს კაცუნები, ესენი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# ზაალ კასრელიშვილი: იმ ქართველ მუსულმანებს, რომლებიც დანარჩენ ქართველებს დაჩოქებით ემუქრებიან, ჩავალთ და იქ დავაჩოქებთ, სადაც არიან...

***გვესაუბრება კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტი, პოლიტოლოგი, ბატონი ზაალ კასრელიშვილი.***

**— რუსეთის დუმაში დღეს (23.01.15) აფხაზეთსა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთმხარდაჭერის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას?**

— რუსეთმა უკვე ოფიციალურად გააფორმა ის შედეგი, რასაც მიაღწია კავკასიაში და კონკრეტულად საქართველოში 1994 წელს. ახლა აფხაზეთთან, როგორც იურიდიულ პირთან მოახდინა კონფედერაციულ საწყისებზე თავდაცვისა და ეკონომიკის სფეროში უსაფრთხოების ხელშეკრულების რატიფიცირება.

რუსეთი აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ იურიდიულ სუბიექტს, ისე განიხილავს, რაც ნიშნავს, რომ დღეის შემდეგ ნებისმიერი ქმედება საქართველოს ხელისუფლების, ან საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, აფხაზეთის ტერიტორიაზე იქნება რუსეთის საქმე — თუ გინდა აფხაზეთთან კონტაქტი გქონდეს, ურთიერთობა უნდა დაამყარო რუსეთის ხელმძღვანელობასთან, თუ გინდა ომი აფხაზებთან, უნდა იომო რუსეთთან, ყოველგვარი ეკონომიკური ან პოლიტიკური აქტივობის სურვილი და მცდელობა აფხაზეთის ტერიტორიაზე დასაწყისშივე უნ-



და შეათანხმო რუსეთთან.

**— კავკასიაში რომელიმე რესპუბლიკასთან ასეთი ხელშეკრულება რუსეთს აქვს?**

— არ აქვს.

რუსეთს სომხეთთან აქვს სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. სომხეთი ამ ხელშეკრულების საფუძველზე გახდა ევრაზიული კავშირის წევრი.

**— ანუ მოსალოდნელია, რომ აფხაზეთიც შევიდეს ევრაზიის კავშირში?**

— ვფიქრობ, კი.

**— გარკვეული ხნის წინ აფხაზებმა და ე. ი. რუსებმა ენგურჰესის კუთვნილების შესახებ გამოთქვეს პრეტენზია.**

— ამ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ სრული უფლება აქვს რუსეთს დაჯდეს აფხაზებსა და ქართველებს შორის მოლაპარაკების მაგიდასთან. ამიტომ ვამბობთ, როცა აფხაზები აცხადებენ, მოლაპარაკებები დავიწყოთ ენგურჰესის თემაზეო.

**— ენგურჰესის გარდა „რაოესი“ და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტები უკვე არის რუსეთის ხელში...**

— დიახ, და ამაზე პასუხი უნდა მოეთხოვოს **სააკაშვილს** და მის ბიძას — **თემურ ალასანიას,** რომლებმაც საქართველოში ენერგეტიკა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები რუსებს ჩაუგდეს ხელში.

**— აქვე არ შემიძლია არ გკითხოთ ამ ბოლო დღეებში ფოთის ნავთობტერმინალის „როსტნეფტზე“ გაყიდვის ფაქტის შესახებაც.**

— ფოთის ნავთობტერმინალი მიხეილ **სააკაშვილის** ფინანსურმა მენეჯერმა, ვინმე **კეზერაშვილმა**, რომელმაც მიშასთან ერთად გაყიდა საქართველოს ტერიტორიები და გაიქცა, შეისყიდა ეს ობიექტი და შემდეგ, თითქოს კეზერაშვილების საკუთრება იყოს ეს ქვეყანა, მიჰყიდა ბიზნესმენ **იაკობაშვილს**. იაკობაშვილმა თავის კუთვნილ ნავთობტერმინალში 90% „როსნეფტს“ გადასცა.

რა თქმა უნდა, არასასიამოვნო ამბავია, მაგრამ მოუგვარებელი პრობლემა არაა. სიტუაციის გამოსწორება შეიძლება, ოღონდ ახალი ეკონომიკური გათვლები უნდა შეიმუშავოს ხელისუფლებამ.

ემოციის დონეზე არ უნდა გადავწყვიტოთ საკითხები.

მიმაჩნია, რომ ყულევის ნავთობტერმინალის გაყიდვაც დიდი შეცდომა იყო. მართალია, ის ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმა აზერბაიჯანმა იყიდა, მაგრამ ჩვენი ქონება ჩვენს განკარგულებაში უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, სერიოზული და სანდო პარტნიორები უნდა ვეძებოთ.

**— „როსნეფტი“ სერიოზული კომპანია არაა?**

— როგორ არა, მაგრამ ის გახლავთ სანქციების ქვეშ. თუმცა დადებითი მხარეც არსებობს. სანამ რუსეთი სანქციების ზეწოლას განიცდის, ჩვენ მისთვის ვართ ერთგვარი ფანჯარა ევროპისკენ, საიდანაც, ასე ვთქვათ, სუფთა ჰაერს სუნთქავენ.

ამიტომ ძალიან ბევრ თემაზე შეიძლება რუსეთს ესაუბრო, თუკი ჩვენი ხელისუფლება მზადაა და ჰყოფნის კომპეტენცია და პროფესიონალიზმი რუსეთთან ეკონომიკურ საკითხებზე სასაუბროდ.

პუტინთან შეხვედრა უნდა შედგეს, ოღონდ საერთაშორისო საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

როგორც მიმდინარეობს რუსულ-უკრაინული მოლაპარაკებები საერთაშორისო საზოგადოების ჩარევით, ასე უნდა მოხდეს ჩვენთანაც.

ჩვენი მიზანია, რუსეთის პრეზიდენტის ბაგეებიდან გავიგოთ, როგორ უყურებს რუსეთ-საქართველოს მომავალ ურთიერთობებს.

**— რუსულ-უკრაინული ურთიერთობები ახსენეთ და ბარემ აქვე შეგეკითხებით. როცა რუსულ-უკრაინულ მოლაპარაკებებზე საუბრობთ, მიგაჩნიათ, რომ დღეს უკრაინას უკრაინული ეროვნული ძალები წარმოადგენენ?**

**ამბობენ, საკადრო პოლიტიკას უკრაინაში ექსპრეზიდენტი სააკაშვილი წარმართავსო.**

— რაც შეეხება **სააკაშვილს** და მისი მთავრობის იქ გადაბარგებას, ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოში მობრუნების იმედი არ აქვთ. ის ინტერესჯგუფი, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებას ეხმარებოდა 9 წელიწადი ქართველი ხალხის დამონებაში, ახლა უკრაინისკენ არის გადართული და მე სიტყვას გაძლევთ, უახლოეს 6 თვეში, **2015 წლის შემოდგომამდე სააკაშვილს და მისი გუნდის წევრებს უკრაინის ხელმძღვანელობასთან და პოლიტიკურ წრეებთან სერიოზული უთანხმოება დაეწყებათ.** საქმე ისაა, რომ ნაციონალები თავიანთი მოქმედებებით უკრაინაში ხელ-ფეხს უხსნიან აგრესიისთვის რუსეთის სპეცსამსახურებს. რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ ნაცების აქტიურობა უკრაინაში შიდა პოლიტიკური ბაზრისთვის განკუთვნილად ჩათვალა და გარე ძალებსაც ეუბნებიან: უკრაინის ხელისუფლებაში მოვიდნენ ის ქართველები, რომლებმაც სისხლი ღვარეს ცხინვალში და საერთოდ, საქართველოშიო. ეს სერიოზული სავაჭრო საკითხია უცხოელებთან საუბრისას.

**— ვინ გაუწია ნაცებს რეკომენდაცია უკრაინის ხელისუფლებაში?**

— ესენი, სავარაუდოდ, ნაციონალების დასავლელი და ამერიკელი პატრონები იქნენ. მიშას სურდა სტატუსი და დღეს ის აქვს. მანამდე ის უსტატუსო გახლდათ.

აქვე უნდა ვთქვა, ნაციონალებმა 9 წლის განმავლობაში საქართველოში დაამტკიცეს, რომ არაქართული, არაკავკასიური, არატრადიციული მენტალობის არიან და როგორც 1917 წლის ქართველი წითელი ბოლშევიკები აკვირვებდნენ რუსეთს თავიანთი თანამემამულეების მიმართ გამოჩენილი სისასტიკით, ასე აწონებდნენ და აწონებენ დღესაც თავს თავიანთ დასავლელ პატრონებს. ამიტომ არიან ისინი ნეობოლშევიკები.



**— ამ სიტუაციაში სხვადასხვა ისლამურ ჯგუფებში მებრძოლი ქართველი მუსულმანები დანარჩენი ქართველების დაჩოქებით იმუქრებიან. რას გვერჩიან?**

— ჩვენ უკვე შევუთვალეთ და კიდევ ვეუბნებით: სადაც არიან, იქ ჩავალთ და იქ დავაჩოქებთ და მაგ მუქარებისთვის სერიოზულად ვაგებინებთ პასუხს.



ოსმალეთმა, სპარსეთმა, ბიზანტიამ, რომმა, საბჭოთა კავშირმა ვერ დაგვაჩოქა: კი, გაგვანადგურეს, დაგვასუსტეს, მაგრამ ვერ დაგვაჩოქეს და ესენი ვინ არიან?

ვინც ამ განცხადებებს აკეთებს, ან რუსეთის სპეცსამსახურების დავალებებს ასრულებს, ან თურქეთისას. ვერც ერთის და ვერც მეორის ინტერესი საქართველოში ვერ გაიხარებს. ეს მინდა იცოდნენ კარგად.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# კოჰაბიტაცია უნივერსიტეტში, ანუ ჩატარდება თუ არა საკადრო აუდიტი მთავარ უმაღლეს სასწავლებელში?



**ვესაუბრებით საქართველოს მეცნიერ ქალთა ასოციაციის ხელმძღვანელს, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უფროს სპეციალისტს, ქალბატონ ავეილინა დავითულიანს.**

**— ქალბატონო ავეილინა, რამდენიმე თვეა, თქვენ კვლავ უნივერსიტეტში დაბრუნდით სამუშაოდ, მანამდე მთელი 35 წელი მოღვაწეობდით აქ ფიზიკის ფაკულტეტზე, უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ლადო პაპავას დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისთვის, რომ „ჩარეცხილი“ პროფესორებიდან და თანამშრომლებიდან რამდენიმეს მაინც შესძლებოდა და მიეღო მონაწილეობა გარკვეულ კონკურსებში. როგორც ცნობილია, დღეს „ხუბუას კლანი“ და ნაციონალები სერიოზულად იბრძვიან იმისთვის, რომ თქვენნაირმა გამოცდილმა სპეციალისტებმა უარი თქვან სამუშაოზე. ფაქტობრივად, მათ დაიწყეს ღია ბრძოლა დამსახურებული სპეციალისტების მიმართ, ეს „ბრძოლა“, გარკვეულწილად, თქვენც შეგეხოთ, რატომ?**



ლადო პაპავა

— მთელი ცხოვრება უნივერსიტეტში გავატარე, მოქმედი მეცნიერი ვარ, ბოლო ხუთ თვეში ოთხი სამეცნიერო სტატია დავწერე. ერთი ამერიკელების, ხოლო მეორე კანადის შეკვეთით. ასევე გულდასმით ვმუშაობ ამ უწყვეტი განათლების ცენტრში, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს უნივერსიტეტისთვის, ახალი პარადიგმაა, და საერთოდ, დამატებითი განათლება დღეს უკვე აუცილებელია თანამედროვე მსოფლიოში იმიტომ, რომ ძალიან სწრაფად იცვლება მოვლენები, ყოველ სამ წელიწადში სპეციალისტების გადამზადება საჭიროა ყველა უნივერსიტეტში. სწორედ ამისთვის შეიქმნა ეს ცენტრი 2009 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ალბათ, იკითხავთ, რა კეთდება დღეს აქ? — არაფერი! რატომ? იმიტომ, რომ არ სურს მის **ხელმძღვანელს — ქეთევან ცინცაძეს.** მანამდე ამ ცენტრის უფროსი იყო ეთერ ღვინერია, ძალიან განათლებული და კარგი სპეციალისტი. ხუბუამ მას ეს განყოფილება დაუხურა, რატომ? არავინ იცის, მიზეზი არ უთქვამთ. შემდეგ აღადგინეს ეს განყოფილება და პიარის სამსახურიდან გადმოიყვანეს ქეთევან ცინცაძე მის ხელმძღვანელად. პირადი შეხედულებით მან ამ ცენტრიდან ბევრი თანამშრომელი გაუშვა. ახლა მე დამიპირისპირდა. რატომ? მეუბნება, რომ არ ვასრულებ მის დავალებებს.

**— ფიქრობთ, რომ ის ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას?**

— ვფიქრობ კი არა, ასეა, ვუთხარი, რომ მომეცით-მეთქი ერთ-ერთი პროგრამაა „ტემპუსი“ — ამ პროგრამის ფინანსური ხარჯების დამადასტურებელი ცნობები, არ მაჩვენა.

**— ქალბატონო ავეილინა, ამ ცენტრს აქვს გამოყოფილი სერიოზული თანხები, რაში უნდა იხარჯებოდეს იგი და რაში იხარჯება ის დღეს აქ?**

— უწყვეტი განათლების ცენტრის მთავარი და ნომერ პირველი მიზანი არის განათლების ხარისხის ამაღლება, ასეა მთელ მსოფლიოში. ამ განყოფილებაში დღეს მსგავსი არაფერი ხდება. ჯერ კიდევ ლომაიას რეფორმების დროს განათლების სისტემა როგორ დაინგრა, იცით, შემდეგ პროფესურა როგორ „ჩარეცხეს“, ყველას მოეხსენება, დღეს უკვე, რევანშიზმი არ დაგვწამონო და კოჰაბიტაცია შემოგვთავაზეს, უცოდინარ ხუბუას კადრებისა და ნამდვილი სპეციალისტების ერთად მუშაობა, ეს შესაძლებელია? ეს ნორმალურია?

ძალიან ცდილობს ბატონი ლადო პაპავა, რომ ძველი და კარგი სპეციალისტები დაბრუნდნენ უნივერსიტეტში, მაგრამ ვისთან ერთად მოგვიწევს მუშაობა, იცით? ესენი ხომ „შეუხებლობის კასტას“ წარმოადგენენ, მათ ვერ ეხებიან.

**— თქვენი კონფლიქტი ცინცაძესთან რითი დამთავრდა, ან, საერთოდ, თუ დამთავრდა?**

— ოცდათხუთმეტი წელი უნივერსიტეტში ღირსეულად გავატარე, ჩემი მეუღლე თენგიზ სანაძე —საერთაშორისო დონის მეცნიერი იყო, აკადემიკოსი, უღირს ადამიანებთან კამათი ნამდვილად არ მეკადრება, ამიტომ წერილობით მივმართე ბატონ ლადო პაპავას, რომელმაც ეს საქმე პირად კონტროლზე აიყვანა. საერთოდ, მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტში უნდა ჩატარდეს აუცილებლად **საკადრო აუდიტი, გაირკვეს, ვინ ასწავლის დღეს სტუდენტებს, ან რას ასწავლიან?** რატომ გვყავს ამდენი უცოდინარი სტუდენტი? ამაზე პასუხი უნდა გაიცეს.

ადრე, ხუბუას რექტორობის დროს, კალიფორნიის უნივერსიტეტიდან მიიღო თხოვნა ჩვენმა უნივერსიტეტმა, სადაც ითხოვდნენ, რომ ათი სტუდენტი გაგვიზარდეთო ფიზიკის მიმართულებით, რადგანაც ძალიან შთამბეჭდავი შედეგები გაქვთ ამ მიმართულებითო და, იცით, რა პასუხი გასცა მაშინ ხუბუამ? — ამ ათ სტუდენტს ვერ გავზრდით იმიტომ, რომ ჩვენს უნივერსიტეტში განათლების რეფორმა ჩატარდა და ის პროფესორ-მასწავლებლები აქ აღარ მუშაობენო.

**— მინდა გკითხოთ, ხუბუა უნივერსიტეტში სრულ პროფესორად აირჩიეს, მაგრამ დღეს აქ აღარ მუშაობს, რატომ?**

— იმიტომ, რომ ხალხმა არ გააჩერა, გააძევეს, ვერ დადიოდა. გახსოვთ, ალბათ, პროფესორები კლუბში რომ ჩაკეტა და წყალი და ჰაერი გადაუკეტა, მის ამ საქციელს ხელისუფლებამ შეფასება დღემდე რატომ არ მისცა? ნუთუ მორალურია ის, რომ **ასეთი დაუნდობელი და უზნეო ადამიანი კითხულობდა შემდეგ ამ უნივერსიტეტში სამართლის ეთიკას?** რამდენი მილიონის დაფინანსება მიიღო ივანიშვილისგან უნივერსიტეტმა რემონტისთვის, შედით ახლა მეორე კორპუსში და ნახეთ, რა არის იქ გარემონტებული? სად წავიდა ეს თანხები? რატომ იყო ამ კორპუსში ფართები გაქირავებული არასაუნივერსიტეტო დანიშნულების დაწესებულებებზე იმ დროს, როცა სტუდენტებს აუდიტორიები არ ჰყოფნით? **ჩემი აზრით, სწავლის ხარისხის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს საკადრო აუდიტით.** გულწრფელად გეტყვით, რომ დღესაც უნივერსიტეტში ბევრი ღირსეული ადამიანი მოღვაწეობს, ყველას არ ვეხები და არც რევანშისტული გრძნობები არ მამოძრავებს, საკადრო აუდიტის პრაქტიკა ასეთ შემთხვევებში გამოიყენება ბევრ ქვეყანაში, ამიტომ ჩვენს უნივერსიტეტში მისი ჩატარება აუცილებელია. ასევე პედაგოგიური პერსონალი კვალიფიკაციას მუდმივად უნდა იმაღლებდეს. დღეს ეს ცენტრი, სადაც მე ვმუშაობ და რომელსაც ეს სსაქმე ევალება — არაფერს არ აკეთებს.

**— ცნობილია, რომ ბოლო წლებში მაგისტრატურაში ჩამბარებელთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა, ხომ არ გამოიწვია ეს ყოველივე არაკვალიფიციური მასწავლებლების თავმოყრამ უმაღლეს სასწავლებლებში?**

— მაგისტრატურის დამთავრება კარგი სპეციალისტისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მთელ მსოფლიოში და არა მარტო ჩვენთან. პერსპექტივა სხვანაირად არ ექნება სტუდენტს, მაგრამ რა ქნან, თუ მათ სწავლების დონე არ აკმაყოფილებთ? ან უნდა წავიდნენ უცხოეთში, ვისაც საშუალება აქვს, ან სულ არ ჩააბარონ მაგისტრატურაში, მაინც არაფერს ისწავლის — აი, ეს გახლავთ იმ რეფორმების შედეგი, რომელსაც დღეს ვიმკით.

**— რატომ დასჭირდა ბატონ ლადო პაპავას პრესკონფერენციის ჩატარება და განმარტება იმისთვის, რომ იმუშავებდნენ და დაბრუნდებოდნენ თუ არა უნივერსიტეტში პროფესორები — ვაჟა ლორთქიფანიძე, ალიკო კარტოზია და ავთო სილაგაძემ ვინ იყო ამის წინააღმდეგი?**

— ხუბუას კლანი რასაკვირველია, თუმცა, მათ ეს ყველაფერი ისე „მონათლეს“, თითქოს საზოგადოება იყო ამის წინააღმდეგი, ეს ხომ აბსურდია.

**P.S. როდესაც წერილს ვამზადებდი, ამ პერიოდში გაირკვა, რომ გია ხუბუამ გერმანელ მეცნიერებთან ერთად კონფერენციის ჩატარება ითხოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში, რასაც დაუპირისპირდა მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი და მას ამის ნება არ მისცეს.**

**ეთერ კასრელიშვილი**
599 110 200

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



1. ხის ანათალი შალაშინით მუშაობისას
2. კბილის პლომბი
3. უსახელო მოსაცმელი
4. ლენინური ახალი ეკონომიკური პოლიტიკა
5. მგელი რომანიდან – „კაცი რომელიც იცინის"
6. მოდუღებული წითელი ღვინო სანელებლებით
7. იტალიელი ფეხბურთელი ფაბიო . . .
8. კაკბის ბარტყი
9. სასახლე იტალიაში
10. „პორშეს" წარმოების ცენტრი გერმანიაში
11. ბანქოს ქაღალდი
12. თაფლზე დამზადებული ქართული პრეპარატი
13. ბანქოს წყობა ბრიჯის თამაშისას
14. გაბატონებული ჩაცმულობა
15. ფრანგი მწერალი . . . ტრიოლე
16. მზა ნაწარმის ფორმის შესამოწმებელი
17. მაღალი ნაგებობა
18. მწერალი ედგარ ...
19. მცირე პლანეტა
20. საზღვარგარეთიდან საქონლის შემომტანი
21. . . . ნიუტონი
22. ერთი ნივთიერების ატომების შეღწევა მეორეში
23. გერმანული სპორტული გაზეთი
24. რადიოგადამცემის ანტენასთან შესაერთებელი სადენი
25. კუნძულთა ჯგუფი წყნარ ოკეანეში
26. ცხენისა და ვირის ნაშიერი
27. მარილმადიდებლური დღესასწაული
28. ძვ. თაობის შტანგისტი, ოლიმპური ჩემპიონი რაფიელ ...
29. საბავშვო სათამაშო გზრიალა
30. ავტობუსის გზა საბოლოო პუნქტამდე
31. კურორტი დას. საქართველოში
32. აქა-იქ ღრუბელი მოწმენდილ ცაზე
33. . . . გულედანი
34. ტყავგადაკრული ნოჯი
35. დაცული ტერიტორია აფრიკაში
36. ცეკვა სიმღერით ოპერეტაში
37. ფილმი გ. ქავთარაძის მონაწილეობით
38. ქალაქი საბერძნეთში
39. გარიჟრაჟი, ალიონი
40. საპალტოე შალის ქსოვილი
41. „რაც ყველაზე მეტად გიყვარს" რეჟისორი
42. ევროპის ქვეყანა
43. პროდუქტების მწარმოებელი ფირმა „გალინა . . ."
44. ქართული საესტრადო ანსამბლი
45. ძვალგაცლილი თევზი
46. ბრძოლისა და თავდაცვის საშუალება
46ა. ვიეტნამური სუპი
47. ბალზაკის „მამა . . ."
48. მოაჯირის სვეტი
49. მსახიობი ნიკ . . .
50. თვითმფრინავის შიში
51. რკინიგზის ბაქანი
52. სუკის შეფი საბჭოთა საქართველოში
53. გამოუკვლევ ქვეყანაში პირველად შეღწეული პირი
54. მოდელი . . . მაქაცარია
55. იუგოსლავი ტენისისტი . . . ივანიშევიჩი
56. სპორტული შეჯიბრის ნავი
57. აჩქარებული სუნთქვა
58. ცხვრის ტყავის ქურქელი ლვინისათვის
59. თვითნება, დესპოტი მმართველი
60. მდინარე ციმბირში
61. ქალაქი უკრაინაში
62. პაკეტის დასაბეჭდი წითელი ფისი
63. იგივეა, რაც ფთილა
64. ჩაპაევის თანამებრძოლი ქალი
65. მდინარე, ერთვის თბილისის ზღვას
66. სომხური ჩასაერი საკრავი
67. სოფელი გორში
68. საწებლის ქართული ფირმა
69. რუსული შაშხანა
70. ფრანგი მსახიობი ვიტორიო . . .
71. ილიას ცოლი . . . გურამიშვილი





# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



***„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი***
***მთვარისა კევლიშვილი.***
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**– შეიძლება თუ არა პირობითი მსჯავრის ვადაზე ადრე გაუქმება?**

– შეიძლება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ პირობითი მსჯავრდებული გამოსაცდელი ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ ყოფაქცევით დაამტკიცებს თავის გამოსწორებას, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისია მსჯავრდებულის მიმართ კონტროლისა და დახმარების განმახორციელებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას პირობითი მსჯავრდებულისათვის პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლობის მოხსნის შესახებ.

ამავე მუხლის 1-პრიმა ნაწილის მიხედვით, პირობით მსჯავრდებულისათვის ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით პირობითი მსჯავრის გაუქმება და ნასამართლობის მოხსნა შესაძლებელია, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, გამოსაცდელი ვადის გასვლამდეც.

* * *

**– 10 წელია, მეუღლესთან რეგისტრირებულ ქორწინებაში ვიმყოფები. შემიძლია თუ არა, ახლა გავაფორმო მასთან საქორწინო კონტრაქტი?**

– დიახ, შეგიძლიათ. სამოქალაქო კანონმდებლობა ასეთს ითვალისწინებს.

საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ქორწინების რეგისტრაციამდე, ისე მისი რეგისტრაციის შემდეგ ნებისმიერ დროს.

* * *

**– გარდაიცვალა მამაჩემი. დედა მასზე ადრე დაიღუპა. მამის ერთადერთი მემკვიდრე მე ვარ. რა ვადაში უნდა მივიღო სამკვიდრო?**

– თქვენ მამის დანატოვარი ქონების მიღება შეგიძლიათ მისი გარდაცვალების მომენტიდან 6 თვის განმავლობაში. ამ ვადაში უნდა შეიტანოთ განცხადება სანოტარო ბიუროში სამკვიდროს მიღების შესახებ.

* * *

**– ვარ დაზარალებულად ცნობილი სისხლის სამართლის საქმეში. შემიძლია თუ არა, სამოქალაქო სარჩელი შევიტანო ამავე საქმესთან ერთად?**

– არა. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ასეთს არ ითვალისწინებს.

თქვენ შეგიძლიათ, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელი შეიტანოთ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

* * *

**– შემიძლია თუ არა, სარჩელის შეტანამდე მოვითხოვო ქონებაზე ყადაღის დადება?**

– შეგიძლიათ.

განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ / მოცემულ შემთხვევაში ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ /გადაუდებელ შემთხვევაში შეიძლება შეტანილ იქნას სასამართლოში საქმის აღძვრამდე.

სასამართლოს მიერ განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში სარჩელი შეტანილ უნდა იქნას განჩინების მიღებიდან 10 დღის ვადაში. თუ ამ ვადაში სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შემტანი პირი არ აღძრავს სარჩელს, სასამართლო თავისი ინიციატივით ან მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველსაყოფად მის მიერ მიღებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ.

* * *

**– მუშაობის დაწყებიდან რამდენი ხნის შემდეგ მეკუთვნის შვებულება?**

– შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მუშაობის დაწყებიდან 11 თვის გასვლის შემდეგ. თუმცა, შეთანხმებით, შვებულება შეიძლება მოგეცეთ აღნიშნული ვადის გასვლამდეც.

დამატებით განგიმარტავთ, რომ მუშაობის მეორე წლიდან, მხარეთა შეთანხმებით, შვებულება პირს შეიძლება მიეცეს სამუშაო წლის ნებისმიერ დროს, ასევე, შეიძლება შვებულების ნაწილ-ნაწილ გამოყენება, მთელი წლის განმავლობაში.

ავეჯის გადაზიდვა



593 20 46 87

# უცხოპლანეტელები ყველაზე ხშირად რუსეთში ჩნდებიან



თუკი უცხოპლანეტელები დედამიწაზე გამოჩნდებიან, ამბობენ, რომ მათი პოლიგონი რუსეთი იქნება, — აღნიშნულია „დეილი მეილის“ ერთ-ერთ უკანასკნელ გამოშვებაში.

ამ დასკვნამდე მას შემდეგ მივიდნენ, რაც აღმოჩნდა, რომ რუსი ქალბატონი უცხოპლანეტელის მკვდარ სხეულს საკუთარ სამზარეულოში, მაცივარში ინახავდა.

საქმე ისაა, რომ რუსეთი ამ მხრივ ყველაზე აქტიური ზონაა, იქ გაცილებით ხშირია უცხოპლანეტელთაა და მფრინავი თეფშების გამოჩენის ფაქტები.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმ რუს ქალბატონს, რომელიც უცხოპლანეტელის გვამს საგულდაგულოდ მალავდა მაცივარში. მარფა ეგოროვნა,ასე ჰქვია პენსიონერ ქალბატონს, რომელიც პეტროზავოდსკში ცხოვრობს. იგი ორი წლის განმავლობაში მალავდა მაცივარში უცხოპლანეტელის სხეულს. მარფა აღნიშნავს, რომ ამოს 5 ფოტოსურათი გადაუღო.

ქალბატონის სტყვებით, მის აგარაკზე უცხოპლანეტელთა ხომალდი ჩამოვარდა. მე მივუახლოვდი ცხელ ღრუბელს, რომელიც მფრინავი აპარატიდან გამოდიოდა. გვერდით მკვდარი უცხოპლანეტელის სხეული ეგდო.

გამოუცნობი არსების სხეული 61 სანტიმეტრი იყო. ჰქონდა უზარმაზარი თავი და პატარა მოგრძო თვალები. გარეგნულად იგი მოგაგონებდათ რაღაც საშუალოს თევზსა და ჰუმანოიდს შორის. სხეული ჰქონდა პატარა, ხოლო ხელები, თითქოს მსხვილი ძაფები.

მარფა ეგოროვნამ გააკეთა ის, რასაც ალბათ, სხვა ნებისმიერი მის ადგილას არ გააკეებდა: მან უცხოპლანეტელის სხეული სახლში წაიღო და მაცივარში ინახავდა 2 წლის განმავლობაში.

რუსეთში განსაკუთრებით გახშირდა მსგავსი მოვლენები. რის გამოც საქმეში საერთაშორისო დონის ექსპერტი-უფოლოგები ჩაერთვნენ. პარანორმალური მოვლენების ექსპერტი მაიკლ კოენი მიიჩნევს, რომ მარფა ეგოროვნას მიერ აღმოჩენილი არსება ნამდვილად უცხოპლანეტელია.

გასულ წელს ირკუტსკში თვალნათლივ დაინახეს უცნაურად განათებული აპარატი და ხუთი უცხოპლანატელი, რომლებიც თოვლში სეირნობდნენ. უფრო ადრე კი იქვე ირკუტსკში 18 წლის თემურ ხილალმა და 19 წლის კირილ ვლასოვმა სამოყვარულო კამერით გადაიღეს თოვლში სიცივისგან გაყინული უცხოპლანეტელის სხეული.

# ექვსკილოგრამიანი ახალშობილი ბუნებრივი მშობიარობით დაიბადა



მისი დაბადება გამოცდა იყო არა მხოლოდ დედისთვის, არამედ ექიმებისთვისაც. ასეთი ზომის ახალშობილი პირველად დაიბადა საკეისრო კვეთის გარეშე.

ექიმები სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამდნენ, რადგან მშობიარე 40 წლის გახლდათ და 240 კგ-ს იწონიდა. ქალბატონი, რომელსაც ორსულობის პერიოდში დიაბეტი განუვითარდა, უარს აცხადებდა არა მხოლოდ საკეისრო კვეთაზე, არამედ თავის ყველზე მავნე ჩვევას, შოკოლადის ჭამასაც არ ანებებდა თავს. იგი დღეში 1 კგ ტკბილეულს მიირთმევდა.

„პატარა“ ყოველგვარი გართულებების გარეშე დაიბადა. თუმცა რა გასაკვირია, დედისთვის ის მე-14 ახალშობილია.

# აღმოაჩინეს მე-12 საუკუნის ასტრონავტის გამოსახულება



იერონიმუსის ეკლესიაში, რომელიც 1102 წელს არის აგებული ესპანეთში ეპისკოპოს დე სალამანკას დროს უამრავ მითიურ ცხოველსა და წმინდანებს შორის გამოსახულია ჩვეულებრივი ასტრონავტი. არქეოლეოგებისა და არქიტექტორებისთვის ეს გამოსახულება აქამდე უცნობი იყო. მიმდინარეობს კვლევა.

მოამზადა ანა ვადაჭკორიამ


ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი



დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან

თიბისი ბანკი

0 901 500 540

ა/ნ GE88TB1117236080100001



სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლსახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63


## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — ამ პერიოდში ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი გართობასა და დასვენებას დაუთმეთ. გელით ბევრი სასიამოვნო ინფორმაცია. ამ პერიოდში დაგეგმილი საქმიანი მივლინება წარმატებას გპირდებათ.

**კურო** — თქვენს ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებებია მოსალოდნელი. გელით პერსპექტიული წინადადებები. ფინანსურ ოპერაციებში წარმატებას ადვილად მიაღწევთ. კარგი იქნება, თუ ამ პერიოდში მნიშვნელოვან შენაძენს გააკეთებთ.

**ტყუპები** — პირად ცხოვრებაში მცირედი ვნებათაღელვის მიუხედავად, ეს პერიოდი პოზიტიურად ხასიათდება. უქმე დღეები მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ, ნურც წვეულებებზე იტყვით უარს.

**კირჩხიბი** — საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. სიფრთხილე გმართებთ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას. ამ პერიოდში დაგეგმილი ხანგრძლივი მოგზაურობა წარმატებული იქნება.

**ლომი** — გამოიჩინეთ ინიციატივა, რათა იღბლიანი პერიოდი ხელიდან არ გაუშვათ. დრო გამონახეთ მეგობრებისთვისაც. რთულ სიტუაციაში დახმარებისთვის სწორედ მათ მიმართეთ.

**ქალწული** — თქვენთვის წარმატებული პერიოდი დადგა. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია დაისადგურებს. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებშიც.

**სასწორი** — ადვილად ნურავის ენდობით. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან ურთიერთობისას. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ. ამ პერიოდში მატერიალური მდგომარეობაც საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ.

**მორიელი** — სიფრთხილე გმართებთ ჯანმრთელობასთან მიმართებაში, კარგი იქნება, თუ პროფილაქტიკურ მკურნალობას ჩაიტარებთ. დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ.

**მშვილდოსანი** — ხელმძღვანელობასთან და საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა თქვენს კარიერაზე სასიკეთო ზეგავლენას მოახდენს. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია შენარჩუნდება. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

**თხის რქა** — პირად ცხოვრებაში მცირედი იმედგაცრუება გელით. ფინანსურ ოპერაციებში წარმატებას ადვილად მიაღწევთ. კარგი იქნება, თუ მნიშვნელოვან შენაძენს გააკეთებთ.

**მერწყული** — ეს პერიოდი პირადი ცხოვრების მოწესრიგებას დაუთმეთ. ერიდეთ ხელმძღვანელობასთან კონფლიქტურ სიტუაციას. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრებთან გაატარეთ.

**თევზები** — ეცადეთ, ამ პერიოდში მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრები დაგეგმოთ, რადგან წარმატებას ადვილად მიაღწევთ. ერიდეთ ისეთ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებსაც თქვენზე გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ამ პერიოდში დაგეგმილი მოგზაურობა წარმატებული იქნება.

### ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:
### სკანვორდი

1.ბურბუშელა. 2. ბჟენი. 3. ჟილეტი. 4. ნეპი. 5. ურსუსი. 6. გლინტვეინი. 7. გროსო. 8. ლაპი. 9. პალაცო. 10. შტუტგარტი. 11 ვალეტი. 12. კამელინი. 13. ფლეში. 14. მოდა. 15. ელზა. 16. შაბლონი. 17. კოშკი. 18. პო. 19. ასტეროიდი. 20. იმპორტიორი. 21. ისააკ. 22. დიფუზია. 23. კიკერი. 24. ფიდერი. 25. პოლინეზია. 26. ჯორი. 27. ბზობა. 28. ჩიმიშკიანი. 29. ჩიკორი. 30. რეისი. 31. საირმე. 32. იალკიალი. 33. აჩიკო. 34. კაიაკი. 35. სერენგეიტი. 36. კასკადი. 37. განგაში. 38. თესალონიკი. 39. განთიადი. 40. ფულე. 41. ლიფონავა. 42. ალბანეთი. 43. ბლანკა. 44. სეიშენი. 45. ფილე. 46. იარალი. 46ა. ფო. 47. გორიო. 48. რიკული. 49. ნოლტი. 50. აეროფობია. 51. პერონი. 52. ინაური. 53. პიონერი. 54. ნათია. 55. გორან. 56. სკიფი. 57. ქოშინი. 58. ტიკი. 59. სატრაპი. 60. ბია. 61. როვნო. 62. ლუქი. 63. ქულა. 64. არკა. 65. იორი. 66. შვი. 67. ატენი. 68. სარკო. 69. გეკო. 70. გასმანი. 71. ოლღა.

ISSN 2233-3983